საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 დეკემბერი პარასკევი 2013
№293 (14 209) ფასი 80 თეთრი



# რას აპირებს იგორ კოკოშკოვი?

## დღემდე ოფიციალური წინადადებით არავის მოუმართავს

ერთმანეთის მიყოლებით ვრცელდება ინფორმაციები საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის იგორ კოკოშკოვის სამომავლო დანიშვნებთან დაკავშირებით. ჯერ სერბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელობის კანდიდატად ითვლებოდა, შემდეგ დაიწერა, ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტი სლოვენიელებმა შესთავაზესო.

იგორ კოკოშკოვის სატრანსფერო საკითხებზე მსჯელობის გააქტიურება გასაკვირი სულაც არ არის, რადგან მას ჩვენს ნაკრებთან ორწლიანი კონტრაქტი წლეულს ამოეწურა.

სიტუაციაში გასარკვევად სერბ სპეციალისტს ამერიკაში გუშინ გვიან ღამით დავუკავშირდით. დღეისთვის მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შევეხებით, კოკოშკოვის ვრცელ ინტერვიუს „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

- დავიწყებ იქიდან, რომ ჩემდამი ინტერესი საქართველოს ნაკრების დამსახურებაა. სერბეთი და სლოვენია საკალთბურთო ქვეყნებია და თუნდაც ის, რომ მათ ინტერესზე იწერება, ჩემი როგორც მწვრთნელის აღიარება და საქართველოს ნაკრების მიერ ნაჩვენები თამაშის დაფასებაა. ამისთვის მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს კალათბურთის ფედერაციას, რომელმაც ნაკრებში მუშაობის საშუალება მომცა, კალათბურთელებს, რომლებმაც 6 წლის განმავლობაში ბევრი იშრომეს, რათა დასახული მიზნისთვის მიგვეღწია და ქომაგს, რომლის მხარდაჭერასაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი. თბილისური მატჩებისას ხომ დარბაზი ბოლომდე ივსებოდა. რაც შეეხება შეთავაზებებს, რაც დაიწერა, მხოლოდ სპეკულაციებია.

დავინტერესდით, იგორ კოკოშკოვი საქართველოს ნაკრების მომავალ ციკლში გაწვრთნაზე რა აზრისაა. შორიდან მოუარა:

- ჩემი კალათბურთელებისა მჯეროდა და მათთან სიამოვნებით ვმუშაობდი. ბოლო წლებში შეიკრნენ, გაიზარდნენ და იქცნენ ისეთ გუნდად, რომელმაც იცის, რა უნდა გააკეთოს. მომავლისთვისაც შემზადებულია საფუძველი და ვინც უნდა იყოს საქართველოს ნაკრების თავკაცი, გუნდთან მუშაობა არ გაუჭირდება. რაც შეეხება ჩემს მომავალს, საქართველოდან არავისთან მილაპარაკია. თქვენი კალათბურთის ფედერაციის არჩევნები 11 დეკემბერს ჩატარდა და როგორც ვიცი, ორგანიზაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. მას დრო სჭირდება. სადღეისოდ ნაკრებისგან თავისუფალი ვარ, მთლიანად „კლივლენდზე“ ვარ ორიენტირებული. ახალგაზრდა გუნდი გვყავს და ბევრი გვაქვს სამუშაო, რათა პლეი ოფში მოვხვდეთ.

### ჩემდამი ყურადღება საქართველოს ნაკრების დამსახურებაა

ვაჟა სიმონიშვილი

# ერთგული



დავით ზირაქაშვილის ახალი კონტრაქტი კლერმონთან

12

XVII ტურის წინათქმა 2



# ნიტაიშვილი ბრუნდება?

შაბათობით! ლელო week

**14.12. რუსთავი. ფოლადი — 14:00**

**მეტალურგი** – **გურია**

ურთიერთშეხვედრები: 1: +0 =0 -1 (1:3)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| სპარტაკი-მეტალურგი | 2:0 (სჩ) |
| მეტალურგი-დილა | 0:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-მეტალურგი | 2:1 (სჩ) |
| მეტალურგი-ჩიხურა | 1:1 (სჩ) |
| მეტალურგი-ტორპედო | 2:1 (სჩ) |
| გურია-ტორპედო | 2:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-გურია | 3:1 (სჩ) |
| გურია-სიონი | 1:2 (სჩ) |
| მერანი-გურია | 1:2 (სჩ) |
| გურია-ვიტ ჯორჯია | 2:1 (სჩ) |

**14.12. მცხეთა. მცხეთა პარკი — 14:00**

**ტორპედო** – **ზუგდიდი**

ურთიერთშეხვედრები: 13: +7 =3 -3 (16:7)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| გურია-ტორპედო | 2:0 (სჩ) |
| ტორპედო-სპარტაკი | 1:0 (სჩ) |
| დილა-ტორპედო | 3:0 (სჩ) |
| ტორპედო-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| მეტალურგი-ტორპედო | 2:1 (სჩ) |
| ზუგდიდი-დინამო (თბ) | 0:3 (სჩ) |
| სიონი-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-მერანი | 0:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| ჩიხურა-ზუგდიდი | 2:0 (სჩ) |

**14.12. ზესტაფონი. დ. აბაშიძე — 16:00**

**ზესტაფონი** – **სპარტაკი**

ურთიერთშეხვედრები: 16: +10 =4 -2 (40:16)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| დილა-ზესტაფონი | 3:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-ჩიხურა | 1:1 (სჩ) |
| ტორპედო-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-მეტალურგი | 2:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-დინამო (თბ) | 1:2 (სჩ) |
| სპარტაკი-მეტალურგი | 2:0 (სჩ) |
| ტორპედო-სპარტაკი | 1:0 (სჩ) |
| სპარტაკი-დინამო | 0:4 (სჩ) |
| სიონი-სპარტაკი | 3:2 (სჩ) |
| სპარტაკი-მერანი | 1:0 (სჩ) |

**15.12. თბილისი. მ. მესხი — 14:00**

**სიონი** – **მერანი**

ურთიერთშეხვედრები: 7: +3 =1 -3 (7:9)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-სიონი | 0:0 (სჩ) |
| სიონი-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| გურია-სიონი | 1:2 (სჩ) |
| სიონი-სპარტაკი | 3:2 (სჩ) |
| დილა-სიონი | 0:2 (სჩ) |
| ჩიხურა-მერანი | 2:0 (სჩ) |
| მერანი-ვიტ ჯორჯია | 1:2 (სჩ) |
| ზუგდიდი-მერანი | 0:0 (სჩ) |
| მერანი-გურია | 1:2 (სჩ) |
| სპარტაკი-მერანი | 1:0 (სჩ) |

**15.12. გორი. თ. ბურჯანაძე — 14:00**

**დილა** – **ჩიხურა**

ურთიერთშეხვედრები 7: +4=1 -2 (19:8)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| დილა-ზესტაფონი | 3:1 (სჩ) |
| მეტალურგი-დილა | 0:0 (სჩ) |
| დილა-ტორპედო | 3:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-დილა | 1:1 (სჩ) |
| დილა-სიონი | 0:2 (სჩ) |
| ჩიხურა-მერანი | 2:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-ჩიხურა | 1:1 (სჩ) |
| ჩიხურა-ვიტ ჯორჯია | 3:0 (სჩ) |
| მეტალურგი-ჩიხურა | 1:1 (სჩ) |
| ჩიხურა-ზუგდიდი | 2:0 (სჩ) |

**15.12. თბილისი. დინამო არენა — 14:00 LIVE I არხზე**

**დინამო (თბ)** – **ვიტ ჯორჯია**

ურთიერთშეხვედრები: 47: +18 =18 -11 (60:39)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ზუგდიდი-დინამო (თბ) | 0:3 (სჩ) |
| დინამო (თბ)-გურია | 3:1 (სჩ) |
| სპარტაკი-დინამო (თბ) | 0:4 (სჩ) |
| დინამო (თბ)-დილა | 1:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-დინამო (თბ) | 1:2 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-სიონი | 0:0 (სჩ) |
| მერანი-ვიტ ჯორჯია | 1:2 (სჩ) |
| ჩიხურა-ვიტ ჯორჯია | 3:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| გურია-ვიტ ჯორჯია | 2:1 (სჩ) |

### სულ

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 16 | 12 | 3 | 1 | 40 | 12 | 39 |
| 2 | ჩიხურა | 16 | 10 | 3 | 3 | 34 | 21 | 33 |
| 3 | გურია | 16 | 9 | 0 | 7 | 19 | 21 | 27 |
| 4 | დილა | 16 | 7 | 5 | 4 | 23 | 15 | 26 |
| 5 | სიონი | 16 | 6 | 5 | 5 | 19 | 18 | 23 |
| 6 | მეტალურგი | 16 | 6 | 5 | 5 | 20 | 21 | 23 |
| 7 | ზესტაფონი | 16 | 6 | 4 | 6 | 18 | 15 | 22 |
| 8 | ტორპედო | 16 | 6 | 4 | 6 | 18 | 17 | 22 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 16 | 5 | 4 | 7 | 19 | 23 | 19 |
| 10 | სპარტაკი | 16 | 4 | 1 | 11 | 13 | 24 | 13 |
| 11 | მერანი | 16 | 4 | 1 | 11 | 14 | 32 | 13 |
| 12 | ზუგდიდი | 16 | 1 | 5 | 10 | 5 | 23 | 8 |

### შინ

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო თბ | 8 | 7 | 1 | 0 | 23 | 7 | 22 |
| 2 | ჩიხურა | 8 | 7 | 0 | 1 | 20 | 6 | 21 |
| 3 | გურია | 8 | 7 | 0 | 1 | 14 | 5 | 21 |
| 4 | დილა | 8 | 5 | 2 | 1 | 17 | 6 | 17 |
| 5 | მეტალურგი | 8 | 4 | 4 | 0 | 11 | 3 | 16 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 1 | 3 | 12 | 8 | 13 |
| 7 | ტორპედო | 8 | 3 | 3 | 2 | 9 | 6 | 12 |
| 8 | ზესტაფონი | 8 | 3 | 3 | 2 | 10 | 8 | 12 |
| 9 | მერანი | 8 | 4 | 0 | 4 | 11 | 12 | 12 |
| 10 | სპარტაკი | 8 | 4 | 0 | 4 | 7 | 9 | 12 |
| 11 | სიონი | 8 | 3 | 2 | 3 | 11 | 12 | 11 |
| 12 | ზუგდიდი | 8 | 1 | 4 | 3 | 4 | 11 | 7 |

### სტუმრად

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო თბ | 8 | 5 | 2 | 1 | 17 | 5 | 17 |
| 2 | სიონი | 8 | 3 | 3 | 2 | 8 | 6 | 12 |
| 3 | ჩიხურა | 8 | 3 | 3 | 2 | 14 | 15 | 12 |
| 4 | ზესტაფონი | 8 | 3 | 1 | 4 | 8 | 7 | 10 |
| 5 | ტორპედო | 8 | 3 | 1 | 4 | 9 | 11 | 10 |
| 6 | დილა | 8 | 2 | 3 | 3 | 6 | 9 | 9 |
| 7 | მეტალურგი | 8 | 2 | 1 | 5 | 9 | 18 | 7 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 8 | 1 | 3 | 4 | 7 | 15 | 6 |
| 9 | გურია | 8 | 2 | 0 | 6 | 5 | 16 | 6 |
| 10 | სპარტაკი | 8 | 0 | 1 | 7 | 6 | 15 | 1 |
| 11 | ზუგდიდი | 8 | 0 | 1 | 7 | 1 | 12 | 1 |
| 12 | მერანი | 8 | 0 | 1 | 7 | 3 | 20 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დ. ტატანაშვილი (ჩიხურა) | 12 |
| ი. მოდებაძე (დილა) | 9 |
| დ. გოგა (დინამო (თბ) | 9 |
| ჩისკო (დინამო თბ) | 8 |

# ბუნება მბრძანებელია!

## წიტაიშვილი ზუგდიდში მოთამაშედ ბრუნდება?!

**ბუნებას** წინ ვერავინ და ვერაფერი ალუდგება: რაც უნდა ვიძახოთ, რომ საქართველოში დეკემბერში დანიშნული კალენდარული მატჩების გამართვა მუდამ სათუოაო, ახლა მაინც ვერაფერს შევცვლით. თანაც, რთული კლიმატური პირობების გამო პრობლემები მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს კი არა, ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ გადამწყვეტ შეხვედრასაც („გალათასარაი“-“იუვენტუსი“) შეეხო.

მოკლედ, წინასწარ ვერაფერს გასაზღვრავ: მაგალითად, შარშან დეკემბერში, საქართველოს ჩემპიონატისთვის, წლევანდელისგან განსხვავებით, უამინდობას განსაკუთრებული პრობლემები არ შეუქმნია; თუმცა, არცთუ შორეულ წარსულსაც გაგახსენებთ, როცა თებერვლის დასაწყისში მოსული თოვლის გამო ის მატჩებიც გადაიდო, რომლებიც... ხელოვნურსაფრიან მოედანზე უნდა ჩატარებულიყო!

...წინა ტური, ორის ნაცვლად, ოთხ დღეს გაგრძელდა, თუმცა, მაინც, „სრულად“ ჩატარდა; აი, შაბათ-კვირას როგორი სიტუაცია იქნება, ამას წინასწარ ვერავინ გეტყვით, - ანუ, წესითა და რიგით, XVII ტური ამ უქმეებზე უნდა ჩატარდეს, თუმცა ნუ გამოვრიცხავთ მოვლენების ისეთ განვითარებასაც, რომ ესა თუ ის მატჩი (შესაძლოა, მთლიანად - ტურიც) გადაიდოს...

### მეტალურგი-გურია

პირველი წრე - 1:3

დისკვალიფიკაცია: **ანზორ სუხიაშვილი, ბექა ტულუში** (ორივე - მეტალურგი) - **თენგიზ ჩიკვილაძე** (გურია)

...ან, სეზონის დაწყებამდე (ან კიდევ - პირველი წრის მსვლელობისას), ვინმე იფიქრებდა, რომ 16 ტურის შემდეგ „გურია“ მესამე ადგილზე იქნებოდა და თავის დღევანდელ მეტოქეს (სამეულში შესვლის რეალურ კანდიდატად რომ მოიაზრება) ოთხი ქულით გაუსწრებდა?

თუმცა, რეალობა ასეთია და რუსთაველთა გუნდი ზამთრის პაუზას ზედა ექვსეულში რომ შეხვდეს, ხვალ, მხოლოდ და მხოლოდ, 3 ქულის ასაღებად უნდა გამოვიდეს მოედანზე. ამას გარდა, **გელა სანაიას** შეგირდებს „დამატებითი“ სტიმულიც უნდა ჰქონდეთ: პირველ წრეში ორბურთიანი სხვაობით დამარცხების გამო სრულფასოვანი რევანშიც ხომ საჭიროა, მით უფრო, რომ რეგლამენტის თანახმად, თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ხომ ურთიერშეხვედრებს ენიჭება.

მოკლედ, ხვალ „ფოლადზე“ (თუ, რა თქმა უნდა, არ დაათოვა ისედაც დაბალი ხარისხის ხელოვნურ საფარს) ერთობ საინტერესო მატჩის მომსწრენი გავხდებით; აქვე, იმასაც დავძენთ, რომ, ალბათ, აღარც ღირს იმ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, რომ „მეტალურგმა“ უკვე მერამდენე მატჩი უნდა ჩაატაროს არაოპტიმალური შემადგენლობით: რუსთაველთა გუნდს ხომ, ფაქტობრივად, ყოველ მეორე ტურში უძევებენ ფეხბურთელ(ებ)ს.

თუმცა, საკადრო პრობლემა სტუმრებსაც აქვთ: გამოცდილი მცველი **თენგიზ ჩიკვილაძე** „გურიას“ დაცვის ბურჯია, თუმცა დისკვალიფიკაციის გამო ხვალ თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

### ტორპედო-ზუგდიდი

პირველი წრე - 0:0

დისკვალიფიკაცია: **მერაბ გიგაური** (ტორპედო) - **დათა რიგვავა** (ზუგდიდი)

წინა ტურში, „ჩიხურასა“ და „მერანის“ მატჩს მცხეთამ უმასპინძლა და კიდევ ორი დასავლური გუნდის პაექრობაც სწორედ „მცხეთა პარკზე“ გაიმართება! მოკლედ, მთელი პირველი ეტაპი ნეიტრალურ მოედნებზე ტარდება და ქუთაისის ნაცვლად, „ტორპედო“-“ზუგდიდის“ დაპირისპირება რომ... მცხეთაში იმართება, რატომ უნდა გაგვიკვირდეს? არადა, ისეთი მატჩია, ქულები ორივე გუნდს ჰაერივით რომ სჭირდება: ბოლო რვა მატჩში 4 ქულის ამღები „ტორპედო“ უკვე რეალურად დადგა ზედა ექვსეულში ვერმოხვედრის საფრთხის წინაშე, „ზუგდიდი“ კი „გადამრჩენელ“, X ადგილს უკვე 5 ქულით ჩამორჩება.

ერთი შეხედვით, ამ მატჩში ფავორიტის სტატუსი „ტორპედოსთვის“ უნდა მიგვენიჭებინა, მაგრამ შეხვედრა რახან ნეიტრალურ მოედანზე ტარდება, ამ შემთხვევაში რომელიმე გუნდის შანსებზე საუბარი ძნელიც არის.

სხვათა შორის, ხვალინდელ ამ მატჩს, შესაძლოა, „დამატებითი“ ინტრიგაც ახლდეს: როგორც შევიტყვეთ, „ზუგდიდი“ ამ დღეებში ახალწვეულის განაცხადში შეყვანას ესწრაფვის და თუ ყველაფერი მოესწრო, ეს ახალწვეული, ალბათ, „ტორპედოს“ წინააღმდეგაც ითამაშებს. ახლა, იმას არ იკითხავთ, თუ ვინ არის ეს ახალწვეული? ვინ, და... **კობა (კლიმენტი) წიტაიშვილი**, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ „ზუგდიდის“ მთავარი მწვრთნელი რომ გახლდათ!

როგორც ჩანს, წიტაიშვილს აქტიური საფეხბურთო კარიერის განახლება განუზრახავს და ჩვენც ისლა დაგვრჩენია წარმატებები ვუსურვოთ თავის დროზე მართლაც არცთუ ურიგო ფორვარდს.

### ზესტაფონი-სპარტაკი

პირველი წრე - 0:1

ამ ტურში ერთადერთი მატჩია, დასავლეთ საქართველოში რომ უნდა გაიმართოს, თუმცა სწორედ დანარჩენი ხუთი შეხვედრისაგან განსხვავებით, სწორედ ზესტაფონური პაექრობის ჩატარებაა ყველაზე სათუო. ალბათ, ამიტომაც იზრუნეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში და იმ შემთხვევაში, თუ ხვალ ზესტაფონში „არასაფეხბურთო ამინდი“ იქნება, „ზესტაფონი“-„სპარტაკის“ მატჩი, დიდი ალბათობით, 23 დეკემბერს გაიმართება.

თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია; იქამდე კი ორივე გუნდისათვის უმნიშვნელოვანეს მატჩზე ვთქვათ, სადაც ერთმანეთის პირისპირ ძველი მეტოქეები, **გია გეგუჩაძე** და **კახა კაჭარავა** წარდგებიან. ისე, კაჭარავას „ზესტაფონთან“ პაექრობებში, უმეტეს შემთხვევაში, დადებითი ბალანსი ჰქონდა ხოლმე, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ამას თბილისის „დინამოს“ თავკაცის რანგში ახერხებდა.

დღეს კი, მისი ხელმძღვანელობით მოასპარეზე „სპარტაკს“ ბევრად განსხვავებული (გნებავთ - მოკრძალებული) მიზნები აქვს - უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება! აი, „ზესტაფონი“ კი, იმის მიუხედავად, რომ დღესდღეობით VII ადგილზეა, მაინც მიგვაჩნია ევროტურნირების საგზურის მოპოვების რეალურ კანდიდატად.

...ამ გუნდებს შორის პირველი წრის შეხვედრა იმითაც იყო დასამახსოვრებელი, რომ „სპარტაკმა“ სეზონში პირველი გამარჯვება მსაჯის მიერ დამატებულ დროში, **კახაბერ კაკაშვილის** შორეული დარტყმის წყალობით მოიპოვა. თუმცა, 21 სექტემბერს ჩატარებულ იმ შეხვედრაში მეტოქეებს სულ სხვა მწვრთნელები მოძღვრავდნენ: „ზესტაფონს“ - **რატკო დოსტანიჩი**, „სპარტაკს“ - **ვლადიმერ ხაჩიძე.**

### სიონი-მერანი

პირველი წრე - 0:2

დისკვალიფიკაცია: **გივი ქარქუზაშვილი** (მერანი)

კალენდრის თანახმად, ეს მატჩი შაბათს, 14 დეკემბერს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ წინა ტურში „მერანი“ მცხეთაში, „ჩიხურას“ ხომ 11 დეკემბერს დაუპირისპირდა და, აქედან გამომდინარე, მარტვილელთა გუნდს ერთი დღით გადმოუწიეს თამაში. თუმცა, ყველა ვარიანტში „სიონი“ უფრო კომფორტულ სიტუაციაშია: **ლადო ბურდულის** გუნდმა ხომ წინა ტურის მატჩი ორი დღით ადრე ჩაატარა.

ეგეც რომ არ იყოს, „სიონი“ აშკარად აღმავლობის გზას ადგას და ჩემპიონატში ექვსმატჩიანი წაუგებელი სერიის შედეგიც სახეზეა: თითქმის ექვსწლიანი პაუზის მერე ბოლნისელთა კლუბი ლიდერთა სიახლოვეს იმყოფება!

თუმცა, ბოლნისელებს მოდუნების უფლება არა აქვთ: ამ ტურის შემდეგ, პირველი ეტაპის ბოლომდე ხომ ერთმანეთზე ურთულესი მატჩებია („ჩიხურასთან“, „დინამოსთან“, „ტორპედოსთან“, „მეტალურგთან“, „ზესტაფონთან“) დარჩენილი და, აქედან გამომდინარე, კვირის მატჩში „სიონის“ ფავორიტობა ლოგიკას მოკლებული არ უნდა იყოს.

„მერანის“ მიზანი კი ამ წლის დარჩენილ ორ ტურში (და, საერთოდ, პირველ ეტაპზე) ქულების მოგროვება და ამჟამინდელი ერთობ არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებაა. სხვათა შორის, „სიონი“-“მერანის“ მატჩი იმითაც არის საინტერესო, რომ ორივე გუნდს ახალგაზრდა და დებიუტანტი მწვრთნელები მოძღვრავენ: **ლადო ბურდული** („სიონი“) და **კახა ჩხეტიანი** („მერანი“).



დინამო ვიტ ჯორჯიას დაუხვდება

### დილა-ჩიხურა

პირველი წრე - 1:3

დისკვალიფიკაცია: **ალექსანდრე კვახაძე, ოთარ ხიზანეიშვილი** (ორივე - დილა)

ამ ტურის ყველაზე დამაინტრიგებელი პაექრობა კვირას გორში უნდა გაიმართოს: ზედა ექვსეულის კი არა, პირველი სამეულის ორი რეალური კანდიდატის დაპირისპირება მართლაც უდიდეს ინტერესს იწვევს, თანაც, ამ შეხვედრით გორელთა გუნდის ურთულესი „გრაფიკი“ სრულდება, რომელიც „დილამ“ აქამდე ერთობ წარმატებულად განვლო: „დინამოსთან“, „ტორპედოსთან“, „მეტალურგთან“ და „ზესტაფონთან“ ჩატარებულ ოთხ მატჩში მოპოვებული 8 ქულა ურიგო კი არა, ალბათ, მშვენიერ შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

თუმცა, „ჩიხურასაც“ მშვენიერი სერია აქვს: **სოსო ფრუიძის** გუნდმა ბოლო შვიდ მატჩში ხუთი მოიგო და ორი ფრედ დაამთავრა; საერთოდაც, საჩხერელთა გუნდი „დინამოსთან“ ერთად ამ სეზონში სხვებთან შედარებით ყველაზე სტაბილურად ასპარეზობს და სრულიად დამსახურებულადაც იმყოფება მეორე ადგილზე.

მოკლედ, კვირას უამინდობამ თუ არ შეუშალა ხელი, ერთობ საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს; ისიც საინტერესოა, თუ რა გადაადგილებებს მოახდენს თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში „დილას“ მთავარი მწვრთნელი **რამაზ სოლოლაშვილი** და რას დაუპირისპირებს თავის გამოცდილ კოლეგას. არადა, საფიქრალი სოლოლაშვილს მართლაც აქვს: დისკვალიფიკაციის გამო ერთ-ერთ ლიდერთან მატჩს ხომ გუნდის ორი წამყვანი ცენტრალური მცველი, **ალექსანდრე კვახაძე** და **ოთარ ხიზანეიშვილი** ტოვებს.

### დინამო-ვიტ ჯორჯია

პირველი წრე - 2:0

დისკვალიფიკაცია: **გიორგი გველესიანი** (დინამო)

ადრეც არაერთხელ გვითქვამს, რომ ამ გუნდების 15-წლიანი დაპირისპირების ისტორიაში მართლაც თითზე ჩამოსათვლელი იყო ისეთი შემთხვევები, როცა „დინამო“ ერთ კონკრეტულ სეზონში ყველა მატჩს უგებდა „ვიტ ჯორჯიას“.

ჰო, თუ რომელიმე გუნდი მიიჩნეოდა „დინამოსათვის“ უხერხულ მეტოქედ, ეს, რაღა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯია“ იყო. თანაც, იმის მიუხედავად, რომ „ვეტერინარებს“ აგერ უკვე მეოთხე წელია „დინამო“ ვერ დაუმარცხებია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სეზონი არ გავა, ჩვენ ყველაზე ტიტულიან გუნდს ქულები არ დააკარგვინოს.

და აი, ახლა უკვე „დინამოს“ ეძლევა იმის შანსი, რომ ხანგრძლივი პაუზის მერე სეზონში მეორე დაპირისპირებაც მოუგოს ამ ბოლო წლებში განსხვავებული მიზნების მქონე მეტოქეს. თუმცა, **ზურაბ ბერიძის** დამოძღვრილ „ვიტ ჯორჯიას“ ხომ საკუთარი ამბიცია გააჩნია და ნურც ის დაგვავიწყდება, რომ „ვეტერინარებს“ არასდროს ჰქონდათ მოტივაციის პრობლემა „დინამოსთან“ მატჩის წინ.

თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, წყვილის უდავო ფავორიტად მაინც „დინამო“ უნდა მივიჩნიოთ, - სამთვენახევრიან წაუგებელ სერიას რომ აგრძელებს. ეს შეხვედრა განსაკუთრებული უნდა იყოს **მალხაზ ჟვანიასათვისაც:** ახალგაზრდა სპეციალისტმა „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის რანგში ხომ პირველი საშინაო მატჩი უნდა ჩაატაროს!

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი კვირის 1000 წვრილმანი

## ახლა ქვანიას ჯერია

გუნდის ღერძი მწვრთნელია, ის იცავს კლუბის ფილოსოფიას, აყალიბებს და ქმნის ორგანიზმს სხვადასხვა ადამიანებისგან. როცა ადამიანებისგან ქმნი შემოქმედებას, ეს კიდევ უფრო ამდიდრებს ნამუშევარს.

სად, როგორ უნდა მოიძიო ასეთი სპეციალისტი? თუ კლუბი შეძლებულია, ამაზე ნიადაგ ფიქრობს და მუშაობს. როგორც წესი, ასეთ დროს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს არ იღებენ, კლუბის დირექტორი არგუმენტებითა და ფაქტებით ასაბუთებს პოზიციას და მეპატრონეც ამის მერე სვამს ბეჭედს.

2011 წლიდან დღემდე თბილისის „დინამოს“ მეხუთე მწვრთნელი ჰყავს - ალექს გარსიას, გიორგი დევდარიანის, რამაზ მუმლაძისა და უმცროსი დუშან უჰრინის მერე გუნდი მალხაზ ჟვანიას ჩააბარეს.

მწვრთნელის შეცვლა ასე ხშირად რომ გინევს, უკვე ვერ არის კარგი საქმე, მაგრამ ეს უკვე ჩავლილი ამბავია, ახლა ჟვანიას ჯერია, რომელმაც მიიღო დიდი გამოწვევა.

არავინ იცის, რა მოხდება ზამთრის შესვენებისას. თუ სხვა ქართულ გუნდებში მნიშვნელოვანი ძვრები არ გამოჩნდა, „დინამოს“ ჩემპიონობაში ვერავინ შეეცილება, მაგრამ ეს ისეთი კლუბია, მხოლოდ ეს რომ ვერ დააკმაყოფილებს - „დინამოს“ წარმატება ყოველთვის საერთაშორისო სარბიელით იზომებოდა. ასეთია ამ კლუბის ტრადიცია და წალმას უკულმა ვერავინ დააყენებს.

საშინაო ასპარეზზე „დინამოს“ წარმატებები უმცროსი უჰრინის ხელშიც ჰქონდა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ წინა სეზონში, ისევე, როგორც ახლა, „დინამოს“ გარდა, საჩემპიონო ამბიცია არც ერთ გუნდს არ ჰქონია. გავიდა უჰრინის გუნდი ევროსარბიელზე და რაც დაემართა, ყველამ კარგად იცის.

ჩეხს სადავეები ხელიდან არ გაუშვია, გუნდში სიტუაციას ფლობდა - ეს ნამდვილად არ უნდა დავუკარგოთ. სათამაშო კონცეფციას რაც შეეხება, მისი გუნდი უფრო ცალკეული ფეხბურთელების მონაცემებზე იდგა, ვიდრე გუნდურ, კომბინაციურ თამაშზე. უჰრინი ვერ გახდებოდა იურგენ კლოპი „დინამოში“ - ეს მალევე გახდა ცხადზე ცხადი.

გუნდმა საკუთარი სახე უნდა მიიღოს, თავისი თამაში ითამაშოს - თუ კლუბში მილიონებს ხარჯავ და ამას არ ითხოვ, მაშინ რა აზრი აქვს ინვესტიციას?

...თამაშს გიორგი მერებაშვილი გაამწვავებს, ჩისკო შანსს ხელიდან არ გაუშვებს, ჯაბა დვალი თუ იშტაზეა, ინდივიდუალურად მასაც შეუძლია ბევრი რამის გადაწყვეტა, კარს გიორგი ლორია იცავს, დაცვის ცენტრს გამოცდილი ხალხი ამაგრებს - ეს ყველაფერი კარგი და გასაგები იყო, ოღონდაც - არასაკმარისი იმ სახელისა და ტრადიციისთვის, რაზეც მენტალურად უნდა იდგეს „დინამო“.

კარგი გუნდის შექმნას რეჟისორი სჭირდება. ზოგადად, რეჟისორისთვის მთავარია დრამატურგიული სვლები და ის, რომ მაყურებელმა მის ნამუშევარს თვალი ვერ მოსწყვიტოს - მე ასეთ მწვრთნელს ვისურვებდი „დინამოსთვის“, დანარჩენი კი უკვე კლუბის ხელმძღვანელობის საქმეა.

ჟვანიას ჯერ არ აქვს შთამბეჭდავი სამწვრთნელო ბიოგრაფია, მაგრამ ყველა ასეა, რაღაცით იწყებს. „დინამომდე“ ის მარტვილის „მერანში“ მუშაობდა, ისეთ გუნდში, ტიტულებისთვის და ევროსაგზურისთვის რომ ვერ იბრძოდა. ჟვანიამ იქ კარგი სახელი დაიგდო - გაწონასწორებული, კორექტული და დაფიქრებული მწვრთნელის.

„დინამოში“ მისი თანაშემწე რამაზ სვანაძე იქნება. მეორე მწვრთნელობა ძალიან სერიოზული პოზიციაა. ისე კი, საკუთარი ყურით მაქვს მოსმენილი ზოგიერთი ქართული კლუბის მესვეურის ნათქვამი - „მეორე ტრენერს რად უნდა კარგი ხელფასი, „ფიშკების“ დალაგებაში რა უნდა მოითხოვოსო?“

სვანაძე მანამდე „ვიტ ჯორჯიასა“ და ცხინვალის „სპარტაკში“ მუშაობდა, სხარტი გონების პატრონია, მაღალი საფეხბურთო გემოვნება აქვს. ვფიქრობ, ჟვანიას მისი სახით კარგი მოკავშირე ჰყავს. „დინამოში“ ცვლილებები იმ დროს მოხდა, როცა საამისო ნიადაგი მართლაც არსებობდა...

დავით თავართქილაძე

● ლეგიონერი

# ირაკლი სირბილაძე

## აბა, რა აზრი აქვს დაბრუნებას?!



დინამო ვიტ ჯორჯიას დაუხვდება

ტურკუს „ინტერის“ 31 წლის თავდამსხმელისა და მისი კლუბისთვის წლევანდელი სეზონი შარშანდელივით წარმატებული ვერ გამოდგა - შარშან „ინტერი“ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი გახდა, ხოლო ირაკლი სირბილაძე - ლიგის ბომბარდირი, პლუს, საუკეთესო თავდამსხმელადაც აღიარეს.

წლეულს კი „ინტერმა“ ჩემპიონატი მეცხრე ადგილზე დაასრულა, ხოლო ქართველმა ფორვარდმა მიმდინარე სეზონში 9 გოლით ბომბარდირთა დავაში მხოლოდ VIII-XI ადგილები გაინაწილა. ამას დაემატა ისიც, რომ თემურ ქეცბაიაც აღარ იწვევდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში...

„ინტერის“ ჰოლანდიელ მთავარ მწვრთნელ იობ დრაგტსმას კი მიაჩნია, რომ სირბილაძე კლუბისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა.

„წლეულს ირაკლიმ შარშანდელივით კარგად ვერ ითამაშა, მაგრამ ეს მთელი გუნდის პრობლემის ასახვა იყო და არა - თავად ირაკლის ცუდი მდგომარეობის. მჯერა, ის მომავალ სეზონს გაცილებით უკეთ ჩაატარებს. „სირბისგან“ მეტ გოლს უნდა ველოდოთ“.

„ლელომ“ სირბილაძეს რამდენიმე კითხვა დაუსვა...

**- შარშანდელისგან განსხვავებით, წლევანდელ სეზონში თამაში არც თქვენ აგეწყოთ და არც - გუნდს. რა იყო ამის მიზეზი?**

- დიახ, მხოლოდ 9 გოლი გავიტანე. მიზეზი ის იყო, რომ „ინტერი“ ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა და მხოლოდ ორი ახალწვეული გვყავდა, სათანადო შევსებაც არ მივიღეთ და ახალგაზრდული შემადგენლობით ვთამაშობდით. ამას გარდა, სეზონის მსვლელობისას ბევრი მოთამაშე დაგვიშავდა, რამდენიმეს თვეები გაუცდა და ოპტიმალური შემადგენლობით თითქმის არ გვითამაშია. ცხადია, ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო, მე ან რომელიმე ფეხბურთელს თავი კარგად წარმოგვეჩინა.

**- ტრავმები თქვენც განუხებდათ...**

- სამწუხაროდ... მერე ფორმაში არ ვიყავი, სასურველი კონდიციების აღდგენაში კი სეზონიც მიილია. ისიც მიკვირს, ასეთ სიტუაციაში 9 გოლი რომ გავიტანე.

**- ამის ფონზე, ალბათ, ეროვნულ ნაკრებში არმიწვევაც ლოგიკური იქნებოდა.**

- რა თქმა უნდა, ლოგიკურია. მაგრამ ნაკრებში მიწვევა უდიდესი სტიმულია... იმ პერიოდში უფრო მონდომებული ვიყავი, მეტი და მეტი რომ გამეტანა.

**- „ინტერთან“ კონტრაქტი კიდევ ორი წლით გააახანგრძლივეთ. საინტერესოა, სხვა ქვეყანაში არ გიწვევდნენ?**

- კონტრაქტი ახლახან დამითავრდა და იყო ვარიანტები ფინეთშიც, ევროპაშიც და სხვაგანაც. მაგრამ „ინტერს“ ახალი ხელმძღვანელების გაფორმება სურდა და საბოლოოდ, მაინც დარჩენა ვამჯობინე.

**- ანუ მეჩვეული ქირი ამჯობინეთ?**

- არა, უბრალოდ, მინდა, კარგი სეზონი ჩავატარო და მერე ვნახოთ...

**- სხვაგანაც იყო ვარიანტებიო, თქვით. საქართველოში არ გიწვევდნენ?**

- ასეთი წინადადება არ ყოფილა და კარგად გამიგეთ: მართალია, ფინეთში ტოპ-ჩემპიონატი არ არის, მაგრამ სანამ საშუალება მექნება, მირჩევნია, იქ დავრჩე და ვითამაშო, ვიდრე საქართველოში დავბრუნდე. ჯერ ჩვენთან იმასთან მიახლოებული არც პირობებია და არც მაყურებლისა და სპონსორების ინტერესი. რაც მთავარია, ევროპელებიც გაცილებით მეტ ყურადღებას გაქცევენ. თავადაც რომ იცით, რომ საქართველოში ევროპიდან საკუთარი ნებით არ ბრუნდებიან. ორიოდე გუნდის გარდა, აქ პირობებიც არასაკმარისია და ისიც არ იცი, ხვალ ვის ექნება ფული და როდის რომელი კლუბი დაიშლება. სამწუხაროდ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში ფეხბურთით არავის აინტერესებს. აბა, რა აზრი აქვს დაბრუნებას?

მერაბ მამულაშვილი

● თანამეგობრობის თასი

# რუსები საქართველოს ნაკრებს იწვევენ

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, გარკვეულწილად, სენსაციური წერილი გამოქვეყნა. აღმოჩნდა, რომ ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს „თანამეგობრობის თასზე“ იწვევენ.

აი, რას იუწყება სფფ-ს პრესსამსახური: *„დღეს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ მიიღო ოფიციალური წერილი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ნიკოლაი ტოლსტიხინისგან, რომლის შესაბამისადაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები (1993 წლის 1 იანვრამდე ან მას შემდეგ დაბადებულთა გუნდი) მიწვეულია სანქტ-პეტერბურგში, სადაც 2014 წლის 22 იანვრიდან 2 თებერვლამდე „თანამეგობრობის თასის“ 22-ე გათამაშება გაიმართება. რუსეთის საფეხბურთო კავშირის ოფიციალური წერილისა და შემოთავაზების განხილვა სფფ-ში უკვე მიმდინარეობს“.*

„თანამეგობრობის თასის“ ჩატარება 1992 წელს დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის საფეხბურთო ასოციაციის სხდომაზე გადაწყდა. თავიდან ის საკლუბო ტურნირად იყო ჩაფიქრებული და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ჩემპიონებს უნდა ეთამაშათ - ეს პოსტსაბჭოთა არაოფიციალური ჩემპიონთა ლიგა იყო.

1993 წელს პირველი ტურნირი გაიმართა. თავიდან, საკმაოდ პოპულარული გათამაშებაც იყო, მაგრამ შემდეგ რამდენიმე ცნობილმა კლუბმა, სრულყოფილი მოსამზადებელი ეტაპის გამართვის მოტივით, დუბლების გაგზავნა დაიწყო, ტურნირის პრესტიჟი დაეცა და რუსები მიხვდნენ, რომ ფულს ტყუილად ყრიდნენ. 2011 წლიდან მათ თანამეგობრობისა და ბალტიის ქვეყნების ახალგაზრდული ნაკრებების (1991 წელს და შემდეგ დაბადებულთა) საერთაშორისო გათამაშებად გადააკეთეს.

ჩვენი გუნდები ტურნირში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აღარ მონაწილეობდნენ და ცხადია, არც მერე, როცა თასზე ახალგაზრდული ნაკრებები დაუშვეს. ეს რუსებმაც კარგად იცოდნენ და თავადვე აღარ გვიწვევდნენ.

მომავალ ტურნირს რაც შეეხება, 2014 წლის გათამაშებაში ჯგუფები უკვე დაკომპლექტებულია. A ჯგუფში მოხვდნენ ბელარუსი, ესტონეთი, ლატვია, ტაჯიკეთი; B - ყირგიზეთი, ყაზახეთი, რუსეთი, უზბეკეთი; C - უკრაინა, ლიტვა, მოლდოვა, თურქმენეთი.

ჯერ არავინ იცის (ყოველ შემთხვევაში, ამაზე არაფერს წერენ) საქართველოს რომელ ჯგუფში სთავაზობენ თამაშს და ვის ჩაცვლიან? როგორც ფედერაციაში გვითხრეს, ეს მათთვისაც უცნობია, მაგრამ ფაქტია - მიწვევა მიიღეთ. სავარაუდოდ, სფფ რუსების შემოთავაზებაზე პასუხს დღეს, 13 დეკემბერს იტყვის. ოღონდ, მანამდე ზვიად სიჭინავა ნაკრების სამწვრთნელო შტაბთან გამართავს კონსულტაციებს.

ამ ინფორმაციამ გულშემატკივრებში აჟიოტაჟი უკვე გამოიწვია. საეჭვოა, ჩვენი ქვეყნის ჭკუათამყოფელ მოქალაქეს რუსული პოლიტიკა მოსწონდეს, მაგრამ სპორტული კუთხით, ახალგაზრდული ნაკრებისთვის ეს ტურნირი სასარგებლო უნდა იყოს და დაფიქრებად მაინც ღირს.

მერაბ მამულაშვილი

### ეროვნული ჩემპიონატი

**XVI ტური**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-მეტალურგი | 1:1 |
| ვიტ ჯორჯია-სიონი | 5:0 |
| ზუგდიდი-დინამო | 0:3 |
| დილა-ზესტაფონი | გადაიდო |
| ჩიხურა-მერანი | გადაიდო |
| გურია-ტორპედო | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 16 | 13 | 1 | 2 | 40-19 | 40 |
| 2. დინამო | 16 | 11 | 1 | 4 | 39-14 | 34 |
| 3. მერანი | 15 | 8 | 4 | 3 | 20-12 | 28 |
| 4. ზუგდიდი | 16 | 8 | 2 | 6 | 25-25 | 26 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 16 | 7 | 4 | 5 | 26-27 | 25 |
| 6. ტორპედო | 15 | 6 | 3 | 6 | 29-20 | 21 |
| 7. ჩიხურა | 15 | 5 | 4 | 6 | 22-20 | 19 |
| 8. ზესტაფონი | 15 | 5 | 2 | 8 | 22-25 | 17 |
| 9. დილა | 15 | 5 | 2 | 8 | 23-29 | 17 |
| 10. სიონი | 16 | 4 | 3 | 9 | 17-33 | 15 |
| 11. სპარტაკი | 16 | 3 | 4 | 9 | 19-35 | 13 |
| 12. გურია | 15 | 2 | 2 | 11 | 18-36 | 8 |

### პირველი ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა**

**XIV ტური**

| | |
|---|---|
| საქ. უნივერსიტეტი-იბერია | 2:2 |
| დღურუჯი-რუსთავი | 2:1 |
| მარკ სტარი-იმერიონი | 5:0 |
| დინამო (ს)-ალაზანი | 2:1 |
| იბერია-არაგვი | 0:6 |
| ლიახვი-სასკო 2 | 4:1 |
| ბორჯომი-ფორვარდი | გადაიდო |
| აზული-გოლიადორი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარკ სტარი | 14 | 12 | 0 | 2 | 58-9 | 36 |
| 2. ბორჯომი | 13 | 11 | 2 | 0 | 48-11 | 35 |
| 3. ლიახვი | 14 | 9 | 4 | 1 | 38-17 | 31 |
| 4. საქ. უნივერს.ი | 14 | 8 | 4 | 2 | 45-21 | 28 |
| 5. იბერია | 14 | 8 | 2 | 4 | 35-22 | 26 |
| 6. გოლიადორი | 13 | 7 | 0 | 6 | 37-33 | 21 |
| 7. არაგვი | 14 | 5 | 6 | 3 | 32-25 | 21 |
| 8. დღურუჯი | 14 | 6 | 1 | 7 | 22-27 | 19 |
| 9. აზული | 13 | 5 | 2 | 6 | 18-23 | 17 |
| 10. იმერიონი | 14 | 4 | 5 | 5 | 25-30 | 17 |
| 11. ალაზანი | 14 | 4 | 3 | 7 | 22-32 | 15 |
| 12. დინამო (ს) | 14 | 4 | 1 | 9 | 19-38 | 13 |
| 13. იბერია | 14 | 3 | 1 | 10 | 22-52 | 10 |
| 14. რუსთავი | 14 | 3 | 1 | 10 | 25-58 | 10 |
| 15. ფორვარდი | 13 | 2 | 2 | 9 | 14-36 | 8 |
| 16. სასკო | 14 | 2 | 0 | 12 | 14-40 | 6 |

ლეგიონი

# რას იზამენ ჩვენებურები?



გოჩა ხოჯავა (მარცხნივ) და ოთარ მარცვალაძე

არახალია, რომ რუსეთის ნაციონალური (პირველი) ლიგის ბინადარ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ფინანსური კრიზისია და თვეებია, ფეხბურთელები ხელფასებს ვერ იღებენ. ოსური კლუბის ბედი ჩვენთვის საინტერესო იმით არის, რომ 2012 წლის ოქტომბერში იქ მისი ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ქართული ფეხბურთის ლეგენდა **ვლადიმერ გუცაევი** სპორტული დირექტორის როლში დაბრუნდა, ამ ზაფხულს კი „ალანიაში“ საქართველოს ნაკრებში ნათამაშები **ოთარ მარცვალაძე** და **გოჩა ხოჯავა** ჩაირიცხნენ.

...მაგრამ კლუბს გაუჭირდა და „ალანიას“ პრეზიდენტი **ვალერი გაზაევი** საფიქრალს მისცემია - რა მოუხერხოს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ყველაზე პოპულარულ კლუბს. მან ისიც კი დაიქადნა - თუ ასე გაგრძელდა, „ალანია“ ჩემპიონატს დატოვებს, რადგან ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ბიუჯეტი ბევრს ვერ აუდის, სპონსორი კი არ გვყავსო.

კლუბის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ლოგიკური შედეგი იყო, ვლადიკავკაზელები 23 ნოემბერს ვლადივოსტოკში „ლუჩ ენერგიასთან“ საშემოდგომო ეტაპის ბოლო შეხვედრაზე რომ არ გამოცხადდნენ - გუნდს ტექნიკური წაგება (0:3) ჩაეთვალა და სატურნირ ცხრილში მე-2 ადგილზე ჩამოქვეითდა.

მერე გაირკვა, რომ „ალანია“ იანვარში მოსამზადებელ შეკრებაზე გაემგზავრება. რა ხდება რეალურად კლუბში და რა ბედი ელით ვლადიკავკაზელ ჩვენებურებს? ამის გასარკვევად „ლელო“ ვლადიმერ გუცაევს დაუკავშირდა:

*„ყველამ იცის, თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა კლუბი - 7 თვის დავალიანება დაგროვდა და ამის მიუხედავად, „ალანია“ პირველ ლიგაში მაინც წარმატებით თამაშობდა. პირველი წრე მეორე ადგილზე დავასრულეთ. ასეთ ვითარებაში, ეს პატარა საქმე არ არის. დავრჩებით თუ არა მე, ხოჯავა და მარცვალაძე „ალანიაში“, პირდაპირაა დამოკიდებული სიტუაციის გამოსწორებაზე. კლუბს ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობა აფინანსებს. ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს და თუ ის წარმატებით დასრულდება, ხომ კარგი, თუ არა და, „ალანია“ დაიშლება და ყველას წამოსვლა მოგვიწევს. პრობლემა ის არის, რომ თავად რესპუბლიკას კლუბის შესანახად აუცილებელი სოლიდური თანხა არ გააჩნია. მაგრამ პრობლემა უფულობა ნამდვილად არ არის და არც ყოფილ გენერალურ სპონსორს, „რუსჰიდროს“ უთქვამს პატრონობაზე უარი. კომპანიის ხელმძღვანელები „ალანიას“ შეძენით დაინტერესდნენ, აქციათა სრული პაკეტის გამოსყიდვა სურთ და არა - მხოლოდ სპონსორობა. ამაზე მიდის მოლაპარაკება და ჩვენც მის შედეგებს ველოდებით“*, - ამბობს გუცაევი.

როცა კლუბის ბიუჯეტით დავინტერესდით, გუცაევმა გვითხრა: *„კარგად მოგეხსენებათ, რუსეთში ძალიან დიდი ფული ტრიალებს. პირველი ლიგის ნორმალური (და არა - ძლიერი) კლუბის შესანახად 40 მილიონი დოლარი მაინც არის საჭირო. ზოგიერთი ფეხბურთელის ხელფასი 100 ათას დოლარსაც აღწევს. ბევრია ისეთი, ვისაც 70, 60 და 50 ათასი დოლარი აქვს. ასე რომ, პატარა თანხაზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ რუსეთის პირობებში ეს მიუწვდომელი ნამდვილად არ არის. სწორედ ამით ახნიეს ჩემპიონატის და, ზოგადად, ფეხბურთის დონე“*.

# როგორ აფასებენ ქართველებს...

შარშან ერთ-ერთმა უკრაინულმა ვებგვერდმა პოსტსაბჭოეთის ყველაზე პერსპექტიული მოთამაშეები დაასახელა. 16 ფეხბურთელს შორის 7 რუსი იყო, 4 უკრაინელი, თითო-თითო ბელარუსი და სომეხი, სამიც ქართველი: „ვიტესის“ თავდამსხმელი **გიორგი ჭანტურია**, მოსკოვის „სპარტაკის“ კუთვნილი და ამჟამად „როსტოვში“ იჯარით გაშვებული **ჯანო ანანიძე** და უკრაინის პრემიერლიგის ბინადარ „ილიჩევეცის“ შემტევი ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილი**.

მაგრამ გავიდა ერთი წელი და ქართველებზე ძველებური აღტაცებით აღარ წერენ. მაგალითად, უკრაინულმა გამოცემა „ფუტბოლმა“ ქვეყნის პრემიერლიგის საშემოდგომო ეტაპი შეაჯამა და ერთ-ერთი წერილში, რომელიც მარიუპოლის „ილიჩევეცს“ ეხებოდა, ქართველი ლეგიონერების - **თორნიკე ოქრიაშვილისა** და **დავით თარგამაძის** შესახებაც დაწერა.

მათ ნიჭს აღნიშნავენ, თუმცა საქმისადმი დამოკიდებულებას უწუნებენ, ოღონდ, იქვე მიუთითებენ იმაზეც, რომ მარიუპოლელებს ქართველები წასვლა, გარკვეულწილად, დააზარალებს.

*„წარმატებული დრიბლინგების რაოდენობით, „ილიჩევეცში“ ოქრიაშვილს ვერავინ გადაასწრო. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი ქართველი მე-11 ტურის შემდეგ აღარ თამაშობს, „ილიჩევეცის“ სასტარტო შემადგენლობაში კი სულ 7-ჯერ მოხვდა (პირველ ეტაპზე „ილიჩევეცმა“ 18 მატჩი ჩაატარა). ალბათ, ტექნიკური ოქრიაშვილის მწვავე დრიბლინგებისა და თარგამაძის შეტევების გარეშე, მარიუპოლელთა თამაში უფერული იქნებოდა. მაგრამ, სანამ „ილიჩევეცი“ შეტევებში წვალობდა, ოქრიაშვილი და თარგამაძე სოციალურ ქსელებში საკუთარ სურათებს აქვეყნებდნენ. გუნდის მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი პავლოვი კი, როგორც ჩანს, ფეხბურთელთა ხელახალ აღზრდას არც ცდილობდა. ოქრიაშვილისა და თარგამაძის მაგალითები ადასტურებს, რომ პავლოვი - მარიუპოლსა და პოლტავის „ვორსკლაში“ - სხვადასხვა ტიპის მწვრთნელია. პოლტავაში მან საკუთარი გუნდი ჩამოაყალიბა, მარიუპოლში კი ფეხბურთელებს სხვისთვის ზრდის. შესაძლოა, ამიტომაა, ფეხბურთელთა მეურვეობისა და მათთან საერთო ენის გამონახვის სურვილით რომ არ კვდება. ბოლო შეხვედრებში ქართველების დემარშის გამო (ეს განსაკუთრებით ოქრიაშვილს ეხება), პავლოვი იძულებული გახდა, ორი თავდამსხმელით ეთამაშა. ამ ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ დაბალი შედეგიანობის მქონე თავდამსხმელების დაყენება გაუმართლებელი იყო. გუნდს სჭირდებოდა მოთამაშე, რომელსაც პასები ეხერხებოდა. ადრე ასეთი იყო იარომჩენკო, შემდეგ ოქრიაშვილი. ახლა კი მსგავსი - გუნდში აღარ არის და ზამთარში სწორედ ამ ამპლუის მოთამაშის მოძებნა იქნება საჭირო“*.



დავით თარგამაძე



თორნიკე ოქრიაშვილი

ამბები



გოჩა ტყებუჩავა

## ერთი ითამაშეს, მეორე ველარ

4 დეკემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს 16-წლამდე[illegible] ნაკრები თურქეთის ქალაქ ტრაბზონში საწვრთნელ შეკრებას ატარებდა. პატარა „ჯვაროსნებს“ ქალაქ ტრაბზონში თურქ თანატოლებთან ორი ამხანაგური მატჩი უნდა გაემართათ.

ფეხბურთის ფედერაციის პრეს[illegible] სამსახურის ცნობით, 10 დეკემბერს **გოჩა ტყებუჩავას** გაწვრთნილებმა თურქეთის 16-წლამდელთა ნაკრებთან პირველი ტესტ-მატჩი 1:1 ითამაშეს. ჩვენი ნაკრებიდან გოლი თბილისის „ლოკომოტივის“ 15 წლის ნახევარმცველმა **გიორგი არაბიძემ** გაიტანა.

ნაკრებს კიდევ ერთი სპარინგი გუშინ, 12 დეკემბერს უნდა ჩაეტარებინა, თუმცა შავი ზღვისპირეთში და, მათ შორის - თურქეთშიც, ამინდის გაუარესების გამო, ეს ველარ მოხერხდა და 16-წლამდელთა ნაკრები სამშობლოში დაბრუნდა.

ამ ტესტ-მატჩით, ტყებუჩავამ უკვე დაიწყო გეგმით გაწერილი მოსამზადებელი ეტაპი - 2014 წლის შემოდგომაზე ხომ გუნდი ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს გამართავს.

შეგახსენებთ, რომ წილისყრის შედეგად, ჩვენი ნაკრები (1998 წელს დაბადებულები) მეორე ჯგუფში მოხვდა და მისი მეტოქეები იქნებიან პოლონეთის, ესტონეთისა და ლიხტენშტაინის ნაკრებები. საკვალიფიკაციო ეტაპს, 26-31 ოქტომბერს, თბილისი უმასპინძლებს.

## საქმე მოსაწყენად არ იქნება...

გუშინ სპორტკომპლექს „არენა II“-ში ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩები გაიმართა. „გრანდი“ მცხეთის „არმაზს“ შეხვდა და 9:7 დაამარცხა. სენსაციაა, რომ დებიუტანტი გუნდი მე-3 ადგილსთვის იბრძვის, ახლა კი მეორე ადგილზეა, რადგან „იბერიას“ ჯერ არ უთამაშია.

მეორე მატჩში ახალციხის „სამცხეთი“ „ქვახვრელს“ დაუპირისპირდა და 9:14 წააგო. დღეს, 13 დეკემბერს, დარჩენილი ორი მატჩი დაიგეგმა. 14:00 საათზე კი ტურის და პირველი ეტაპის ცენტრალური შეხვედრა გაიმართება. ერთმანეთს ქვეყნის ჩემპიონი და უეფას თასის ბოლო გათამაშების ოთხთა ფინალის მონაწილე „იბერია სტარი“ და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ავთანდილ ასათიანის** გაწვრთნილი „სტუ თელასი“ შეხვდებიან და ვფიქრობთ, გულშემატკივარს მოსაწყენად არ ექნება საქმე.

**13 დეკემბერი.** 12:00 განთიადი-დიცი; 14:00 იბერია სტარი-სტუ თელასი.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

# ჯა ჯეჯე – კოკუს პსვ-აი



ჯა ჯეჯემ პსვ-ს მოუგო

უელსური „სუონსი“, უკრაინული „ჩერნომორეცი“, სლოვენიური „მარიბორი“, თელ-ავივის „მაქაბი“, კიევის „დინამო“ და „ლიბერეცი“ - ეს ექვსი გუნდი შეემატა ევროპალიგის 1/16-ფინალისტებს და საბოლოოდ გაირკვა იმ 32 კლუბის სია, რომელთაც გაზაფხულზე ევროპის საკლუბო ფეხბურთის პრესტიჟით მეორე ტურნირის ტიტულისთვის ბრძოლა ელით. შეგახსენებთ, რომ 12 ჯგუფის 24 რჩეულს, ჩემპიონთა ლიგის 8 მესამეადგილოსანი - „შახტარი“, „იუვენტუსი“, „ბენფიკა“, „პლზენი“, „ბაზელი“, „ნაპოლი“, „პორტუ“ და „აიაქსი“ - დაემატა.

ამათგან ყველაზე გმირული საქციელი სლოვენიურმა „მარიბორმა“ ჩაიდინა, რომელიც ბოლო ტურის წინ ბოლო ადგილზე იყო, თუმცა ინგლისური „უიგანი“ დაამარცხა და „ვარეგემს“ ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის წყალობით გაასწრო.

ცენტრალური მატჩი კი ალბათ ეინდჰოვენში გაიმართა, სადაც ადგილობრივი პსვ კიდევ ერთხელ ჩაფლავდა ამ სეზონში - შინ უშუალო კონკურენტ „ჩერნომორეცთან“ წააგო - 0:1 და საგზურიც მას დაუთმო. გამარჯვების გოლი. გამარჯვების გოლი ამ შეხვედრაში კოტდივუარელმა ჯეელმა **ფრანკ ჯა ჯეჯემ** გაიტანა, შემდეგ ოდესელები 10 კაცით დარჩნენ, მაგრამ გაძლეს. წუხელ, გვიანობამდე **ფილიპ კოკუ** ისევ პსვ-ს მწვრთნელი იყო და მეტი არ ვიცით...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**A ჯგუფი**

**ვალენსია–ყუბანი 1:1**

**გოლები:** 1:0 ალკასერი (67), 1:1 მელგარეჟო (84)

**გაძევება:** რუისი (90. ვალენსია)

**სტ. გალენი–სუონსი 1:0**

**გოლი:** 1:0 მატისი (80)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-7 | 13 |
| 2. სუონსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-4 | 8 |
| 3. ყუბანი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-7 | 6 |
| 4. სტ. გალენი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-13 | 6 |

**B ჯგუფი**

**დინამო ზ–ლუდოგორეცი 1:2**

**გოლები:** 0:1 აბალო (27), 1:1 ჩოპი (45), 1:2 ბეზიაკი (72)

**პსვ–ჩერნომორეცი 0:1**

**გოლი:** 0:1 ჯა ჯეჯე (59)

**გაძევება:** რიერა (87. ჩერნომორეცი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლუდოგორეცი | 6 | 5 | 1 | 0 | 11-2 | 16 |
| 2. ჩერნომორეცი | 6 | 3 | 1 | 2 | 6-6 | 10 |
| 3. პსვ | 6 | 2 | 1 | 3 | 4-5 | 7 |
| 4. დინამო ზ. | 6 | 0 | 1 | 5 | 3-11 | 1 |

**C ჯგუფი**

**ზალცბურგი–ესბიერგი 3:0**

**გოლები:** 1:0 მანე (19), 2:0 კამპლი (58), 3:0 მანე (63)

**სტანდარდი–ელფსბორგი 1:3**

**გოლები:** 1:0 მბომბო (31), 1:1 ნილსონი (41), 1:2 ნილსონი (46), 1:3 ბეკმანი (52)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 6 | 6 | 0 | 0 | 15-3 | 18 |
| 2. ესბიერგი | 6 | 4 | 0 | 2 | 8-8 | 12 |
| 3. ელფსბორგი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| 4. სტანდარდი | 6 | 0 | 1 | 5 | 6-13 | 1 |

**D ჯგუფი**

**ვარეგემი–რუბინი 0:2**

**გოლები:** 0:1 ნათხო (79-პენ), 0:2 რონდონი (85)

***შენიშვნა:*** *საბა კვირკველია (რუბინი) განაცხადში არ ყოფილა*

**მარიბორი–უიგანი 2:1**

**გოლები:** 0:1 ხ. გომესი (41-პენ), 1:1 მეჟგა (43), 2:1 ფილიპოვიჩი (59)

**გაძევება:** მერტელი (74. მარიბორი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 6 | 4 | 2 | 0 | 14-4 | 14 |
| 2. მარიბორი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-12 | 7 |
| 3. ვარეგემი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-10 | 7 |
| 4. უიგანი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-7 | 5 |

**E ჯგუფი**

**ფიორენტინა–დნიპრო 2:1**

**გოლები:** 0:1 კონოპლიანკა (13), 1:1 ხოაკინი (42), 2:1 კუადრადო (77)

***შენიშვნა:*** *ჯაბა კანკავამ (დნიპრო) 90 წუთი ითამაშა,* ***სანდრო კობახიძე*** *(დნიპრო) სათადარიგო იყო.*

**პანდური–ფერეირა 0:0**

**გაძევება:** ანდრე ლეაო (88. ფერეირა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიორენტინა | 6 | 5 | 1 | 0 | 12-3 | 16 |
| 2. დნიპრო | 6 | 4 | 0 | 2 | 11-5 | 12 |
| 3. ფერეირა | 6 | 0 | 3 | 3 | 1-8 | 3 |
| 4. პანდური | 6 | 0 | 2 | 4 | 3-11 | 2 |

**F ჯგუფი**

**აინტრახტი–აპოელ 2:0**

**გოლები:** 1:0 შრიოკი (67), 2:0 ჯაკპა (77)

**მაქაბი თ.–ბორდო 1:0**

**გოლი:** 1:0 ზაჰავი (74-პენ)

**გაძევება:** შალმე (73. ბორდო)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აინტრახტი | 6 | 5 | 0 | 1 | 13-4 | 15 |
| 2. მაკაბი თ. | 6 | 3 | 2 | 1 | 7-5 | 11 |
| 3. აპოელ | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |
| 4. ბორდო | 6 | 1 | 0 | 5 | 4-10 | 3 |

**G ჯგუფი**

**დინამო კ–რაპიდი 3:1**

**გოლები:** 0:1 ბოიდი (6), 1:1 ლენსი (22), 2:1 გუსევი (28), 3:1 ველოზო (70)

**თუნი–გენკი 0:1**

**გოლი:** 0:1 ფოსენი (31)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-6 | 14 |
| 2. დინამო კ. | 6 | 3 | 1 | 2 | 11-7 | 10 |
| 3. რაპიდი | 6 | 1 | 3 | 2 | 8-10 | 6 |
| 4. თუნი | 6 | 1 | 0 | 5 | 3-10 | 3 |

**H ჯგუფი**

**ფრაიბურგი–სევილია 0:2**

**გოლები:** 0:1 იბორა (40), 0:2 რუსესკუ (90)

**ესტორილი–ლიბერეცი 1:2**

**გოლები:** 0:1 შურალი (18), 0:2 რაბუსიჩი (70), 1:2 სება (82)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 6 | 3 | 3 | 0 | 9-4 | 12 |
| 2. ლიბერეცი | 6 | 2 | 3 | 1 | 9-8 | 9 |
| 3. ფრაიბურგი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 6 |
| 4. ესტორილი | 6 | 0 | 3 | 3 | 5-8 | 3 |

**I ჯგუფი**

**ბეტისი–რიეკა 0:0**

**გიმარაეში–ლიონი 1:2**

**გოლები:** 1:0 ტომანე (11), 1:1 გომისი (62-პენ), 1:2 ფერი (65)

**გაძევება:** კორეია (62. გიმარაეში)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 6 | 3 | 3 | 0 | 6-3 | 12 |
| 2. ბეტისი | 6 | 2 | 3 | 1 | 3-2 | 9 |
| 3. გიმარაეში | 6 | 1 | 2 | 3 | 6-5 | 5 |
| 4. რიეკა | 6 | 0 | 4 | 2 | 2-7 | 4 |

**J ჯგუფი**

**აპოლონი–ლეგია 0:2**

**გოლები:** 0:1 ოოდლოვეცი (8), 0:2 ბრჟისკი (63)

**შენიშვნა:** *ლადო დვალიშვილმა (ლეგია) 90 წუთი ითამაშა*

**ლაციო–ტრაბზონი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 6 | 4 | 2 | 0 | 13-6 | 14 |
| 2. ლაციო | 6 | 3 | 3 | 0 | 8-4 | 12 |
| 3. აპოლონი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| 4. ლეგია | 6 | 1 | 0 | 5 | 2-8 | 3 |

**K ჯგუფი**

**შერიფი–ტრომსიო 2:0**

**გოლები:** 1:0 ჩადუ (4), 2:0 ისა (36)

**ტოტენჰემი–ანჟი 4:1**

**გოლები:** 1:0 სოლდადო (7), 2:0 სოლდადო (16), 2:1 ეტერტონი (44), 3:1 ჰოლტბი (54), 4:1 სოლდადო (70-პენ)

**შენიშვნა:** გია გრიგალავამ (ანჟი) 90 წუთი ითამაშა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 6 | 6 | 0 | 0 | 15-2 | 18 |
| 2. ანჟი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-7 | 8 |
| 3. შერიფი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-6 | 6 |
| 4. ტრომსიო | 6 | 0 | 1 | 5 | 1-10 | 1 |

**L ჯგუფი**

**პაოკ–ალკმაარი 2:2**

**გოლები:** 0:1 ლამი (31), 1:1 პერესი (37-პენ), 1:2 გორტერი (71-პენ), 2:2 პოზოლლუ (90)

**მაქაბი ჰ.–შახტიორი 2:1**

**გოლები:** 0:1 კანიასი (44-პენ), 1:1 გოზლანი (72), 2:1 აბუჰაცირა (80)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 6 | 3 | 3 | 0 | 8-4 | 12 |
| 2. პაოკ | 6 | 3 | 3 | 0 | 10-6 | 12 |
| 3. მაკაბი ჰ. | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 5 |
| 4. შახტიორი | 6 | 0 | 2 | 4 | 5-10 | 2 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საფრანგეთი. ლიგა 1. XVIII ტურის წინ

# ძველ-ახალი მწვრთნელები

## პუელის ბოლო შანსი

**ლიგა 1-შინელს ორი ტურილა დაგრჩა, პირველი წრე დასასრულს უახლოვდება. პირველი და ბოლო სამეულები აშკარად გამოიკვეთა. აი, სხვა მხრივ კი ჩვეული სიმჭიდროვეა - მე-4 და მე-14 ადგილებს შორის სხვაობა მხოლოდ 8 ქულაა**

### ვინ ახსნის ჯადოს მონპელიეს?

„მონპელიეში“ როლან კურბისი დაბრუნდა და ახლა სწორედ მას ევალება გუნდის კრიზისიდან გამოყვანა. იგი კლუბს 2007-2009 წლებში ხელმძღვანელობდა და ლიგა ერთშიც ამოიყვანა. გამოცდილმა მწვრთნელმა განაცხადა, ჯადოქარი არ ვარო, მაგრამ რაღაცებს აუცილებლად შევცვლი, ამ წელს დარჩენილი ორი მატჩი ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მომავალი დიდწილად ამ შეხვედრებზეა დამოკიდებულიო. სხვა ამბიციები და გეგმები აქვს „სენტ ეტიენს“, რომლის თავკაცი **კრისტოფ გალტიეც** საფრანგეთში კინაღამ 2013 წლის მწვრთნელად დასახელდა. თუ „მწვანეებს“ სერიოზულად სურთ ხუთეულისთვის ბრძოლა თამაში ბოლო ბოლო უნდა დააბალანსონ და ასეთი შეხვედრები მოიგონ. მონპელიეელები კი უკანასკნელი 15 მატჩიდან მხოლოდ ერთხელ გამოვიდნენ მოგებულები და თუ როგორ სწყურიათ გამარჯვება, ალბათ ხვდებით.

### ლიდერები

პსჟ-მ ბოლო სამი მატჩიდან ორი წააგო, ორივე გასვლაზე... ქვეყანა არ დაქცეულა, მით უმეტეს ლიგაზე „ბენფიკასთან“ უმოტივაციო თამაშში მარცხით, მაგრამ ფანებისთვის ეს სასიამოვნო მაინც არ არის. თან ლიგა ერთში „მონაკო“ უკვე სიახლოვესაა და სულმოუთქმელად ელოდება პარიზელების კიდევ ერთ წაბორძიკებას. ასე რომ, **ლორან ბლანის** გუნდმა უნდა მოიგოს, მაგრამ მეტოქე არც ისე ხელწამოსაკრავია. შესაძლოა „რენს“ სეზონი უვარდება, მაგრამ „სტად დე ლა რუტ დე ლორიანიდან“ 3 ქულის წამოღება ადვილი არ არის. თან გუნდს ბრეტონული დერბი აქვს წაგებული „ლორიანთან“ და ამის მერე, გულშემატკივართა თვალში როგორმე უნდა ამაღლდეს. **ფილიპ მონტანიეს** მსგავს მატჩებში თავის გამოდება უყვარს და იგი შეგირდებს მაქსიმალურად მოქოქავს. პლუს, პსჟ-ისთვის „რენი“ ცოტა უხერხული მეტოქეა.

ამ მატჩის შედეგი უკვე ეცოდინება „მონაკოს“, მაგრამ **კლაუდიო რანიერის** გუნდმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იმარჯვოს. მონტეკარლოელები მიჯრით 4 მოგებით მოდიან, თანაც გოლი არ გაუშვიათ და აქედან სამ შეხვედრაში საუკეთესო ბომბარდირი **რადამელ ფალკაო** არ ჰყავდათ. კოლუმბიელს ტრავმა ჰქონდა, მაგრამ მისი და მწვრთნელის კონფლიქტზეც ბევრს საუბრობდნენ და თუ ფალკაო ამ შეხვედრაშიც არ გამოჩნდა, მითქმა-მოთქმა მერე ნახეთ. „გენგამი“ კი სეზონის ერთ-ერთი სასიამოვნო მოულოდნელობაა და შეეცდება მორიგი სიურპრიზი შემოგვთავაზოს.



მარსელის პრეზიდენტი და დროებითი მწვრთნელი

წინა ტურში ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ „ლილი“ ბოლო-ბოლო ჟირონდულ ველზე დაეცა. თუმცა დაკარგული ჯერ არაფერია, თუ გუნდს მაინცდამაინც ჩემპიონობისთვის ბრძოლა უნდა, „ბასტიასთან“ ეს მატჩიც უნდა მოიგოს და 2013 წლის ბოლო შეხვედრაში „პარკ დე პრენსზეც“ უნდა აჯობოს პსჟ-ს. თუმცა მოდით, ჯერ მხოლოდ კორსიკელებთან დაპირისპირებაზე ვისაუბროთ, რომელიც **რენე ჟირარის** ბიჭებს მართლაც მოსაგები აქვთ, რადგან სამეულში მყარად დარჩნენ, თორემ მდევარი ძალიან ბევრი ჰყავთ. სტუმრების მთავარ ძალას საშინაო მატჩები წარმოადგენს, გასავარდნ ზონას ამჟამად 12 ქულით უსწრებენ და ერთი სიტყვით, „ბასტია“ მშვიდადაა, მაგრამ შობისა და ახალი წლის მოახლოების მიუხედავად, ნაკლებ სავარაუდოა, ვინმესთვის 3 ქულის უომრად ჩუქების სურვილით იყოს გამსჭვალული. სხვა მხრივ კი, კორსიკელთა კარის აღება როგორც წესი, არც ისე ადვილი საქმეა - ლილელთა მთავარი პრობლემა კი სწორედ მომენტების უხვად შექმნა და ბევრი გოლის გატანაა.

### ჟერლანი და სხვა

„მარსელი“, რომელმაც „დორტმუნდი“ კინაღამ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ჩატოვა, „ჟერლანზე“ „ლიონს“ ესტუმრება და ტურიც ამ მატჩით დაიხურება. **ელი ბოპის** გაშვების მერე, მარსელელებს ახალ წლამდე სპორტული დირექტორი **ჟოზე ანიგო** თავკაცობს. „ოლიმპიკების“ დუელი დიდ ინტერესს იწვევს. „მარსელმა“ ბოლო პერიოდში ლიგა ერთში 3 მატჩი მოიგო, მაგრამ ბოლო ოთხეულის გუნდებთან. აი სხვებთან კი უჭირს და ახლა „ლიონთან“ უნდა გვიჩვენოს, რა შეუძლია. **რემი გარდი** კი შეეცდება ერთ-ერთ უშუალო კონკურენტს მოუგოს და მასთან სხვაობა ერთ ქულამდე შეამციროს. მისი შეგირდები უკანასკნელ პერიოდში ოდნავ უკეთ გამოიყურებიან.

საინტერესოა, რომ ლიგა ერთში უკვე 5 გუნდში შეიცვალა მწვრთნელი. „მარსელის“ გარდა, ეს იმ 4 გუნდში მოხდა, რომლებიც ბოლო 4 ადგილზე არიან. სიმბოლურია - ბოლოდან მეხუთე „ნიცაა“ და გაშვების მთავარი კანდიდატი ახლა სწორედ **კლოდ პუელია**. ეს ულაპარაკოდ ბოლო შანსია, თუ ნიცელები საკუთარ „ალიანს რივიერაზე“ ცხრილის ფსკერზე დალექილ „სოშოსაც“ ვერ მოუგებენ... პუელს ზედიზედ 7 წაგება აქვს და აქედან 5 შემთხვევაში მისმა გუნდმა მინდორი უგოლოდ დატოვა.

| 13 დეკემბერი | |
|---|---|
| მონპელიე-სტ. ეტიენი | 23:30 |
| **14 დეკემბერი** | |
| რენი-პსჟ | 20:00 |
| აიაჩო-ლორიანი | 23:00 |
| ევიანი-რეიმსი | 23:00 |
| გენგამი-მონაკო | 23:00 |
| ნანტი-ტულუზი | 23:00 |
| ნიცა-სოშო | 23:00 |
| **15 დეკემბერი** | |
| ბორდო-ვალანსიენი | 17:00 |
| ლილი-ბასტია | 20:00 |
| ლიონი-მარსელი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 17 | 12 | 4 | 1 | 39-10 | 40 |
| 2. მონაკო | 17 | 11 | 5 | 1 | 28-11 | 38 |
| 3. ლილი | 17 | 11 | 3 | 3 | 18-5 | 36 |
| 4. ნანტი | 17 | 9 | 2 | 6 | 22-13 | 29 |
| 5. მარსელი | 17 | 8 | 3 | 6 | 23-16 | 27 |
| 6. ბორდო | 17 | 7 | 6 | 4 | 23-18 | 27 |
| 7. რეიმსი | 17 | 6 | 7 | 4 | 18-19 | 25 |
| 8. სტ. ეტიენი | 16 | 7 | 3 | 6 | 24-20 | 24 |
| 9. გენგამი | 17 | 6 | 5 | 6 | 19-17 | 23 |
| 10. ლიონი | 17 | 6 | 5 | 6 | 24-23 | 23 |
| 11. ლორიანი | 17 | 7 | 2 | 8 | 22-23 | 23 |
| 12. ბასტია | 17 | 6 | 5 | 6 | 20-24 | 23 |
| 13. რენი | 17 | 5 | 6 | 6 | 20-19 | 21 |
| 14. ტულუზი | 17 | 5 | 6 | 6 | 18-23 | 21 |
| 15. ევიანი | 16 | 5 | 4 | 7 | 17-27 | 19 |
| 16. ნიცა | 17 | 5 | 2 | 10 | 14-24 | 17 |
| 17. მონპელიე | 17 | 2 | 10 | 5 | 18-23 | 16 |
| 18. ვალანსიენი | 17 | 2 | 5 | 10 | 14-25 | 11 |
| 19. აიაჩო | 17 | 1 | 6 | 10 | 11-28 | 9 |
| 20. სოშო | 17 | 1 | 5 | 11 | 13-37 | 8 |

**ბომბარდირები:** 13 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 11 - ედინსონ კავანი (პსჟ); 9 - ვინსენტ აბუბაქარი (ლორიანი), რადამელ ფალკაო (მონაკო); 8 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი), ემანუელ რივიერი (მონაკო), ფილიპ ჯორჯევიჩი (ნანტი).

**გიორგი კაკაბაძე**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტურის წინ

# ჰამბურგს 12 გოლის ეშინია

## მიუნხენელები ჩრდილოელებსაც გაანადგურებენ?



ჰამბურგს ბაიერნთან მეკარე რენე ადლერი არ ეყოლება

**ლევერკუზენი-აინტრახტი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** სპაჰიჩი (ლევერკუზენი)

**ტრავმა:** ჰილბერტი, რაინარტცი, სემი - ჩელოცი, აიგნერი, ა. მაიერი, შტენდერა

ბოლო 6 მატჩი

+5=1-0 | +0=1-5

ურთიერთშეხვედრები

სულ 56 თამაში: +24=12-50, (94:83)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 15 | 13 | 2 | 0 | 39-7 | 41 |
| 2. ლევერკუზენი | 15 | 12 | 1 | 2 | 32-14 | 37 |
| 3. დორტმუნდი | 15 | 10 | 1 | 4 | 35-16 | 31 |
| 4. გლადბახი | 15 | 10 | 1 | 4 | 33-17 | 31 |
| 5. ვოლფსბურგი | 15 | 8 | 2 | 5 | 23-16 | 26 |
| 6. შალკე | 15 | 7 | 3 | 5 | 30-28 | 24 |
| 7. ჰერტა | 15 | 6 | 4 | 5 | 22-17 | 22 |
| 8. მაინცი | 15 | 6 | 2 | 7 | 22-29 | 20 |
| 9. აუგსბურგი | 15 | 6 | 2 | 7 | 16-23 | 20 |
| 10. შტუტგარტი | 15 | 5 | 4 | 6 | 28-28 | 19 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 15 | 4 | 5 | 6 | 34-35 | 17 |
| 12. ჰანოვერი | 15 | 5 | 2 | 8 | 19-26 | 17 |
| 13. ჰამბურგი | 15 | 4 | 4 | 7 | 30-32 | 16 |
| 14. ვერდერი | 15 | 4 | 4 | 7 | 19-34 | 16 |
| 15. აინტრახტი | 15 | 2 | 5 | 8 | 18-28 | 11 |
| 16. ფრაიბურგი | 15 | 2 | 5 | 8 | 14-28 | 11 |
| 17. ნიურნბერგი | 15 | 0 | 9 | 6 | 14-30 | 9 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 15 | 2 | 2 | 11 | 8-28 | 8 |

**ბომბარდირები:** 11 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 9 - ვედად იბიშევიჩი (შტუტგარტი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი)

### 13 დეკემბერი

**ჰერტა-ვერდერი 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ს. ლანგკამპი, ბაუმიოჰანი, ბენჰატირა - პრიოდლი, შმიტცი, იუნუზოვიჩი, ფ. კროოსი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 | +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 60 თამაში: +18=11-31, (72:107)

### 14 დეკემბერი

**ჰანოვერი-ნიურნბერგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** მილერი, ფელიპე, კ. შულცი, დირსენი, ფრანკა, ია კონანი - მარკოს ანტონიო, გებჰარტი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 | +0=3-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 34 თამაში: +11=12-11, (53:53)

**ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** სოკრატისი (დორტმუნდი)

**ტრავმა:** თესკერი, სასი, ვუკჩევიჩი - ჰუმელსი, შმელცერი, სუბოტიჩი, ს. ბენდერი, გიუნდოგანი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 | +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 10 თამაში: +4=3-3, (13:12)

**მაინცი-გლადბახი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** შლიშკოვიჩი (მაინცი)

**ტრავმა:** ჰ. მიულერი, ბუნგერტი, კოხი, ბაუმგარტლინგერი, დ. შაჰინი - ალვარო დომინგესი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 | +6=0-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 14 თამაში: +5=3-6, (16:18)

**აუგსბურგი-ბრაუნშვაიგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** პერთელი (ბრაუნშვაიგი)

**ტრავმა:** მორავეკი, ექინი - ბიჩაქჩიჩი, რაიხელი, მ. კალიჯური, ჰოხშაიდტი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 | +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

არ უთამაშიათ

**ვოლფსბურგი-შტუტგარტი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** პოლაკი, ტრეში, ვიეირინია - ბოკა, დიდავი, გენტნერი, კაკაუ

ბოლო 6 მატჩი

+4=2-0 | +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 32 თამაში: +12=5-15, (45:46)

### 15 დეკემბერი

**შალკე-ფრაიბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჰიოვედესი (შალკე)

**ტრავმა:** აოგო, ანანი, დრაქსლერი, ჰიოგერი, ჰუნტელაარი - ჰედენსტადი, მუიჯა, კოკელინი, შმიდი, შუსტერი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 | +2=0-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 28 თამაში: +12=5-11, (42:40)

დორტმუნდის „ბორუსიას" კრიზისმა ის გამოიწვია, რომ **იურგენ კლოპის** გუნდი არა მარტო „ბაიერნს" ჩამორჩა (უკვე 10 ქულით), არამედ მეორე ადგილიც დაკარგა და ახლა უკვე მესამე ადგილიდან ჩამოქვეითების საფრთხეც ემუქრება. ამ ადგილს კი „გლადბახი" უმიზნებს, რომელმაც ზედიზედ ექვსი თამაში მოიგო. მე-16 ტურის წინ ორივე „ბორუსიას" 31 ქულა აქვს, ხოლო ამ ტურში დორტმუნდელები „ჰოფენჰაიმს" სტუმრობენ, მიონხენგლადბახელები კი - „მაინცს". თავად „ბაიერნი" „ჰამბურგს" მასპინძლობს და წესით, სამი ქულის ალება არ უნდა გაუჭირდეს, რადგან ჩრდილოგერმანული კლუბიც კრიზისშია. მეორეადგილოსანი „ლევერკუზენი" კი, კვირას ასევე დამძიმებულ ფრანკფურტის „აინტრახტს" ეთამაშება.

„ბაიერნისა" და „ჰამბურგის" დაპირისპირება ისტორიულად ბუნდესლიგის ერთ-ერთი კლასიკაა. იყო დრო, როცა „ჰამბურგი" ევროპის მასშტაბით „ეთამაშებოდა ვარსკვლავებს" და ესეც რომ არ იყოს, ერთადერთი კლუბია, რომელიც პირველი ბუნდესლიგიდან არასდროს გავარდნილა. დღეს კი ამ გუნდებს შორის უდიდესი განსხვავებაა - „ბაიერნი" სუპერგრანდია, „ჰამბურგი" კი საშუალო დონემდეც ძლივს ქაჩავს. შესაბამისად, აბსოლუტურად ლოგიკურია ის, რაც წინა ტურის შემდეგ „ჰამბურგის" სპორტულმა დირექტორმა **ოლივერ კროიცერმა** „აუგსბურგთან" წაგების (0:1) შემდეგ თქვა - მეშინია, „ბაიერნმა" 12 გოლი არ გაგვიტანოსო. აღსანიშნავია, რომ „ჰამბურგს" „ალიანს არენაზე" ძირითადი მეკარე **რენე ადლერი** დააკლდება - ეს უკანასკნელი ტრავმირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნთან" „ჰამბურგის" კარს სათადარიგო გოლკიპერი, **იაროსლავ დრობნი** დაიცავს.

დისკვალიფიკაციის გამო „ბაიერნს" **ჟერომ ბოატენგი** აკლია, „ჰამბურგს" კი - **მაქსიმილიან ბაისერი**. ბავარიელებმა სამშაბათს ამ სეზონში პირველი ოფიციალური მატჩი წააგეს (2:3 „სიტისთან"), მაგრამ ამ წაგებაზე გასაგები მიზეზების გამო არ უდარდიათ. ბუნდესლიგაში კი რეკორდმაისტერი ქვას ქვაზე არ ტოვებს და ამიტომაც ალაპარაკდა საფეხბურთო გერმანია იმაზე, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა მოსაწყენი გახდა. თუმცა „ბაიერნის" სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** ამბობს, აქცენტს მოსაწყენობაზე კი არ უნდა ვაკეთებდეთ, არამედ „ბაიერნის" შედეგებს უნდა ვაფასებდეთ და რეკორდმაისტერს უნდა ვაქებდეთო.

**გოტფრიდ ლენცი**

14.12 მიუნხენი. ალიანს არენა 18:30

**ბაიერნი**

ბოლო 6 მატჩი

+6=0-0+2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 96 თამაში: +56=21-19, (209:98)

**ჰამბურგი**

სავარაუდო შემადგენლობები

ბაიერნი: ნოიერი; ვან ბუიტენი, დანტე; ლამი, ალაბა; ხ. მარტინესი; ალკანტარა, კროოსი; მიულერი, რიბერი; გიოტცე

ჰამბურგი: ლასოგა; ვან დერ ვაარტი; ჩალჰანოღლუ, ილიჩევიჩი; არსლანი, ბადელი; იანსენი, ჯიროუ, თაა, მანსიენი; ადლერი

● კოპა სუდამერიკანა. ფინალი. საპასუხო მატჩი.

# სუდამერიკანა ლანუსმა მოიგო

**ლანუსი-პონტე პრეტა 2:0 (1:1)**

**გოლები:** 1:0 ვ. აიალა (25), 2:0 ბლანკო (45)



ლანუსი ზეიმობს

როგორც მოსალოდნელი იყო, კოპა სუდამერიკანას საპასუხო ფინალური შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა და არგენტინის ჩემპიონობისთვის მებრძოლმა „ლანუსმა" ისტორიაში მეორე საერთაშორისო ტიტული მოიპოვა - 1996 წელს „ლანუსი" სუდამერიკანას წინამორბედის, „კოპა კონმებოლის" გამარჯვებული გახდა. ახლა, **გილერმო ბაროს შელოტოს** გუნდს ისტორიული დუბლის შესრულების შანსი აქვს. კვირას არგენტინის ჩემპიონატის ბოლო ტურის ცენტრალური მატჩები გაიმართება და თუ „ნიუელსს" მოუგებს, „ლანუსს" საჩემპიონო, „ოქროს მატჩში" მონაწილეობის შანსი გაუჩნდება.

სუდამერიკანას ფინალში კი არგენტინელთა უპირატესობა ეჭვქვეშ არ დამდგარა. „ლანუსი" ისედაც ფავორიტი იყო, ბრაზილიაში ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ კი მის საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი ცოტას თუ ეპარებოდა. „პონტე პრეტა" ბრაზილიის უმაღლესი ლიგიდან გავარდა და რა გასაკვირია, რომ არგენტინის ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა, უკვე სერია B-ს ბინადარს შინ მოუგო. მასპინძლებმა შეხვედრის და მთლიანად ტურნირის ბედიც პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს. 25-ე წუთზე თავი პარაგვაის ნაკრების წევრმა **ვიქტორ აიალამ** გამოიჩინა, რომელსაც საგოლე გადაცემა **ისმაელ ბლანკომ** გაუკეთა, არბიტრის მიერ დამატებულ წუთებზე კი გოლი თავად ბლანკომ გაიტანა. მეორე ნახევარში არაფერი შეცვლილა და „ლანუსმა" ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

**ტატო ბაციკაძე**

● ესპანეთი. ლა ლიგა. XVI ტურის წინ



2012 წელს [...]ლდომ „რეინო დე ნავარაზე" ორი გოლი გაიტანა

# ლა ლიგა საინტერესო მატჩებით ბრუნდება

### 13 დეკემბერი

**ლევანტე-ელჩე 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ლელი, დ. ნავარო, ივანშიტცი, ელ ადუა, ექტორ როდასი, ბ. დიავარა, პალიარდო - მანუ დელ მორალი, ა.ხიმენესი

ურთიერთშეხვედრები

სულ 18 თამაში: +7 =9 -2 (26:18)

ბოლო 6 მატჩი

+1 =1 -4 (4-7) | +2 =2 -2 (7-8)

### 14 დეკემბერი

**ოსასუნა-რეალი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** პუნიალი (ოსასუნა)

**ტრავმა:** სისი, ნინო - ხედირა, ვარანი, ფ. კოენტრაო

ურთიერთშეხვედრები

სულ 28 თამაში: +5 =6 -17 (28:55)

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (4-10) | +5 =0 -1 (25-8)

**ვალეკანო-გრანადა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** საულ ნიგესი - ბუონანოტე

**ტრავმა:** გალვესი, როდრი, ა. პერეა, ზე კასტრო, სება ფერნანდესი, ხოსე კარლოსი - მაინსი

ურთიერთშეხვედრები

სულ 6 თამაში: +3 =2 -1 (6:5)

ბოლო 6 მატჩი

+1 =1 -4 (8-15) | +3 =0 -3 (7-9)

**მალაგა-ხეტაფე 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბორხა, სერხიო ესკუდერო (ხეტაფე)

**ტრავმა:** ი. კამაჩო, ელ ჰამდაუი, კასადო, სანტა კრუსი, ფლავიო - ლაფიტა, ლისანდრო ლოპესი

ურთიერთშეხვედრები

სულ 18 თამაში: +9 =3 -6 (28:26)

ბოლო 6 მატჩი

+1 =2 -3 (6-13) | +3 =1 -2 (6-9)

14.12 ბარსელონა. კამპ ნოუ 23:00

**ბარსელონა**

ურთიერთშეხვედრები

სულ 28 თამაში: +13 =7 -8 (48:36)

ბოლო 6 მატჩი

+5 =0 -1 (14-3) | +2 =2 -2 (6-6)

**ვილიარეალი**

სავარაუდო შემადგენლობები

ბარსელონა: პინტო; პიკე, მასკერანო; ალვეში, ალბა; ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა; სანჩესი, ნეიმარი; ფაბრეგასი

ვილიარეალი: პ. უჩე, დოს სანტოსი; კანი, პინა, ტრიგეროსი, ხ. აკინო; იოკიჩი, პაულისტა, მუსაკიო, მარიო; ასენხო

დისკვალიფიკაცია: ადრიანო - ბრუნო

ტრავმა: მესი, ვ. ვალდესი, ჯონათან დოს სანტოსი, აფელაი - ფარინიოსი

### 15 დეკემბერი

**ალმერია-ესპანიოლი 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** ხავი ლოპესი (ესპანიოლი)

**ტრავმა:** პელერანო, როდრი, კორონა - .

ურთიერთშეხვედრები

სულ 8 თამაში: +3 =1 -4 (9:12)

ბოლო 6 მატჩი

+3 =0 -3 (5-10) | +1 =1 -4 (6-10)

**სოსიედადი-ბეტისი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** გრანერო, გ. კასტრო, ესტრადა, იფრანი - ბ. როდრიგესი, პერკისი, ნოსა იგიებორი

ურთიერთშეხვედრები

სულ 30 თამაში: +8 =10 -12 (29:39)

ბოლო 6 მატჩი

+4 =1 -1 (17-11) | +0 =2 -4 (5-18)

**სევილია-ბილბაო 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** რაკიტიჩი (სევილია)

**ტრავმა:** პეროტი, ვიტოლო, პარეხა, ტროხოვსკი, მარინი, ჩერიშევი, სისინიო - კიკე სოლა

ურთიერთშეხვედრები

სულ 36 თამაში: +17 =10 -9 (58:40)

ბოლო 6 მატჩი

+4 =0 -2 (14-11) | +4 =1 -1 (8-6)

**ატლეტიკო-ვალენსია 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** მარიო სუარესი - გუაიტა

ურთიერთშეხვედრები

სულ 42 თამაში: +11 =12 -19 (46:64)

ბოლო 6 მატჩი

+5 =1 -0 (19-2) | +2 =1 -3 (9-10)

### 16 დეკემბერი

**ვალიადოლიდი-სელტა 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** სასტრე (ვალიადოლიდი)

**ტრავმა:** რამა, ოსკარი, ვიქტორ პერესი - სამუელ ლორკა

ურთიერთშეხვედრები

სულ 32 თამაში: +5 =11 -16 (30:50)

ბოლო 6 მატჩი

+0 =3 -3 (6-12) | +3 =0 -3 (12-10)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 15 | 13 | 1 | 1 | 42-9 | 40 |
| 2. ატლეტიკო | 15 | 13 | 1 | 1 | 40-9 | 40 |
| 3. რეალი | 15 | 12 | 1 | 2 | 44-17 | 37 |
| 4. ბილბაო | 15 | 9 | 2 | 4 | 23-19 | 29 |
| 5. ვილიარეალი | 15 | 8 | 4 | 3 | 25-14 | 28 |
| 6. სოსიედადი | 15 | 6 | 5 | 4 | 25-21 | 23 |
| 7. ხეტაფე | 15 | 7 | 2 | 6 | 18-21 | 23 |
| 8. სევილია | 15 | 6 | 4 | 5 | 29-27 | 22 |
| 9. ვალენსია | 15 | 6 | 2 | 7 | 21-23 | 20 |
| 10. ესპანიოლი | 15 | 5 | 3 | 7 | 18-21 | 18 |
| 11. ელჩე | 15 | 4 | 5 | 6 | 15-20 | 17 |
| 12. გრანადა | 15 | 5 | 2 | 8 | 12-19 | 17 |
| 13. ლევანტე | 15 | 4 | 5 | 6 | 13-21 | 17 |
| 14. სელტა | 15 | 4 | 3 | 8 | 20-23 | 15 |
| 15. მალაგა | 15 | 3 | 5 | 7 | 17-22 | 14 |
| 16. ოსასუნა | 15 | 4 | 1 | 10 | 11-25 | 13 |
| 17. ვალეკანო | 15 | 4 | 1 | 10 | 15-36 | 13 |
| 18. ვალიადოლიდი | 15 | 2 | 6 | 7 | 16-25 | 12 |
| 19. ალმერია | 15 | 3 | 3 | 9 | 16-32 | 12 |
| 20. ბეტისი | 15 | 2 | 4 | 9 | 14-30 | 10 |

**ბომბარდირები:** 17 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 15 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 9 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)

**პრიმერა დივიზიონი ორკვირიანი პაუზის შემდეგ რამდენიმე ძალიან საინტერესო მატჩით გვიბრუნდება. მე-16 ტურის ცენტრალური შეხვედრა „კამპ ნოუზე" გაიმართება, სადაც „ბარსელონა" „ვილიარეალს" უმასპინძლებს. არანაკლებ რთული მატჩები ელით ჩემპიონატის სხვა ლიდერებსაც - „ატლეტიკო" „ვალენსიას" ხვდება, „რეალი" კი პამპლონას ეწვევა.**

### ბარსელონა-ვილიარეალი

„სელტიკის" განადგურების შემდეგ ხასიათზე მოსული „ბარსელონა" მეხუთე ადგილზე მყოფ „ვილიარეალს" უმასპინძლებს, რომელთანაც წელს ვერც „ატლეტიკომ" იმარჯვა და ვერც „რეალმა", თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ლიდერს „ყვითელი წყალქვეშა ნავი" „ელ მადრიგალზე" ეთამაშა, აი, „ბარსას" კი „ნოუ კამპზე" ხვდება, სადაც კატალონიურ გუნდს ჯერ ქულა არ დაუკარგავს.

ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი **ხერარდო მარტინოს** შეგირდებმა ბილბაოს „ატლეტიკთან" წააგეს, მაგრამ მას შემდეგ ჯერ ესპანეთის თასზე იმარჯვეს („კარტახენასთან", 4:1), შემდეგ კი „სელტიკი" შეარცხვინეს (6:1). კატალონიელებს **ადრიანოს** იმედი არ უნდა ჰქონდეთ - ბრაზილიელი დისკვალიფიცირებულია. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა **ჟორდი ალბა**, რომელიც ძირითად შემადგენლობაში უნდა ვიხილოთ. საეჭვოა **დანი ალვეშის** ასპარეზობა. თუ ბრაზილიელი მზად არ იქნება, სასტარტო შემადგენლობაში **მარტინ მონტოია** უნდა მოხვდეს.

კარგი ამბებია სტუმართა ბანაკშიც: გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ჯოვანი დოს სანტოსი** ჯანზეა და ყოფილ გუნდთან სათამაშოდ ემზადება. მექსიკელმა ფეხბურთელმა წინა ტურის შეხვედრაშიც ითამაშა და თასზეც („ელჩესთან, 2:2) იასპარეზა, სადაც თავი გოლითაც გამოიჩინა.

### რეალი პამპლონაში, „ლამურები" მადრიდში

რთული მატჩების მოლოდინში არიან მადრიდული კლუბებიც - „რეალს" პამპლონაში თითქმის ყოველთვის უჭირს, „ატლეტიკოს" კი „ვალენსიასთან" ჩემპიონატში უკვე 6 მატჩია არ მოუგია, თუმცა ამ სეზონში „ოსასუნა" შინ დიდი წარმატებით ვერ თამაშობს, „ვალენსიას" კი ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი სეზონი აქვს.

„რეინო დე ნავარაზე" ჩატარებული 7 მატჩიდან „ოსასუნამ" მხოლოდ 2 მოიგო და 1 დაასრულა ფრედ, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფრეს გუნდმა „ბარსელონასთან" მიაღწია. „სამეფო კლუბს" ამ სტადიონზე ჩატარებული ბოლო 5 მატჩიდან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული, შარშანდელი შეხვედრა კი ფრედ, 0:0 დასრულდა. **კარლო ანჩელოტის** პამპლონაში თითქმის უძლიერესი შემადგენლობა მიჰყავს - „რეალს" მხოლოდ **სამი ხედირა, ფაბიო კოენტრაო** და **რაფაელ ვარანი** არ ეყოლება. რაც მთავარია, ჯანმრთელადაა **კრიშტიანო რონალდო**, რომელმაც შუა კვირაში „კოპენჰაგენს" გაუტანა და ჩემპიონთა ლიგის რეკორდსმენიც გახდა.

ჩემპიონთა ლიგაზე იმარჯვა „ატლეტიკომაც", რომელიც ამ ტურში „ვალენსიას" უმასპინძლებს და ამ გუნდთან ჩემპიონატში არსებული 6-მატჩიანი მოუგებელი სერიის დასრულებას ეცდება. „როხიბლანკომ" „ლამურებს" 2012 წელს ორჯერ კი მოუგო, მაგრამ ეს მატჩები ევროპალიგის ეგიდით გაიმართა, აი, ლა ლიგაში კი უკანასკნელი გამარჯვება მადრიდელებმა 2010 წელს მოიპოვეს, როდესაც შინ 9-კაციანი „ვალენსიას" 4:1 სძლიეს.

„ვისენტე კალდერონზე" „ატლეტიკოს" ბოლო 7 მატჩი აქვს მოგებული (ჩემპიონატში). თუ ეს წარმატებული სერია გააგრძელა, არაა გამორიცხული, **დიეგო სიმეონეს** გუნდი ამ ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერიც გახდეს.

კიდევ ერთი საინტერესო მატჩი სევილიაში უნდა გაიმართოს - „სევილია" ბილბაოს „ატლეტიკის" წინააღმდეგ. ორივე გუნდი შესანიშნავ ფორმაშია - ზედიზედ მოპოვებული სამ-სამი გამარჯვების წყალობით, ბასკები მეოთხე ადგილზე გადავიდნენ, „სევილია" კი მერვეა და მეტოქეს 7 ქულით ჩამორჩება. სტუმრებს საკადრო პრობლემა თითქმის არ აქვთ (მხოლოდ კიკე სოლა აკლიათ), აი, **უნაი ემერის** კი რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი აკლია, მაგრამ მიუხედავად ამისა, „სევილიას" საკმაო რაოდენობის მაღალი დონის შემსრულებელი ჰყავს და „ატლეტიკს" „სანჩეს პისხუანზე" იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის.

**ტატო ბაციკაძე**



ქართული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. XVI ტურის წინ

# ტოტი ბრუნდება!

## როგორ მიიღებს ნეაპოლი მაცარის?

### 14 დეკემბერი

**კატანია-ვერონა 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** იანკოვიჩი (ვერონა).

**ტრავმა:** ისკო, ბირაგი, ალმირონი, ბელუში, ბერგესიო - ჩირილიანო.

ბოლო 6 შეხვედრა

1-0-5 | 3-0-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 8 თამაში: +2=4-2, (10-6)

### 15 დეკემბერი

**კიევო-სამპდორია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** დრამე (კიევო).

**ტრავმა:** კალელო, კლეიტონი - ბარილა, კასტელინი.

ბოლო 6 შეხვედრა

3-2-1 | 1-2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 22 თამაში: +3=10-9, (17-27)

**ფიორენტინა-ბოლონია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ამბროზინი (ფიორენტინა).

**ტრავმა:** გომესი, აგაცი, ვეჩინო - კერუბინი, პერესი, სორენსენი, მოსკარდელი.

ბოლო 6 შეხვედრა

3-0-3 | 1-3-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 24 თამაში: +8=11-5, (29-26)

**ჯენოა-ატალანტა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მანფრედინი - კაცოლა.

**ტრავმა:** ზე ედუარდო, პორტანოვა, კუჩკა, სანტანა - სტენდარდო, იეპესი, რაიმონდი, დელ გროსო, ბელინი, ბონავენტურა.

ბოლო 6 შეხვედრა

3-2-1 | 1-2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 18 თამაში: +7=4-7, (18-20)

**ლაციო-ლივორნო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მაური - დე ლუჩა.

**ტრავმა:** გონსალესი, პერეირინია - ბოტა, პიჩინი.

ბოლო 6 შეხვედრა

0-3-3 | 1-2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 10 თამაში: +7=1-2, (18-8)

**პარმა-კალიარი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პაროლო - კონტი.

**ტრავმა:** პავარინი, გალოპა, გარგანო - იბარბო.

ბოლო 6 შეხვედრა

1-3-2 | 2-2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 28 თამაში: +14=6-8, (44-31)

**უდინეზე-ტორინო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** დომიცი - ჟილე.

**ტრავმა:** რანიეგი, მურიელი, ბუბნიჩი - ლარონდო, ბოვო.

ბოლო 6 შეხვედრა

2-1-3 | 2-3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 18 თამაში: +9=5-4, (19-15)

**იუვენტუსი-სასუოლო 21.30**

**დისკვალიფიკაცია:** მარკიზიო - ბერარდი.

**ტრავმა:** პეპე - ტერანოვა, გომესი, ფარიასი.

ბოლო 6 შეხვედრა

6-0-0 | 2-2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 0 თამაში: +0=0-0, (0-0)

### 16 დეკემბერი

**მილანი-რომა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** პანიჩი (რომა).

**ტრავმა:** პაცინი, ამელია, სილვესტრი, რობინიო, აბატე, ელ შაარავი - ბალცარეტი, ბორიელო.

ბოლო 6 შეხვედრა

1-4-1 | 2-4-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 42 თამაში: +15=14-13, (50-52)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 15 | 13 | 1 | 1 | 31-10 | 40 |
| 2. რომა | 15 | 11 | 4 | 0 | 29-5 | 37 |
| 3. ნაპოლი | 15 | 10 | 2 | 3 | 31-17 | 32 |
| 4. ინტერი | 15 | 7 | 7 | 1 | 34-17 | 28 |
| 5. ფიორენტინა | 15 | 8 | 3 | 4 | 29-19 | 27 |
| 6. ვერონა | 15 | 8 | 1 | 6 | 27-25 | 25 |
| 7. ტორინო | 15 | 4 | 7 | 4 | 24-23 | 19 |
| 8. ჯენოა | 15 | 5 | 4 | 6 | 16-18 | 19 |
| 9. მილანი | 15 | 4 | 6 | 5 | 23-23 | 18 |
| 10. პარმა | 15 | 4 | 6 | 5 | 22-24 | 18 |
| 11. კალიარი | 15 | 4 | 6 | 5 | 17-23 | 18 |
| 12. ლაციო | 15 | 4 | 5 | 6 | 19-22 | 17 |
| 13. ატალანტა | 15 | 5 | 2 | 8 | 16-20 | 17 |
| 14. უდინეზე | 15 | 5 | 2 | 8 | 15-19 | 17 |
| 15. კიევო | 15 | 4 | 3 | 8 | 12-18 | 15 |
| 16. სამპდორია | 15 | 3 | 5 | 7 | 17-24 | 14 |
| 17. სასუოლო | 15 | 3 | 5 | 7 | 17-31 | 14 |
| 18. ლივორნო | 15 | 3 | 4 | 8 | 15-25 | 13 |
| 19. ბოლონია | 15 | 2 | 6 | 7 | 16-28 | 12 |
| 20. კატანია | 15 | 2 | 3 | 10 | 10-28 | 9 |

**ბომბარდირები:** 12 - როსი (ფიორენტინა); 9 - პალასიო (ინტერი); 8 - ჩერჩი (ტორინო); 7 - ტევესი (იუვენტუსი), ბერარდი (სასუოლო), კალეხონი (ნაპოლი), იგუაინი (ნაპოლი), ფრელო (ვერონა), ჯილარდინო (ბოლონია).

15.12 ნეაპოლი. სან პაოლო 23:45

**ნაპოლი**

ბოლო 6 შეხვედრა

3-1-2 | 2-4-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 26 თამაში: +9=4-13, (27-34)

**ინტერი**

სავარაუდო შემადგენლობები

ნაპოლი: რეინა; ალბიოლი, ბრიტოსი; მაჯო, არმერო; ბერამი, ინლერი; პანდევი; კალეხონი, მერტენსი; იგუაინი

ინტერი: პალასიო; ბუარინი, რ. ალვარესი; კანეტი, ჟონათანი; კამბიასო, ტაიდერი; ჟესუსი, როლანდო, კამპანიარო; ჰანდანოვიჩი

დისკვალიფიკაცია: არავინ.

ტრავმა: ცუნიგა, ჰამშიკი - კივუ, მილიტო, მარიგა, სამუელი, კუზმანოვიჩი.

**იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ჯერ კიდევ ევრობატალიებს არჩევენ, კარს კი სერია A-ს მორიგი ტური მოგვადგა. არადა, წინ ისეთი მატჩები გველოდება, ყველა და ყველაფერი რომ შეუძლია დაჩრდილოს. მე-16 ტურში, ორი სუპერჯახია: „სან სიროზე" „მილანი" „რომას" უმასპინძლებს, „სან პაოლოზე" კი „ნაპოლი" „ინტერს".**

### შანსები თანაბარია

მერე რა, რომ „მილანი" კრიზისშია, „რომა" კი მიმდინარე ჩემპიონატში დაუმარცხებლად ასპარეზობს - როგორც დედაქალაქელთა თავკაცმა **რუდი გარსიამ** განაცხადა, მოახლოებულ პაექრობაში შანსები აბსოლუტურად თანაბარია. გარსია არ იპრანჭება - მართლაც ვერ დავიჩემებთ, რომ „რომა" „სან სიროზე" ფავორიტის რანგში ჩადის - „მილანი" მაინც „მილანი", რომელსაც საკუთარ მოედანზე ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია.

**მასიმილიანო ალეგრი** კვლავ 4-3-2-1 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე გამწესებულ **მარიო ბალოტელის** მოედნის სიღრმიდან **კაკას** და **ვალტერ ბირსას** მიახმარს. **სტეფან ელ შაარავის** მიკროტრავმა აქვს და ბოლო ინფორმაციით, ამ მნიშვნელოვან პაექრობას გამოტოვებს.

თუმცა, მთავარი ამბავი მაინც „რომას" ბანაკიდან მოვიდა - **ფრანჩესკო ტოტი** სრულ მზადყოფნაშია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „როსონერის" პირველივე წუთებიდან შეუტევს. რომაელები კაპიტანს დიდხანს ელოდნენ და ეს ნანატრი დღეც ახლოვდება. მოკლედ, „რომას" შეტევაში ისევ ეყოლება **ჟერვინიო** - ტოტის ტანდემი...

ჩემპიონთა ლიგის გადამკიდე, მასიმილიანო ალეგრის წინასამატჩო კომენტარებისთვის არ ეცალა, გარსიამ კი მეტოქე შეაქო და განაცხადა, რომ კრიზისში მყოფი „მილანი" შესაძლოა კიდევ უფრო საშიში იყოს, ვიდრე ლიდერთა შორის მყოფი და დალხენილი. ვნახოთ.

### მატჩი 6 ქულისთვის

„სან პაოლოზე" ერთმანეთის პირისპირ „ნაპოლი" და „ინტერი" წარდგებიან. თუ **რაფაელ ბენიტესის** გუნდი გაიმარჯვებს, მილანურ გრანდს მთელი 7 ქულით გაუსწრებს და ამით, ლიდერთა ტრიოს კიდევ უფრო გამოკვეთავს, **ვალტერ მაცარის** გუნდის გამარჯვების შემთხვევაში კი ჩემპიონთა ლიგის ზონასთან ვითარება უკიდურესად დაიძაბება. მწვრთნელები ვახსენეთ და არ უნდა აგვერიოს - დღეს, რაფაელ ბენიტესი „ნაპოლის" თავკაცია, ვალტერ მაცარი კი „ინტერის" - არადა, სულ ახლოს წარსულში პირიქით იყო. ბუნებრივია, ეს ფაქტორი მატჩს დამატებით ინტრიგას სძენს, განსაკუთრებულად საინტერესო კი მაინც მაცარის ნეაპოლში დაბრუნებაა; ძნელი სათქმელია, როგორ მიიღებენ მას ნეაპოლიტანელი ტიფოზები.

„ნაპოლის" მთავარი დანაკლისი **მარეკ ჰამშიკია**, „ინტერს" კი უკვე დიდი ხანია, **დიეგო მილიტო** აკლია. მთლიანობაში, გუნდები ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობით ითამაშებენ, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება.

**ლაშა წიკლაური**



ფრანჩესკო ტოტის „სან სიროზე" გოლების გატანა ეხერხება

დორტმუნდი ბორუსია

# ასე იზეიმეს დორტმუნდელებმა

## პირველი ლუდი ავტობუსის მძღოლმა გახსნა



დორტმუნდის „ბორუსიამ“ ოთხშაბათს ველოდრომზე 2:1 მოიგო და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში სიკვდილის ჯგუფიდან პირველადგილოსნის რანგში გავიდა

ლუდი ყოველთვის ძალიან გემრიელია, მით უმეტეს გამარჯვების შემდეგ, მაგრამ არსებობს ისეთი გამარჯვებებიც, რომელთა შემდეგ ლუდის დალევა განსაკუთრებული განცხრომაა. სწორედ ასეთი კატეგორიიდანაა ის გამარჯვება, რომელიც დორტმუნდის „ბორუსიამ“ ოთხშაბათს მარსელში იზეიმა.

**კევინ გროსკროიტცმა** გამარჯვების გოლი „ველოდრომზე“ ძირითადი დროის ამოწურვამდე 3 წუთით ადრე გაიტანა და ამ გოლით „ბორუსია“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაიყვანა. თანაც, „დორტმუნდმა“ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და პლეი ოფში შედარებით სუსტ მეტოქეს უნდა ელოდოს.

შესაბამისი იყო **იურგენ კლოპისა** და მისი შეგირდების ზეიმიც მატჩის შემდეგ. ფეხბურთელები ავტობუსში ახალი ჩამსხდრები იყვნენ, როცა ავტობუსის მძღოლმა ლუდის პირველი ბოთლები გახსნა, ხეირიანი სმა კი მოგვიანებით, სასტუმროში დაიწყო.

*„ჰო, ლუდი მართლაც ვსვით. ასეთი მატჩის შემდეგ ალკოჰოლი აუცილებელია, მაგრამ ნუ გეშინიათ, ფეხბურთელები არ დამთვრალან! უბრალოდ, გამარჯვება შევირგეთ! 2-3 კათხა ლუდი ყველასათვის, რა თქმა უნდა, კევინ გროსკროიტცმა იკისრა. იმდენად მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა, რომ საკისრებელი სწორედაც ჰქონდა,“* - აღნიშნა კლოპმა.

„ბორუსიას“ გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** ფეხბურთელები სასტუმროს ნომრებში დილის 4 საათზე არეკა - ბევრსაც ნუ ვიზეიმებთ, რაც უნდა იყოს, მხოლოდ მერვედფინალში გავედით, შაბათს კი „ჰოფენჰაიმთან“ რთული მატჩი გველისო. „ბორუსიას“ ახლა გამარჯვებები განსაკუთრებით ბუნდესლიგაში სწყურია...

**გოტფრიდ ლენცი**

შალკე

# შალკეს მოგება ძვირად დაუჯდა

## დრაქსლერისა და ჰიოვედესისთვის 2013 წელი უკვე დამთავრდა

„ბაზელთან“ გამარჯვებამ „შალკე“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაიყვანა. ცნობისათვის, ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველად მოხდა ისე, რომ მერვედფინალში ოთხი გერმანული კლუბი ითამაშებს. გელზენკირხენელები მიღწეულით ბედნიერები არიან, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იენს კელერმა** დიდი ხნის შემდეგ პირველად გაიღიმა, თუმცა თუ ჩვენს გერმანელ კოლეგებს დავუჯერებთ, ამ სპეციალისტს „შალკეში“ მომავალი მაინც არ აქვს და რომ მეორე წრიდან „ხუმარებს“ სხვა (სავარაუდოდ, **თომას შააფი**) დამრიგებელი ეყოლებათ.

თუმცა მანამდე, ანუ, გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებამდე „შალკეს“ ბუნდესლიგაში ორი მატჩი დარჩა ჩასატარებელი და ცუდი ის არის, რომ „ბაზელთან“ გამარჯვებას გელზენკირხენული კლუბის ორი ლიდერი შეეწირა. 25 წლის კაპიტანი **ბენედიქტ ჰიოვედესი** და 20 წლის შემტევი ნახევარმცველი **იულიან დრაქსლერი** მძიმედ დაშავდნენ და მათთვის საფეხბურთო 2013 წელი უკვე დამთავრებულია - დრაქსლერი და ჰიოვედესი ბუნდესლიგის მეორე წრემდე ველარ ითამაშებენ.

ჰიოვედესმა ტრავმა 29-ე წუთზე, **მარკო შტრელერთან** ორთაბრძოლის შემდეგ მიიღო და შესაცვლელი გახდა, დრაქსლერი კი 67-ე წუთზე დაშავდა. *„სამწუხაროდ, გამარჯვება ძალიან ძვირად დაგვიჯდა. ჰიოვედესისა და დრაქსლერის არყოფნა ბუნდესლიგის პირველი წრის დარჩენილ შეხვედრებში ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნება,“* - თქვა მატჩის შემდეგ კელერმა.

„შალკეს“ კვირას „ფრაიბურგთან“ მატჩი ელის, მერე კი „ნიურნბერგს“ უნდა შეხვდეს. კელერისთვის პრობლემაა ისიც, რომ მცველები **მარკო ჰიოგერი** და **დენის აოგოც** დაშავებულები არიან.

**გოტფრიდ ლენცი**



იულიან დრაქსლერი ბაზელთან დაშავდა

არსენალი

# ზედიზედ მეთოთხმეტედ

„არსენალმა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში დანის პირზე გაიარა და გადარჩა. „ნაპოლის“ მიზნამდე ერთი გოლი დააკლდა. თამაშის დასრულების შემდეგ **ვენგერმა** თავისუფლად ამოისუნთქა, თუმცა ის, რომ შესაძლოა, ძალიან არ გაუმართლოს და ტურნირის უპირველეს ფავორიტებს მომდევნო ეტაპზევე გადაეყაროს, ფრანგს სერიოზულ სანერვიულოს უჩენს.

არსენ ვენგერი (არსენალი): *გვიხარია, რომ განსაცდელს თავი ავარიდეთ, თუმცა მიზნის მიღწევა ნერვების წყვეტად კი დაგვიჯდა. იტალიელებთან თამაშს მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ. მეორე ტაიმში აშკარად დაგვალალატა ფიზიკურმა მომზადებამ, რადგან ქვეცნობიერად კვირის თამაშზეც ვფიქრობდით. „ნაპოლიმ“ გვაიძულა, რიგ ეპიზოდებში შესაძლებლობების ზღვარზე გვეთამაშა. რაკი გოლი ვერ გაგვქონდა, ამით მასპინძელს მეტ შანსს ვაძლევდით. შესაძლოა, იმანაც შეგვიწყო ხელი, რომ პარალელურად „დორტმუნდი“ ბოლო წუთებამდე 1:1-ს თამაშობდა, რაც „ნაპოლის“ შედარებით ამშვიდებდა. არტეტას წითელი ბარათი? მან დამარწმუნა, რომ ეპიზოდში წესის დარღვევას ადგილი არ ჰქონია და არბიტრმა უბრალოდ იჩქარა. ჩემი აზრით, მისთვის მეორე „ყვითლის“ ჩვენება, მეტისმეტად მკაცრი გადაწყვეტილება იყო.*

*ცუდია, რომ მეორე ადგილზე გავედით. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვალდებულები ვიყავით უკეთესი შედეგი გვეჩვენებინა. ახლა კენჭისყრა ძლიერ მეტოქეს შეგვახვედრებს, რაც ბოლო 4-5 წლის განმავლობაში ჩვენი ერთგვარი ტრადიციაა 1/8-ფინალში. ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში ზედიზედ მეთოთხმეტედ გავედით. იმედია, ბედი ამჯერად მაინც არ გაგვწირავს“.*



მიკელ არტეტა ვიქტორ კაშაის გადაწყვეტილებით იმედგაცრუებული დარჩა

**ლევან ბიბილაშვილი**

მილანი, იუვენტუსი და ნაპოლი



„მილანი“ „აიაქსთან“ წაქცევას გადაურჩა

# შერცხვენილი იუვე, ამაყი ნაპოლი

## და ფრით მოგებული მილანი

### გამყინვარება ჯოჯოხეთში

აგერ უკვე მესამე წელია, **ანტონიო კონტეს** „იუვენტუსი“ სერია A-ში შეუჩერებელია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაზე წარუმატებლად ასპარეზობს. თუ გასულ სეზონში, „ვეკია სენიორა“ პლეი ოფში გავიდა და მომავალ ჩემპიონთან დამარცხდა, ამჯერად უკვე ჯგუფში ჩარჩა და მსოფლიო მასშტაბით მოიჭრა თავი. ეს ის მომენტია, როდესაც არც შინ ტრიუმფს დაგიფასებენ და ყოველთვის წამოგაძახებენ გარეთ წაქცევას...

იტალიელთა თურქეთში მოგზაურობა ურთულესი გამოდგა - ორ დღეზე გაწელილი მატჩი, გაუთავებელი თოვლი და „ჯოჯოხეთად“ წოდებული სტადიონის საშინელი, გაყინული მინდორი, რომელზეც ფეხბურთის თამაში წარმოუდგენელია. მატჩის ჩატარების წინააღმდეგი იყო ორივე მხარე, თუმცა თამაში შედგა და მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, 1:0. გეცოდინებათ, გოლი მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე გავიდა და მისი ავტორი **ვესლი სნეიდერია**, რომელიც ნამატჩევს ემოციებს ვერ მალავდა. თუმცა, ჩვენ სიტყვა მწვრთნელებს გადავცეთ:

**რობერტო მანჩინი** (გალათასარაი): *„ასეთ პირობებში ფეხბურთის თამაში შეუძლებელია და პირადად მე, მატჩის გადადების მომხრე ვიყავი. თუმცა. უეფამ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო და საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა. ვამაყობ ჩემი შეგირდებით და მიხარია, რომ გულშემატკივარი გავაბედნიერეთ“.*

**ანტონიო კონტე (იუვენტუსი):** *„მატჩის გადადება გვინდოდა მეც და მანჩინისაც, მაგრამ ჩვენი პოზიცია არ გაითვალისწინეს. ვფიქრობ, კარგ მინდორზე ჩვენ ფეხბურთს ვითამაშებდით და მიზნის მიღწევის მეტი შანსი გვექნებოდა. თუმცა, თავის მართლებას არ ვცდილობ - აქამდე არ უნდა მიგვეყვანა საქმე“.*

### გადარჩენილი მილანი

ვერავინ წარმოიდგენდა თუ „მილანი“ „აიაქსთან“ პაექრობას დაცვაში გალევდა და ლომბარდიული გრანდის გულშემატკივრებს ფრე სანატრელი გაუხდებოდათ. ამსტერდამელებმა 20-მდე დარტყმა განახორციელეს მეტოქის კარის მიმართულებით და ეს მაშინ, როდესაც მასპინძლები სულ რამდენჯერმე გადავიდნენ ხეირიანად სტუმართა ნახევარზე. მომენტების აღწერას აღარ მოვყვებით და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ „მილანი“ არაერთხელ იხსნა გაშვებული ბურთისგან **კრისტიან აბიატიმ**. მოკლედ, „მილანმა“ სასურველ ფრეს მიაღწია, მერვედფინალში გავიდა, თუმცა გულშემატკივარი აღფრთოვანებული ვერ დატოვა...

და ეს მიუხედავად იმისა, რომ „აიაქსს“ ლომბარდიელები 10 ფეხბურთელით ებრძოდნენ. დიახ, ჯერ კიდევ 22-ე წუთზე, არბიტრმა **რიკარდო მონტოლივოს** წითელი ბარათი აუფრიალა. გასაგებია, რომ კაცნაკლული თამაში ადვილი არაა, მაგრამ „მილანს“ საკუთარ კედლებში მაინც მეტი მოეთხოვება, თანაც ასეთ არავარსკვლავურ „აიაქსთან“.

**მასიმილიანო ალეგრი** (მილანი): *„რთული იყო „აიაქსთან“ კაცნაკლული თამაში, მაგრამ საბედნიეროდ, სასურველ მიზანს მივაღწიეთ. კარგია, რაც კარგად მთავრდება და შეგირდთა მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. შესანიშნავად ითამაშეს მცველებმა, თუმცა არც მეკარე უნდა დავივიწყოთ. მარიო ბალოტელიმაც დიდი შრომა გასწია და მთლიანობაში, დამსახურებულად გავედით მერვედფინალში“.*

**ფრანკ დე ბური** (აიაქსი): *„იმ ორი მატჩიდან თუ ვიმსჯელებთ, რაც ჩვენ „მილანთან“ ვაჩვენეთ, „აიაქსი“ გასავარდნად ცოდვა იყო. ვფიქრობ, რომ ამ მატჩით ანტიფეხბურთმა იმარჯვა. რა თქმა უნდა, დღევანდელი თამაშის მიმდინარეობა გაძევებამ გადაწყვიტა, თუმცა მონტოლივოს გაძევება სამართლიანი იყო. ის კი არა, „მილანს“ გაუმართლა, მეორე ტაიმში მსაჯმა მას ბალოტელიც რომ არ მიაყოლა. ფეხბურთში ყოველთვის ძლიერი ვერ იმარჯვებს“.*

### დე ლაურენტისი: მხოლოდ ჩვენით ამაყობს იტალია!

სიკვდილის ჯგუფს „მარსელთან“ ერთად „ნაპოლი“ ემსხვერპლა, თუმცა სამხრეთიტალიელები ტურნირს თავაწეულნი ტოვებენ. **რაფაელ ბენიტესის** შეგირდებმა „არსენალს“ პირველ ტაიმში ბევრი ვერაფერი დაუპირისპირეს, მეორეში კი გამოცოცხლდნენ და ორი უპასუხო გოლიც გაიტანეს. თუმცა, დორტმუნდის „ბორუსიას“ საფრანგეთში გამარჯვების გამო, კიდევ ერთი გოლის გატანა იყო საჭირო - ამისთვის ნეაპოლელებს არც დრო ეყოთ და ალბათ, არც კლასი...

და მაინც, „ნაპოლი“ ამაყი ტოვებს ჩემპიონთა ლიგას, რაზეც კლუბის პრეზიდენტ **აურელიო დე ლაურენტისის** სიტყვები მეტყველებს:

*„დამთავრდა თუ არა მატჩი, გასახდელში ჩავედი და ბიჭები გავამხნევე. ჯგუფური ეტაპი ბრწყინვალედ ჩავატარეთ და უბრალოდ არ გაგვიმართლა, რომ მერვედფინალში ვერ გავედით. დღეს ჩვენ ამაყები ვართ - მეტიც, დღეს იტალია მხოლოდ ჩვენით ამაყობს. ვეცდებით, ევროპის ლიგა მოვიგოთ და მომდევნო სეზონისთვის, კვლავ მოვიპოვოთ ჩემპიონთა ლიგის საგზური“.*

**ლაშა ნიკლაური**

europe-bet.com
ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტი VS არსენალი

# გარანტირებულია: არ მოიწყენთ!


პელეგრინი და ვენგერი ერთმანეთს უკვე შეხვედრიან. ფრანგის უპირატესობა აშკარაა: 4 თამაში, 2 მოგება, 2 ფრე. ბურთები 5:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 15 | 11 | 2 | 2 | 30-11 | 35 |
| 2. ლივერპული | 15 | 9 | 3 | 3 | 34-18 | 30 |
| 3. ჩელსი | 15 | 9 | 3 | 3 | 30-17 | 30 |
| 4. სიტი | 15 | 9 | 2 | 4 | 41-15 | 29 |
| 5. ევერტონი | 15 | 7 | 7 | 1 | 23-14 | 28 |
| 6. ტოტენჰემი | 15 | 8 | 3 | 4 | 15-16 | 27 |
| 7. ნიუკასლი | 15 | 8 | 2 | 5 | 20-21 | 26 |
| 8. საუთჰემპტონი | 15 | 6 | 5 | 4 | 19-14 | 23 |
| 9. იუნაიტედი | 15 | 6 | 4 | 5 | 22-19 | 22 |
| 10. სუონსი | 15 | 5 | 4 | 6 | 21-20 | 19 |
| 11. ასტონ ვილა | 15 | 5 | 4 | 6 | 16-18 | 19 |
| 12. ჰალი | 15 | 5 | 3 | 7 | 13-19 | 18 |
| 13. სტოკი | 15 | 4 | 5 | 6 | 15-20 | 17 |
| 14. ნორვიჩი | 15 | 5 | 2 | 8 | 14-28 | 17 |
| 15. ვესტ ბრომვიჩი | 15 | 3 | 6 | 6 | 17-21 | 15 |
| 16. კარდიფი | 15 | 3 | 5 | 7 | 11-22 | 14 |
| 17. ვესტ ჰემი | 15 | 3 | 4 | 8 | 13-19 | 13 |
| 18. ფულჰემი | 15 | 4 | 1 | 10 | 14-26 | 13 |
| 19. პალასი | 15 | 4 | 1 | 10 | 10-22 | 13 |
| 20. სანდერლენდი | 15 | 2 | 2 | 11 | 12-30 | 8 |

**ბომბარდირები:** 15 - ლუის სუარესი (ლივერპული), 12 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 9 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)

## ნამდვილი გამოცდა

„მანჩესტერ სიტისა“ და „არსენალის“ დაპირისპირებათა ისტორია 120 წელიწადს მოიცავს. ეს გუნდები ერთმანეთს პირველად 1893 წლის 11 ნოემბერს შეხვდნენ, თუმცა იშვიათი გამონაკლისების გარდა ერთდროულად არასოდეს სახელდებოდნენ ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტებს შორის. ბოლო წლებში „სიტიში“ დაბანდებულმა არნახულმა ინვესტიციამ ვითარება შეცვალა. მიმდინარე სეზონში კი ყველაზე ხშირად სწორედ ამ ორ გუნდს, „ჩელსისთან“ ერთად, უწინასწარმეტყველებენ ტრიუმფს.

ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში „ქალაქელებიც“ გავიდნენ და „მეთოფეებიც“, ოღონდ განსხვავებული სცენარით. „სიტიმ“ მიუნხენში მოგების შემდეგ კიდევ ერთხელ ირწმუნა საკუთარი ძალების, „არსენალი“ კი ძლივს გადარჩა მესამე ადგილს. მასპინძელს ორი მიზეზი აქვს, რომ თავი ფავორიტად იგრძნოს. „ეტიჰადზე“ გამართულ 7 შეხვედრაში მას მაქსიმალური 21 ქულა აქვს, ბურთების სხვაობა კი უბრალოდ გამაოგნებელია - 29:2. მეტოქეებს განსაკუთრებული საკადრო პრობლემები არ აწუხებთ. გირჩევთ, ხვალ აუცილებლად უყუროთ ამ თამაშს.

## კაპიტნის გარეშე

არანაკლები რამ აქვთ გასახსენებელი ისტორიიდან „ტოტენჰემსა“ და „ლივერპულს“. პირველად ისინი 1894 წლის 26 დეკემბერს შეხვდნენ. მათი დაპირისპირებები უნიკალურია თუნდაც იმიტომ, რომ ჩემპიონატის ეგიდით ჩატარებული თამაშები მხოლოდ უმაღლეს ლიგაში იმართებოდა.

რაც შეეხება გუნდების დღევანდელ მდგომარეობას: მასპინძელი „ეტიჰადზე“ 0:6-ის მერე გონს მალევე მოეგო და ბოლო 3 შეხვედრაში გოლებიც გააქვს და ქულებსაც აგროვებს. „დეზების“ პრობლემა სათამაშო გრაფიკია, თუმცა რაკი **ვილაშ ბოაშის** გუნდს ევროპალიგაზე ყველაფერი წესრიგში აქვს, მას შეუძლია აქცენტის შიდა ასპარეზზე გადატანა. აი, „წითლებს“ კი ჩემპიონატზე მეტი სადარდებელი არც არაფერი აქვთ. თუნდაც **ჯერარდის** გარეშე, მაგრამ მათ შეუძლიათ „უაით ჰართ ლეინზე“ გამარჯვებისთვის ბრძოლა.

### 14 დეკემბერი

**კარდიფი-ვესტ ბრომ. 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბელამი, ტეილორი - რიდი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 | +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 36 თამაში: +12=10-14 (53-58)

**ჩელსი-პალასი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ვან გინკელი - ტომასი, მაკარტი, მარი, გედიურა

ბოლო 6 მატჩი
+3=1-2 | +3=1-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 23 თამაში: +12=9-2 (42-19)

**ევერტონი-ფულჰემი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ჯეიმს მაკარტი -
**ტრავმა:** კონე, გიბსონი, ბეინსი - ბენტი, ამორებიეტა, როდალიეგა, ჰანგელანდი

ბოლო 6 მატჩი
+2=4-0 | +1=0-5
ურთიერთშეხვედრები
სულ 48 თამაში: +27=7-14 (81-46)

**ნიუკასლი-საუთჰემპ. 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** იოან კაბაი -
**ტრავმა:** რ. ტეილორი - კლაინი, ფოქსი, შნაიდერლინი, დევისი, ვანიამა, დო პრადო, ბორუცი

ბოლო 6 მატჩი
+5=0-1 | +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 53 თამაში: +22=13-18 (83-70)

**ვესტ ჰემი-სანდერლ. 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** კევინ ნოლანი -
**ტრავმა:** რიდი, პეტრიჩი, ვას ტე, კეროლი - ვესტვუდი

ბოლო 6 მატჩი
+1=1-4 | +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 67 თამაში: +24=17-26 (97-101)

**ჰალ სიტი-სტოკი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** - ჯონათან უოლტერსი
**ტრავმა:** ქუინი, ალუკო - პიტერსი, ჰუთი

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 | +2=3-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 10 თამაში: +2=4-4 (10-12)

### 15 დეკემბერი

**ასტონ ვილა-იუნაიტედი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ფაბიან დელფი -
**ტრავმა:** კოზაკი, ლუნა, ვლაარი, ბენეტი, ნზოგბია, ოკორე - ევრა, ვიდიჩი, ფელაინი, სმოლინგი, კერიკი, ფლეტჩერი

ბოლო 6 მატჩი
+2=3-1 | +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 155 თამაში: +38=37-80 (196-286)

**ნორვიჩი-სუონსი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** - ჩიკო ფლორესი
**ტრავმა:** ბენი, ბენეტი, სნოდგრასი, პილკინგტონი, ტეტი - ბრიტონი, ვასკესი, რანხელი, მონკი, ვორმი

ბოლო 6 მატჩი
+3=0-3 | +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 10 თამაში: +5=1-4 (18-20)

**ტოტენჰემი-ლივერპული 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კირიკეში, ვერტონგენი, ადებაიორი, კეინი, ერიქსენი - ჯერარდი, სტარიჯი, ხ. ენრიკე, კოატესი

ბოლო 6 მატჩი
+2=2-2 | +3=1-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 143 თამაში: +42=36-65 (167-222)

---

14.12 ლონდონი. ეტიჰადი **16:45**

**სიტი**

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 | +4=1-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 161 თამაში: +40=38-83 (176-268)

**არსენალი**

სავარაუდო შემადგენლობები

სიტი: პანტილიმონი; კომპანი, დემიკელისი, საბალეტა, კოლაროვი; ფერნანდინიო, ნასრი, ტურე, სილვა; აგუერო, ნეგრედო

არსენალი: ჟირუ; კასორლა, უილშირი, იოზილი, რემსი, არტეტა; გიბსი, ჯენკინსონი, კოშელნი, მერტეზაკერი; შჩესნი

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** რიჩარდსი, ნასტასიჩი - მიაიჩი, დიაბი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი, სანოგო

---

ამბები


ოლა ტოივონენი

## ლივერპული მომავალზე ფიქრობს

„ეინდჰოვენის“ 27 წლის შვედ შემტევს **ოლა ტოივონენს** სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება. როგორც ამბობენ, ფეხბურთელი კარიერის გაგრძელებას ინგლისში აპირებს. მისით „ლივერპულია“ დაინტერესებული. „წითლები“ სატრანსფერო ფანჯრისთვის აქედანვე ემზადებიან და პსვ-ს ფეხბურთელის იჯარით დათმობას სთავაზობენ, რაც „ფილიპსელებს“ უნდა აწყობდეთ კიდეც, რადგან სანაცვლოდ მცირე თანხას მაინც მიიღებენ. სკანდინაველს „ენფილდზე“ თამაშის შანსი 2010 წელსაც ჰქონდა, მაგრამ მაშინ პსვ-მ ტრანსფერზე უარი თქვა.

## იუნაიტედი გუარინით დაინტერესდა

„ინდეპენდენტის“ ინფორმაციით, „მანჩესტერ იუნაიტედი“ მზად არის, იანვარში მილანის „ინტერს“ 27 წლის კოლუმბიელ **ფრედი გუარინში** 15 მილიონი ფუნტი გადაუხადოს. თუკი „ნერაძური“ „ეშმაკების“ შეთავაზებას დათანხმდება, კლუბი მილანში მენეჯერებს მიავლენს მოლაპარაკებათა პირველი რაუნდის გასამართად. **დევიდ მოიესს** სამხრეთამერიკელში ყველაზე მეტად მისი უნივერსალიზმი ხიბლავს. ფრედი უფრო ცენტრალური ნახევარმცველია, თუმცა ფლანგებზეც ეფექტურად შეუძლია გარჯა. რაც მთავარია, შოტლანდიელი ნახევარმცველს ჩემპიონთა ლიგაშიც გამოიყენებს, რადგან „ინტერი“ წელს ევროთასებიდან ისვენებს.

## ვენგერის ფრანგი ფავორიტი

„არსენალი“ მზად არის, „სოსიედადს“ 22 წლის **ანტუან გრიზმანში** 20 მილიონი ფუნტი გადაუხადოს. საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ასაკის მიუხედავად მაღალ დონეზე უკვე მე-4 სეზონია, თამაშობს. 2009 წლის 6 სექტემბერს სეგუნდა დივიზიონში დებიუტის შემდეგ ბასკების ძირითადში გრიზმანის ადგილი ეჭვქვეშ არასოდეს დამდგარა. კარიერის განმავლობაში ფეხბურთელს 197 თამაში აქვს ჩატარებული, რომელშიც 48-ჯერ გამოიჩინა თავი.


ანტუან გრიზმანი

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**




ჭადრაკი


ლევან ფანცულაია

# ფანცულაია დაწინაურდა

სამი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს ინდური კოლკატას მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში. გუშინ მე-8 ტურის პარტიები გათამაშდა. **ლევან ფანცულაიამ** იაჩეკ შტოპა (პოლონეთი) დაამარცხა და 6,5 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა, რადგან ხუთქულიანი **მერაბ გაგუნაშვილი** დაუზავდა ივან პოპოვს (რუსეთი), რომელსაც 5,5 ქულა ჰქონდა. **თორნიკე სანიკიძემ** შავი ფიგურებით თიფსეი პრავინი (ინდოეთი) დაჯაბნა.

ბოლო ტურის წინ 6,5 ქულით წინ არის ფანცულაია. 7 მოჭადრაკე ჩვენებურს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება. ესენი არიან: სამველ ტერ-საჰაკიანი (სომხეთი), იაჩეკ შტოპა (პოლონეთი), ივან პოპოვი, მიხაილ მოჟაროვი (ორივე-რუსეთი), ვალერი ნევეროვი, ვლადისლავ ბოროვიკოვი (ორივე-უკრაინა) და თორნიკე სანიკიძე. მერაბ გაგუნაშვილს 5.5 ქულა აქვს.

მე-9 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან პოპოვი-ფანცულაია, სანიკიძე-ტერ-საჰაკიანი, ბოროვიკოვი-ნევეროვი, შტოპა-მოჟაროვი. გაგუნაშვილი შავებით ტიგრან პეტროსიანს (სომხეთი) შეხვდება.

# ინტელექტუალები პეკინში შეიკრიბნენ

ჩინეთის დედაქალქში გუშინ დაიწყო მსოფლიო ინტელექტუალური თამაშები, რომლის პროგრამაში ჭადრაკიც შედის. პეკინში 16-16-მა ქალმა და ვაჟმა მოიყარა თავი. რაპიდში (12-13 დეკემბერი, შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად), ბლიცი (14-16 დეკემბერი, ორ წრედ) და დაფაზე დაუხედავად თამაში (17-18 დეკემბერი 5 ტურად). მანდილოსნებში პირველობისთვის იბრძვიან: მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები - ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) და ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), მსოფლიოს ჩემპიონები - ჰოუ იფანი (ჩინეთი) და ანა უშენინა (უკრაინა), ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები - ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), კატერინა ლაგნო (უკრაინა) და პია კრამლინგი (შვედეთი), ევროპის ჩემპიონები - ვალენტინა გუნინა (რუსეთი), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულები - **ნანა ძაგნიძე,** ჟაო სიუე, ცზიუ ვენძიუნი (ორივე - ჩინეთი), ასევე, ჰამფი კონერუ (ინდოეთი), ანა მუზიჩუკი (სლოვენია), მარი სებაგი (საფრანგეთი) და ელიზაბეტ პეტცი (გერმანია). ვაჟებში თამაშობენ: ალექსანდრ გრიშჩუკი, სერგეი კარიაკინი, იან ნეპომნიაშჩი (ყველა-რუსეთი), შაჰრიარ მამედიაროვი, ტეიმურ რაჯაბოვი (ორივე-აზერბაიჯანი), ვან ჰაო, ვან იუე (ორივე-ჩინეთი), ვასილი ივანჩუკი, რუსლან პონომარიოვი (ორივე-უკრაინა), ლევონ არონიანი (სომხეთი), დომინგესი (კუბა), ლე ქუანგ ლიემი (ვიეტნამი), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი), გატა კამსკი (აშშ), პეტერ ლეკო (უნგრეთი) და ანიშ გირი (ჰოლანდია).

გუშინ რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი) 4 ტური გათამაშდა. ნანა ძაგნიძემ ორი პარტია მოიგო (კრამლინგსა და პეტცთან) და ამდენივე ყაიმით დაასრულა (კონერუსა და სებაგთან) და 3 ქულით ჰოუ იფანთან ერთად მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. 4 ქულით გუნინა მეწინავეობს. დღევანდელი ორთაბრძოლები მე-5 ტურის პაექრობებით გაიხსნება. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: იფანი-გუნინა, ლაგნო-ძაგნიძე, პეტცი-კოსინცევა, კოსტენიუკი-სებაგი, კონერუ-ჩმილიტე, უშენინა-ვენძიუნი, კრამლინგი-სტეფანოვა, ჟაო სიუე-მუზიჩუკი.

ვაჟებში 3.5 ქულით ლეკო ლიდერობს, ვან ჰაოს და კარიაკინს ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ.

წყალბურთი

# სერბეთში მოემზადებიან

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებმა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სამი რაუნდი წარმატებით განვლო და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. 18 დეკემბერს ბარსელონაში წილისყრა გამოავლენს საქართველოს ნაკრების მეტოქეს (მაკედონია, თურქეთი ან ჰოლანდია), რომელსაც ჩვენები შინ და გარეთ 14 თებერვალსა და მარტის დასაწყისში დაუპირისპირდებიან.

პლეი ოფისთვის ჩვენი გუნდი კარგა ხანია, მთავარი მწვრთნელის - **ვლადიმერ ისელიძის** ხელმძღვანელობით საწყლოსნო კომპლექს "ოლიმპიკში" ემზადება. ორშაბათ დილით საქართველოს ნაკრები ნოვი სადში გაემგზავრება 10-დღიან საწვრთნელ შეკრებაზე და ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებსაც გამართავს სერბეთის უძლიერეს კლუბებთან - "ვოივოდინასთან", "პარტიზანსა" და "ცრვენა ზვეზდასთან". როგორც ვლადიმერ ისელიძემ გვითხრა, სერბეთში ჩვენები ასეთი შემადგენლობით წავლენ: **ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, ზურაბ რურუა (კაპიტანი), კოტე გეგელაშვილი, გიორგი ხვედელიანი, ტატო ნიკოლეიშვილი, ბექა ქენქაძე, ალექსანდრე რუსიშვილი, გალაქტიონ ლაითაძე, მიხეილ ბალათურია, რეზი იმნაიშვილი, ზურაბ ჩიკვაიძე, ალექსანდრე ყაზახიშვილი.** გუნდს სერბეთში შეუერთდებიან უცხოეთში მოთამაშე ახალგაზრდა წყალბურთელები - **ანდრო ბითაძე** და **ხვიჩა ჯახაია.** რაც შეეხებათ ნატურალიზებულ წყალბურთელებს - **დამირ ცრეპულიას, მარკო ელაჩას, მარკო ელეზისა** და **მარინო ფრანიჩევიჩს,** ისინი მაკედონიისა და ხორვატიის ეროვნულ ჩემპიონატებში თამაშობენ და ამჯერად ნაკრებთან ერთად სავარჯიშოდ ვერ მოიცლიან, აი, ნაახალწლევს კი მორიგ საწვრთნელ შეკრებაზე შეუერთდებიან გუნდს.

ცურვა

# დანიაში მოკლე წყალზე



ქალაქ ჰერნინგში (დანია) დაიწყო მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატი 25-მეტრიანი აუზებისთვის. შეჯიბრებაში საქართველოს 4-კაციანი ეროვნული ნაკრებიც მონაწილეობს მთავარი მწვრთნელის - **ზურაბ ხომასურიძის** ხელმძღვანელობით. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავენ: **ირაკლი ბოლქვაძე** (100, 200 ბრასი,200, 400 კომპლექსური ცურვა), **ირაკლი რევიშვილი** (100, 200, 400 თავისუფალი ყაიდა), **დავით სიხარულიძე** (50, 100, 200 თავისუფალი ყაიდა) და **თეიმურაზ კობახიძე** (50, 100, 200 ბატერფლაი, 50, 100 თავისუფალი ყაიდა). აღსანიშნავია, რომ ქართველი მოცურავეები პირველად მოსინჯავენ ძალებს ესტაფეტაში 4X50 მეტრზე თავისუფალი ყაიდით.

გუშინ ქართველმა სპორტსმენებმა რამდენიმე დისტანციაზე იასპარეზეს, მაგრამ სახარბიელოს ვერაფერს მიაღწიეს. ერთადერთი - ოლიმპიური თამაშების მონაწილე ირაკლი რევიშვილმა 400 მეტრზე **თავისუფალი ყაიდით** საკუთარი მიღწევა 4,15 წამით გააუმჯობესა. ამ დისტანციაზე ნაჩვენებმა დრომ - 3.50,31 მხოლოდ 42-ე ადგილი მოუტანა. საუკეთესო იყო იტალიელი ანდრეა მიგელ დამიგო - 3.42,34. დანარჩენ ჩვენებურთა შედეგები: **თავისუფალი ყაიდა, 50 მ.** 53. დავით სიხარულიძე (23,05), 59. თეიმურაზ კობახიძე (23,72). საუკეთესო იყო რუსი ვლადიმირ მოროზოვი - 20,89. **კომპლექსური ცურვა. 200მ.** 37. ირაკლი ბოლქვაძე (2.03,64), 1. ლასლო ჩეხი (უნგრეთი, 1.54,48). **ბატერფლაი, 100 მ.** 48. თეიმურაზ კობახიძე (55,21), 1. მსოფლიოს და ევროპის რეკორდსმენი ევგენი კარატიშკინი (რუსეთი, 50,02), **ბრასი, 100 მ.** 55. ირაკლი ბოლქვაძე (1.02,31), 1. მარკო კოჩი (გერმანია, 57,78).

ევროპის ჩემპიონატი 15 დეკემბერს დამთავრდება.

ჩოგბურთი


ოქსანა კალაშნიკოვა

# წყვილებს შემორჩნენ

ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ ინდურ ნავი მუმბაიში. სამწუხაროდ, მათ შორის არ არის თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა** - გუშინ იგი ყაზახ კამილა კერიმბაევასთან დამარცხდა - 3:6, 3:6, სამაგიეროდ, კალაშნიკოვა წყვილებში გავიდა ფინალში: ლატვიელ დიანა მარცინკევიცასთან ერთად რეიტინგფავორიტად შერაცხულმა დუეტმა მესამე ნომრად განთესილი თურქები - ბასაკ ერაიდინი და მელის სეზერი ჩამოიშორა გზიდან- 6:1, 6:1. გადამწყვეტ პაექრობაში ოქსანა და დიანა ბრიტანელებს - ჟაკლინ რაეს და ანა შმიტს გაუწევენ მეტოქეობას. კუნძულელებმა ანკიტა რაინას და ფრანტანა ტომბარეს (ორივე-ინდოეთი) აჯობეს - 7:5, 6:3.

ერთეულებში გუშინ **ნიკოლოზ ბასილაშვილმაც** ვერ იყოჩაღა - ყატარის ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მეოთხედფინალში დამარცხდა - 2:6, 3:6, აი, წყვილებში კი იაჰორ იაციკთან ერთად ტიხომირ გროზდანოვსა (ბულგარეთი) და მატიე როის (საფრანგეთი) დააყრევინა ფარ-ხმალი - 6:3, 6:3. გადამწყვეტ პაექრობაში ქართულ-ბელარუსული დუეტი ევან ჰოითსა (დიდი ბრიტანეთი) და სკანდერ მანსურის (ტუნისი) ტანდემს შეხვდება, რომელმაც ესპანელი რეიტინგფავორიტები - კარლოს ბოლუდა-პურკისი და რობერტო ორტეგა-ოლმედო დაჯაბნა - 6:3, 3:6, 10:6.

ხელბურთი



# იმედის იმედი

სასპორტო კომპლექს „არენაში“ დღეს დამთავრდება 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის თბილისის ლიგის გათამაშება. შეჯიბრებაში 6 გუნდი ჩაება. მეორე წრის ოთხი ტურის შემდეგ მეორე ეტაპზე თამაშის უფლება „ქარიშხალამ“, „პეგასმა“, „მამულმა“ და „იმედმა“ გაინაღდეს. ეს ცნობილი გახდა გუშინდელი პაექრობების შემდეგ: „ქარიშხალამ“ „შევარდენს“ დიდი ანგარიშით მოუგო - 41:16. ასევე, იყოჩაღა „პეგასმა“, რომელმაც ბრინჯაოს მედლისთვის მებრძოლი „მამული“ დაჯაბნა 38:25. ამდენად, 17-17 ქულით „ქარიშხალა“ და „პეგასი“ ლიდერობენ. საგულისხმოა, რომ ბურთების სხვაობაც ერთნაირი აქვთ (+116). პირველი წრის მათი შეხვედრაც ფრედ დასრულდა. თუ დღევანდელ ორთაბრძოლაშიც დაზავდებიან, თბილისის ჩემპიონი გახდება „პეგასი“, რომელსაც პირველობაში მეტი გოლი აქვს გატანილი.

დღესვე გამოვლინდება მესამე ადგილის მფლობელიც. დედაქალაქის პირველობის ბრინჯაოს მედლებისთვის „იმედი“ და „მამული“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. „იმედს“, რომელმაც გუშინ ქარელს აჯობა 29:14, ბრინჯაოს მოსაპოვებლად 2 ბურთის სხვაობით გამარჯვება სჭირდება. მეორე ეტაპზე გასვლა იმედს ნაგების შემთხვევაშიც განაღდებული აქვს, რადგანაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლიგებში მეოთხე ადგილზე გასულ გუნდებს სჯობნის.

დღეს „არენაში“ ითამაშებენ: „შევარდენი“ - ქარელი, „მამული“ - „იმედი“, „პეგასი“ - „ქარიშხალა“.

**თბილისის ჯგუფი: „პეგასი“**- 17 ქ (281-165), **„ქარიშხალა“**- 17 (256-140), **„მამული“**- 10 (+3), **„იმედი“**- 8 (+27), „შევარდენი“- 2, ქარელი- 0 ქულა.

**აღმოსავლეთი.** 1. **თელავი-** 16 (+2) **2. გორი-** 16 (+1) **3. ყვარელი-** 16 (-3), 4. რუსთავი 8 (-19), 5. ახაშენი- 2, 6. ლაგოდეხი- 2 ქულა

**დასავლეთი.** 1. **ფოთი- 18, 2. სამტრედია-** 14 (+2), **3. ზუგდიდი-** 14 (-2), 4. ქუთაისი- 8 (-5), 5. წყალტუბო- 6, 6. ბათუმი- 0 ქულა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**

● ძიუდო

# ჭაბუკების წარმატება ხარკოვში



ქართველმა ჭაბუკმა ძიუდოისტებმა დიდი წარმატებით იჭიდავეს ხარკოვში გამართულ თანატოლთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც 8-დან 7 ოქრო, სულ კი 16 მედალი მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ 8-დან 5 წონაში ქართული ფინალი გაიმართა ანუ ამდენივე ვერცხლი მოვიპოვეთ - 46 კილოგრამში **ნიკა კობაიძემ გიორგი თუთაშვილს** მოუგო, 55-ში - **გელა გარაყანიძემ ალეკო მამიაშვილი** დაჯაბნა, 66-ში **ლაშა დუდაშვილმა - ალექსანდრე სულაკაძე**, 73-ში **გოგა ქევხიშვილმა - ნოდარ წამალაიძე**, 81-ში კი **ონისე სანებლიძემ გიორგი გოგლიძე** დაამარცხა. ამას გარდა, კიდევ ორი ოქრო **ივანე ხუბაშვილმა** (50) და **ივანე მახათაძემ** (60) მოიპოვეს. ჩვენებურთა ხარკოვული მონაგარი ოთხი ბრინჯაოცაა, რომლებსაც **თორნიკე ჩილინდრიშვილი** (55), **შოთა ბესიაშვილი** (60) და მძიმეწონოსნები -**საბა გაბრიჩიძე** და **დავით არნივიძე** დაეუფლნენ. საინტერესოა, რომ ხარკოვში ჩვენი გუნდი 17 მონაწილით გამოდიოდა და მხოლოდ ერთი მონაწილე დაგვრჩა უმედლოდ. ისიც იმიტომ, რომ ბრინჯაოსთვის ქართველს ხვდებოდა.

ეს ის ასაკია, რომელსაც საგანგებო პროგრამით ამზადებენ 2015 წელს თბილისში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის. აქამდე უცხოეთში მათ მხოლოდ უფროსთა ტურნირებში თუ უჭიდავიათ, ახლა კი პირველად მიეცათ თანატოლებთან გაჯიბრების შანსი.

**ირაკლი თავაძე**

● ძიუდო. საკლუბო ჩემპიონატი

# პირველი საკლუბო

შაბათს, 14 დეკემბერს დილომში მდებარე ძიუდოს აკადემიაში მორიგ ნოვატორულ ტურნირს ჩაეყრება საფუძველი - საქართველოს საკლუბო ჩემპიონატს ჭაბუკთა შორის. ანალოგიური შეჯიბრებები უფროსებში ადრე პერიოდულად კი ტარდებოდა, მაგრამ მოზარდებში პირველად ეწყობა. ამჯერად მის ჩატარებას ბიძგი 2015 წელს თბილისში გასამართმა ევროპის ახალგაზრდულმა ოლიმპიურმა ფესტივალმა მისცა - შეჯიბრებაში იმ ასაკის მოზარდები ანუ 1998-99 წლებში დაბადებულები მონაწილეობენ. საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ცდილობს, ამ ასაკის ბავშვებს რაც შეიძლება, მეტი ტურნირები მისცეს - საგანგებოდ მათთვის ტარდება საქართველოს ჩემპიონატი პირად პირველობაში, დაჰყავთ უცხოეთში შეჯიბრებებზე, ახლა კი საკლუბო ტურნირიც იღებს სათავეს.



ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ხუთშაბათს უკვე დარეგისტრირებული იყო 10 კლუბი, მაგრამ კიდევ ერთი საბუთებს აგვარებდა და ელოდებიან, რომ საბოლოოდ 11 მოგროვდება. საბედნიეროდ, მათში უმეტესობა რეგიონების წარმომადგენელია და ჩემპიონატი არ იქნება მხოლოდ თბილისის პირველობა. თან, გამოდიან როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს გუნდები. ერთი სიტყვით, მთელი ქვეყანა იქნება წარმოდგენილი.

ეს ტურნირიც უფროსთა ანალოგიური შეჯიბრებების მსგავსი ფორმატით ტარდება - ხუთ წონით კატეგორიაში, თითოეულ გუნდში 5 ძირითადი და 2 სათადარიგო მონაწილეა. გუნდები კენჭისყრით დაწყვილდებიან, ნაგებული ეთიშება ტურნირს და მხოლოდ ერთი ბრინჯაო გაიცემა.

შეჯიბრება ძიუდოს აკადემიაში 11 საათზე დაიწყება და იმავე დღეს დამთავრდება.

**ირაკლი თავაძე**

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. დოპინგი

# ალიაკბარი ბეჭებზე

ირანელი მძიმეწონოსანი, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ამირ აზიზ ალიაკბარი** სამუდამოდაა დისკვალიფიცირებული დოპინგის მიღების გამო. ეს ინფორმაცია ამ დღეებში გავრცელდა, სპორტსმენმა კი ტესტი სექტემბერში ბუდაპეშტში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩააგდო. მის ანალიზებში ანაბოლური სტეროიდების კვალი აღმოაჩინეს, თუმცა რატომ დაიმსახურა მან ასეთი მკაცრი სასჯელი - ცხოვრების ბოლომდე, ზუსტად ვერ გეტყვით. როგორც წესი, ასეთ მკაცრ ღონისძიებებს პირველი შემთხვევისას არ აძლევენ, თუმცა ვერ გეტყვით, იყო თუ არა ადრე ალიაკბარი მხილებული დოპინგის მიღებაში. მისი დისკვალიფიკაციით ესტონელ **ჰეიკი ნაბის** დაეცა ერთბაშად ოთხივე ტუზი და ორივე ჯოკერი - მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ირანელს ჩამოართვეს და ესტონელს გადასცეს. ამდენად, ნაბი გახდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, პროზაულად საშუალო დონის მოჭიდავე, რომელიც იშვითად ახერხებს საკუთარ თავზე ოდნავ მეტად ამაღლებას და ერთ გასროლას. აღსანიშნავია, რომ ირანელიც და ესტონელიც 96-დანაა გადმოსული ამ წონაში და თავისი პირველი ტიტული ორივემ იქ მოიპოვა - ნაბი 2006 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ალიაკბარი - 2012-ში. 2009-ში, როცა ნაბიმ პირველად მოიპოვა პლანეტის უძლიერესის წოდება, აშკარად გაუმართლა წილისყრაში - თავად იოლი ბადე შეხვდა, ამ დროს კი წონის ლიდერები მეორე მხარეს ხოცავდნენ ერთმანეთს - წინა წლის მსოფლიოს უნგრელი ვიცე-ჩემპიონი **ლაიოშ ვირაჯი** მომავალ ოლიმპიურ პრიზიორთან, მსოფლიოსა და ევროპის ორ-ორგზის ფინალისტ შვედ **ჯიმი ლიდბერგთან** დამარცხდა, რომელმაც, თავის მხრივ, მერე **რამაზ ნოზაძესთან** წააგო; 2005 წლის მსოფლიოს კიდევ ერთი მედალოსანი, ამერიკელი მესამე პრიზიორი **იუსტინ რუისი** უტიტულო ფინელთან დამარცხდა; ასევე უსახელოდ გავარდა ათენის ოლიმპიადის ეგვიპტელი გმირი **კარამ მოჰამედ გაბერ იბრაგიმი**, ხოლო ბრძოლებით დაღლილი ტურნირის ფავორიტები, ჩვენი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ათენის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი ნოზაძე და თურქთა ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ჰამზა ერლიქაია** ჩეხ **მარეკ სვეკს** ვეღარ გაუმკლავდნენ, ნაბი კი ლამის უბრძოლველად გავიდა ფინალში, სადაც დასვენებულმა ტაქტიკურ ბრძოლაში იოლად დაჯაბნა დამაშვრალი ჩეხი. იმის მიუხედავად, რომ ესტონელი მაშინ მხოლოდ 21 წლის იყო, საჭიდაო სამყარომ ის მაინც შემთხვევით ჩემპიონად მიიჩნია, რადგან აშკარა იყო - ნოზაძის ან ერლიქაიას კომპანიაში მას დიდი გზა არ ეწერა.



თუმცა როგორიც უნდა იყოს ეს ისტორია, ფაქტია, ნაბი უკვე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია, მაგრამ ჩვენთვის ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ირანელის დისკვალიფიკაციაა - ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადისთვის ამ წონაში მთლად ჩემპიონობის თუ არა, მედლის მოპოვების კანდიდატი **იაკობ ქაჯაია** გვყავს და ამ წონაში მომხდარი ყველა საკადრო ცვლილება უაღრესად საინტერესოა. შეიძლება ითქვას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მიგვაჩნია, რომ 26 წლის ალიაკბარი ქაჯაიასთვის ნაბიზე ბევრად სერიოზული კონკურენტი იქნებოდა - შეიძლება, უკვე მოზარდი აღარაა, მაგრამ ახლა მიდიოდა დალვინების ასაკში, როცა მიღებულ გამოცდილებას ბუნებრივ მონაცემებს უხამებენ ხოლმე... თან - სად ირანელთა საჭიდაო სკოლა და სად - ესტონელებისა. მით უფრო, რომ ირანელებს თეთრი თუ შავი ფარმაკოლოგია და კვების რეჟიმი უმაღლეს დონეზე აქვთ აყვანილი - ბოლო ხანებში აკრძალული ნივთიერებებისადმი ირანელთა ტრფიალზე ბევრს საუბრობენ და ბევრიც ჩავარდა დოპინგზე, ხოლო ასაკობრივ ნაკრებებში ხშირად ისეთი ტალიკ-ტალიკა ბიჭები გამოჰყავთ, საეჭვოა, ისეთ მონაცემებს მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშით აღწევდნენ. თუ ირანელებმა არ მიაღწიეს და ალიაკბარს სამუდამო დისკვალიფიკაცია არ შეუცვალეს, რიოს ოლიმპიადისთვის ქაჯაიას ერთი სერიოზული კონკურენტი აკლდება. თან გავითვალისწინოთ, რომ სპორტიდან წავიდა ლეგენდარული კუბელი, ორგზის ოლიმპიური და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მიჯაინ ლოპეს ნუნიესი** და სადღეისოდ ჩვენებურის მთავარ კონკურენტად თურქი ევროპის ოთხგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანი **რიზა კაიაალპი** რჩება. ის ჯერ მხოლოდ 24 წლისაა, ანუ ასაკი ყველანაირად ხელს უწყობს, რომ რიოს ოლიმპიადას საუკეთესო ფორმაში შეხვდეს. თუმცა ერთიცაა - განა რამდენი წელინადი შეძლებს მუდმივად პიკში ყოფნას? ოღონდ ჩვენებურთან შედარებით, მას ის უპირატესობა ექნება, რომ მესამედ იჭიდავებს ოლიმპიადაზე.

**ირაკლი თავაძე**

კროსვორდი



**თარაზულად:** 1. შეჯიბრება გუნდებს ან სპორტსმენებს შორის; 3. ქართველი ფეხბურთელი, მეკარე; 4. რაგბის ტერმინი; 7. ძიუდოში წმინდა მოგება; 8. იტალიის საფეხბ. გუნდი; 10. ბრაზილიელი ფეხბურთელი, ნაკრების ყოფილი მწვრთნელი; 12. ჰოკეის ნაციონალური ლიგა (შემოკლებით); 14. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე, სალო ...; 15. სამაგიდო თამაში; 17. კიევის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, იოჟეფ ...; 19. ბრიტანელი ჩოგბურთელი, 2012 წლის ოლ. ჩემპიონი, ... მარეი; 21. ერთ-ერთი პირველი ტოტალიზატორი საქართველოში; 22. კალათბურთელ ანზ. ლეჟავას მშობლიური რაიონი; 24. დავით ციმაკურიძის მეტსახელი; 26. ისრის წვერი; 28. ერთ-ერთი სპორტული პოზიცია.

**შვეულად:** 1 ოლიმპიური თამაშების (1956) მასპინძელი ქალაქი; 2. სასროლეთი; 5. იგივეა, რაც პუკი კრივში; 6. ავსტრიის საფეხბ. კლუბი. 8. გერმანელი ფეხბურთელი, მიროსლავ... ; 9. ლატვიის ტიტულოვანი საფეხ. კლუბი; 11. ჩოგბურთის დიდი მოყვარული დიდი ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი; 13. პროფესიონალი მოკრივე, ლეონ ...; 16. „მილანის" ბრაზილიელი ფეხბურთელი; 18. ხორვატიის საფეხბ. კლუბი; 20. ფეხბურთში „ევრო-2012"-ის მასპინძელი ერთ-ერთი ქვეყანა; 23. მწვერვალი სვანეთის კავკასიონზე; 25. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე პოლ ...; 27. ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია (შემოკლებით).

შეადგინა
**თენგიზ თომაშვილმა**

● ფოტომატიანე

# ფალავანთა დასტა

მეოცე საუკუნის 20-იანი წლები იყო, როდესაც თბილისის ერთ-ერთ ცირკში ჭიდაობის შემდეგ ქართველმა მოჭიდავე ფალავნებმა ჯგუფური სურათი გადაიღეს...

მარცხნიდან: **წინა რიგში** - ნიკა მეტეხელი (გეჯაძე), პატარა ნასიბოვი, თოხანა ავლაბრელი, პატარა მთაწმინდელი, დათა ჭალელი (გურგენიძე); დგანან: **მეორე რიგში** - იოსებ მეჯვრისხეველი (ურიგაშვილი), კარაპეტ ჯიჯიაშვილი, მიხეილ ერთობელი (მძელური), ამბროსი გაგნიძე, ილო სვანელი (თომაშვილი), ლადო კავსაძე, პეტრე მარლანიძე, შაშო ვერელი (კახნიაშვილი), ლევან დილმელი; **მესამე რიგში** - თედო წილკნელი (წოწინაშვილი), გიგოლა თეზელი (ჯავახიშვილი), არჩილ ორჯონიკიძე, გიგლა ლამისყანელი (რამაზაშვილი), ვასო კანდელაკი, მიტა გლდანელი (სუხიტაშვილი), დათა ავლაბრელი (გაბაშვილი), კოლა იარმუკელი, გიორგი გარეკახელი (ხოსიტაშვლი), ვანო გლდანელი (წამალაშვილი).

ერთი საუკუნისა და უფრო მეტი ხნის წინათაც, ჩვენში და არა მარტო საქართველოში, ქართული და ფრანგული ჭიდაობის ფალავნები სარბიელზე ხომ ძირითადად ფსევდონიმებით გამოდიოდნენ...



**გაბრიელ ბარჯაძე**

ლეგიონერები

# ევროთასებმა ექვატორი გადალახეს

■ ევროთასების გათამაშებაში ამ უქმეებზე ჯგუფური ტურნირის მეორე წრე დაიწყება. ყველაზე პრესტიჟულ, „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა რვა გუნდიდან პლეი ოფში გასვლის რეალურ შანსს ოთხი ინარჩუნებს. თუმცა, გუნდებს წინ სამ-სამი შეხვედრა აქვთ გასამართი და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.



ბურთით ანტონ ფეიქრიშვილი

A ჯგუფში **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი" 8 ქულით მეორე ადგილზეა და სტუმრად ეთამაშება უელსურ „ოსფრიზს", რომელმაც აქამდე სამივე თამაში წააგო და აუტსაიდერია. განვლილ ტურში კასტრელებმა უელსურ გუნდს შინ მოუგეს. თუმცა, ეს დიდი ბრძოლის ხარჯზე მოახერხეს. ძნელი სათქმელია, როგორ დასრულდება ამჟამინდელი დაპირისპირება, მაგრამ ფაქტია, რომ თუნდაც ჯგუფში მეორე ადგილის დასაკავებლად „კასტრს" ყველა თამაშის მოგება სჭირდება. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაშია.

B ჯგუფში ლიდერი **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონია". ჩვენებურთა გუნდს ათი ქულა აქვს და უახლოესი მდევარი უელსური „კარდიფი" ერთი ქულით ჩამორჩება. მეოთხე ტურში ტულონელები შინ მიიღებენ ინგლისურ „ექსეტერს", რომელსაც, სავარაუდოდ, დაამარცხებენ კიდეც. მაგრამ, ჯგუფში პირველი ადგილის ბედი, ვფიქრობთ, მომდევნო ტურში გადაწყდება, როცა „ტულონი" უელსელებს შინ მიიღებს.

მიქაუტაძე გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვდა, ჩილაჩავა განაცხადში არ არის.

C ჯგუფში ორხელისუფლებიანობაა. **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზსა" და ინგლისურ „სარასენზს" 10-10 ქულა აქვთ. ჩვენებურთა გუნდმა განვლილ ტურში სენსაციური მარცხი ინვნია შინ ირლანდიური „ქონოთისგან" და ახლა რევანში აქვს ასაღები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტულუზელთა მდგომარეობა უკიდურესად გართულდება. ბრეგვაძემ ტრავმა მოიშუშა და, სავარაუდოდ, ირლანდიაში ითამაშებს.

D ჯგუფის ლიდერი ასევე „ქართული გუნდია". **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს" 10 ქულა აქვს, თუმცა საბოლოო წარმატების მისაღწევად წინ დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევს. მომდევნო ტურში „ვულკანები" სტუმრად ეთამაშებიან უელსურ „ჰლანეჰლის", რომელიც 6 ქულით მესამე ადგილზეა. ზირაქაშვილი ტრავმირებულია.

ამავე ჯგუფში 6 ქულით ბოლო ადგილზეა **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგი", რომელიც სტუმრად ეთამაშება ინგლისურ „ჰარლიქვინზს". მარცხის შემთხვევაში პარიზელები პლეი ოფში გასვლის თეორიულ შანსსაც დაკარგავენ.

E ჯგუფში **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე" შინ მიიღებს ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზს", რომელთანაც ერთი კვირის წინათ სტუმრად საკმაოდ საინტერესო ბრძოლაში დამარცხდა. მონპელიელები ხუთი ქულით მესამე ადგილზე არიან. თუმცა გამარჯვების შემთხვევაში პირველობის თეორიულ შანსს მაინც შეინარჩუნებენ.

F ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდია. **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანი", რომელიც ექვსი ქულით მესამე ადგილზეა, შინ ეთამაშება პირველადგილოსან ირლანდიურ „მანსტერს". კატალონიელები გამარჯვების შემთხვევაში საგრძნობლად გაიუმჯობესებენ სატურნირო მდგომარეობას და პლეი ოფში გასვლის რეალური შანსი ექნებათ.

გაცილებით უარესადაა **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგის" მდგომარეობა. შოტლანდიური კლუბი 4 ქულით ბოლო ადგილზეა და სტუმრად ეთამაშება ინგლისურ „გლოსტერს", რომელთანაც განვლილ ტურში შინ წააგო. ქართველი მორაგბეები ტრავმირებულნი არიან და ვერ ითამაშებენ.

**ჰაინეკენის თასი**

**A ჯგუფი**

ოსფრიზი-კასტრი, ლენსტერი-ნორსჰემპთონი.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლენსტერი - 13 ქულა, 2. კასტრი - 8, 3. ნორსჰემპთონი - 5, 4. ოსფრიზი - 1.

**B ჯგუფი**

გლაზგო-კარდიფი, ტულონი-ექსეტერი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 10 ქულა, 2. კარდიფი - 9, 3. ექსეტერი - 7, 4. გლაზგო - 5.

**C ჯგუფი**

სარასენზი-ზებრე, ქონოთი-ტულუზი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სარასენზი - 10 ქულა, 2. ტულუზი - 10, 3. ქონოთი - 9, 4. ზებრე - 0.

**D ჯგუფი**

ჰლანეჰლი-კლერმონი, ჰარლექვინზი-მეტრო რასინგი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 10 ქულა, 2. ჰარლიქვინზი - 7, 3. ჰლანეჰლი - 6, 4. მეტრო რასინგი - 6.

**E ჯგუფი**

ბენეტონი-ალსტერი, მონპელიე-ლესტერი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ალსტერი - 13 ქულა, 2. ლესტერი - 11, 3. მონპელიე - 5, 4. ბენეტონი - 0.

**F ჯგუფი**

პერპინიანი-მანსტერი, გლოსტერი-ედინბურგი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მანსტერი - 10 ქულა, 2. გლოსტერი - 8, 3. პერპინიანი - 6, 4. ედინბურგი - 4.

„ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ასპარეზობს და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი თანაბრად აქვთ. **გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ბრივი", რომელიც C ჯგუფშია, 10 ქულით მეორე ადგილზეა. ბრიველები მეოთხე ტურში შინ მიიღებენ რუმინეთის „ბუქარესტს" და, სავარაუდოდ, პოზიციებს კიდევ უფრო გაიმყარებენ. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ არიან.

**ზურაბ ჟვანიასა** და **დავით ქუბრიაშვილის** „სტად ფრანსე" E ჯგუფში 9 ქულით მეორე ადგილზეა. პარიზელები შინ მიიღებენ ინგლისურ „ლონდონ აირიშს" და გამარჯვების შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, ლიდერობა წაართვას.

**ემლინ ჩელენჯ კაპი**

**A ჯგუფი**

ბიარიცი-ვორსტერი, სეილ შარქსი-ოიონაქსი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სეილ შარქსი - 10 ქულა, 2. ბიარიცი - 9, 3. ოიონაქსი - 6, 4. ვორსტერი - 3.

**B ჯგუფი**

ბორდო-ნიუპორტი, ბასი-მოლიანო

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბასი - 13 ქულა, 2. ნიუპორტი - 10, 3. ბორდო - 5, 4. მოლიანო - 0.

**C ჯგუფი**

ბრივი-ბუქარესტი, კალვიზანო-ნიუკასლი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ნიუკასლი - 10 ქულა, 2. ბრივი - 10, 3. ბუქარესტი - 6, 4. კალვიზანო - 2.

**D ჯგუფი**

ვიადანა-ბაიონი, ვოსფსი-გრენობლი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვოსფსი - 14 ქულა, 2. ბაიონი - 10, 3. გრენობლი - 5, 4. ვიადანა - 0.

**E ჯგუფი**

ლუზიტანოსი-პრატო, სტად ფრანსე-ლონდონ აირიში

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლონდონ აირიში - 14 ქულა, 2. სტად ფრანსე - 9, 3. პრატო - 6, 4. ლუზიტანოსი - 0.

**ბესიკ ჯანგავაძე**



შეტევაში დავით ხინჩაგიშვილი

ტრანსფერი



მარცხნივ დავით ზირაქაშვილი

# ზირაქაშვილი სამი წლით კლერმონში

საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯმა **დავით ზირაქაშვილმა** ფრანგული რაგბის ერთ-ერთ გრანდთან, „კლერმონთან" კიდევ სამი წლით გააგრძელა კონტრაქტი. შეგახსენებთ, რომ ზირაქაშვილი „ვულკანების" შემადგენლობაში 2004 წელს ჩაირიცხა და მას შემდეგ ამ გუნდის ღირსებას იცავს. 2010 წელს კი, ის პირველი ქართველი მორაგბე გახლდათ, ვინც საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

დავით ზირაქაშვილი 30 წლისაა და ეროვნულ ნაკრებში 36 კეპი აქვს მოხვეჭილი. მისი გადაბირება ფრანგული და ევროპული რაგბის გრანდს, „ტულუზს" სურდა, რომელსაც მის პოზიციაზე სერიოზული პრობლემები აქვს. თუმცა, ჩვენებურმა კარიერის გაგრძელება მისთვის „მშობლიურ" კლუბში არჩია.

*„ძალიან გვიხარია, რომ დათოსთან მოლაპარაკება შევძელით და ისევ ჩვენს გუნდში განაგრძობს კარიერას. ის იმ მოთამაშეთა შორისაა, რომელთა თამაშიც „კლერმონში" პრიორიტეტულად მიიჩნევა"* - თქვა გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა **ფრანკ აზემამ.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

მეტოქეები

# დანიელ ურკადე პუმების სათავეში

არგენტინის ნაკრები ჩვენი ეროვნული გუნდის სავარაუდო მეტოქეა 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში. „პუმებს" ნოემბრის ტესტების წინ მთავარი მწვრთნელი შეუცვალეს. **სანტიაგო ფელანი,** რომელმაც არგენტინის ნაკრებში საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა, ოთხი ერის გათამაშების შემდეგ გადადგა.

ნოემბრის ტესტებზე გუნდს **დანიელ ურკადე** ხელმძღვანელობდა. ახლახან არგენტინის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა **ავგუსტინ პიშომ** განაცხადა, რომ ურკადესთან კონტრაქტი 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებამდე გაფორმდა.

„პუმების" ახალი მთავარი მწვრთნელი წლების განმავლობაში არგენტინის A ნაკრებს ხელმძღვანელობდა.

*„დანიელ ურკადემ სამწვრთნელო ასპარეზზე ყველა ეტაპი გაიარა. უდიდესი გამოცდილება დააგროვა და დარწმუნებულნი ვართ, მსოფლიოს თასზე წარმატებით ვიასპარეზებთ. ცხადია, ეს იოლი არ იქნება, თუმცა ჩვენ მას ვენდობით, მისი ადამიანური თვისებებისა და ცოდნის იმედი გვაქვს"* - თქვა ავგუსტინ პიშომ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ნომინაცია

# კირან რიდი საუკეთესო მორაგბეა

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) 2013 წლის საუკეთესო მორაგბედ ახალი ზელანდიის და ზე რაგბის კლუბ „კრუზეიდერსის" მარბიელი **კირან რიდი** დაასახელა.

28 წლის მორაგბეს დებიუტი „ოლ ბლექსის" შემადგენლობაში 2008 წლის 8 ნოემბერს შედგა. რიდმა ხუთი წლის განმავლობაში 61 კეპი მოიხვეჭა ეროვნულ გუნდში და 15 ლელოც გაიტანა (75 ქულა). მსოფლიოს რაგბის ისტორიაში იგი გახდა მესამე ახალზელანდიელი, რომელმაც ეს პრესტიჟული ტიტული მოიგო, მანამდე ეს შეძლეს **რიჩი მაქოამ** და **დენ კარტერმა.**

წლის საუკეთესო მორაგბის ტიტულზე ასევე წარდგენილნი იყვნენ **ებენ ეტზებეთი** (სამხრეთ აფრიკა), **სერჯო პარისე** (იტალია) და **ბენ სმიტი** (ახალი ზელანდია).

ამავდროულად, ახალი ზელანდიის ნაკრები წლის საუკეთესო გუნდად დასახელდა, ხოლო მათი მთავარი მწვრთნელი **სტივ ჰანსენი** ზედიზედ მეორე სეზონია, არავის უთმობს წლის საუკეთესო დამრიგებლის ტიტულს.

შეგახსენებთ, რომ 2013 წელს „ოლ ბლექსმა" 14 მატჩი გამართა და ყველა მათგანში იმარჯვა.

**წლის საუკეთესო მორაგბეები**

2001 წელი - ქის ვუდი (ირლანდია)
2002 წელი - ფაბიან გალტიე (საფრანგეთი)
2003 წელი - ჯონი ვილკინსონი (ინგლისი)
2004 წელი - სხალკ ბურხერი (სამხრეთ აფრიკა)
2005 წელი - დენ კარტერი (ახალი ზელანდია)
2006 წელი - რიჩი მაქოა (ახალი ზელანდია)
2007 წელი - ბრაიან ჰაბანა (სამხრეთ აფრიკა)
2008 წელი - შეინ ვილიამსი (უელსი)
2009 წელი - რიჩი მაქოა (ახალი ზელანდია)
2010 წელი - რიჩი მაქოა (ახალი ზელანდია)
2011 წელი - ტიერი დუსოტუარი (საფრანგეთი)
2012 წელი - დენ კარტერი (ახალი ზელანდია)
2013 წელი - კირან რიდი (ახალი ზელანდია)

**გიორგი ბარბაქაძე**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ოკლაჰომა შეუჩერებელი გახდა


სტივენ კარი

"ოკლაჰომას" გამთამაშებელ **რასელ უესტბრუკს** ზედიზედ მესამედ სულ მცირედი დააკლდა ორმაგ დუბლამდე, მაგრამ ისევ საუკეთესო იყო თავისი გუნდის შემადგენლობაში. "თანდერმა" სტუმრად დამაჯერებლად დაამარცხა "მემფისი". ტრავმირებული **მარკ გასოლისა** და **ტონი ალენის** არყოფნის მიუხედავად, თითქმის მთელი პირველი ტაიმი ტენესური გუნდი ძალიან ახლოს იყო მეტოქესთან. მაგრამ შემდეგ, მასპინძლებს ჯერ 17:5 სპურტი გამოეპარათ, მოგვიანებით კი "ოკლაჰომა" 13:8 გაიქცა (ამ 13 ქულიდან ცხრა უესტბრუკის ანგარიშზე იყო), რითაც სტუმრების უპირატესობა 20 ქულამდე გაიზარდა.

უესტბრუკმა 27 ქულა (თამაშიდან - 7/12) და 9 შედეგიანი გადაცემა დააგროვა, **კევინ დურანტმა** საერთო მონაგარს 18 ქულა და 6 მოხსნა დაუმატა, მთლიანად "ოკლაჰომამ" კი სამქულიანების 50 პროცენტი გამოიყენა. "თანდერმა" ბოლო 13 მატჩში მე-12 გამარჯვებას მიაღწია.

■ ■ ■

პირველი მეოთხედის 19 ქულით წაგების შემდეგ, "მინესოტამ" ხელები არ ჩამოუშვა და "ფილადელფიას" მატჩის ბოლომდე დიდი ბრძოლა გაუმართა. **კევინ ლავის, ნიკოლა პეკოვიჩისა** და **რიკი რუბიოს** მონდომებით, დიდ შესვენებამდე "მგლებმა" ექვს ქულამდე შეამცირეს სხვაობა და მეორე ნახევარში მატჩის ბედის შემოტრიალების კარგი შანსი დაიტოვეს. გადამწყვეტი აღმოჩნდა "ვულვზის" 13:3 გაქცევა ბოლო მეოთხედის შუაში. ამ სპურტის მთავარი ინიციატორი **რობი ჰამელი** იყო, რომელმაც მეოთხე 12-წუთეულში 10 ქულის მოგროვება მოასწრო.

"მინესოტას" გადარჩენა განსაკუთრებულია იმ მხრივაც, რომ იმ საღამოს არ წაუვიდა თამაში **კევინ მარტინს**, რომელმაც ცხრიდან მხოლოდ ერთი ბურთი მოათავსა კალათში. მაგრამ პარტნიორი დააზღვია რუბიომ. ესპანელის მონაგარი 21 ქულა იყო, ხოლო კევინ ლავმა სეზონში მეხუთედ გადააბიჯა ერთდროულად 25-ქულიან და 15-მოხსნიან ზღვარს. ლავმა და პეკოვიჩმა "მინესოტას" ფარქვეშ უპირატესობა მოუტანეს, რაც შეტევაში 17 მოხსნაში გამოიხატა.

■ ■ ■

"გოლდენ სტეიტი" ახლოს იყო სეზონში მესამე საშინაო მარცხთან. "მეომრებმა" სამმეოთხედნახევარი საშუალება მისცეს "დალასს", საკუთარ პირობები ეკარნახათ მეტოქისთვის. **დეჟუან ბლერის** ზუსტი ტყორცნის შემდეგ, "მავერიქსი" სირენამდე ცხრა წუთით ადრე 10 ქულას იგებდა. და სწორედ ამ დროს, პირველ პლანზე გამოვიდა **სტივენ კარი**, რომელმაც მატჩის დასკვნით ნაწილში შავი დღე აყარა "დალასის" დაცვას. სწორედ მისი სამქულიანით დაიწყო "უორიორზის" გაქცევა და მატჩის დამთავრებამდე წუთით ადრე, კალიფორნიელები უკვე იგებდნენ შეხვედრას.

მეტოქეები კარგა ხანი ვერ აგდებდნენ ბურთს. ზუსტი იყო მხოლოდ **მონტა ელისის** საჯარიმო, რის შემდეგაც ანგარიში გათანაბრდა - 93:93. სათამაშო რჩებოდა რამდენიმე წამი. კარიმ, რომელმაც თავისი 33 ქულიდან 16 ბოლო მეოთხედში დააგროვა, დაცვაში მოხსნა შეასრულა და შეტევაში ბოლომდე თავის თავზე აიღო ინიციატივა. მან ფინტით ჩამოიშორა **შონ მერიონი** და საშუალო დისტანციიდან ჩააგდო, რითაც "დალასს" პასუხისთვის მხოლოდ წამ-ნახევარი დაუტოვა. "მავერიქსს" ტაიმ-აუტი არ ჰქონდა და ნაჩქარევად გათამაშებული ბურთი **კალდერონის** არაზუსტი ტყორცნით დასრულდა.

■ ■ ■

უცნაური მატჩი შემოგვთავაზეს "ჩიკაგომ" და "ნიუ იორკმა". **კარმელო ენტონისა** და კომპანიას მშვიდად მოგებისთვის არ ეყო მეორე მეოთხედში შესრულებული 19:0 გაქცევა. "ბულზმა" მეორე ტაიმში შეძლო 23-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება, მაგრამ ვერ მოახერხა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

მეოთხე მეოთხედში განხორციელებული 18:2 სპურტის შემდეგ, "ჩიკაგომ" ერთი პირობა ანგარიშის გათანაბრებაც შეძლო, მაგრამ **ამარე სტაუდმაიერის** ჩაჭრამ, საშუალოდან ზუსტმა ტყორცნამ და კარმელოს სიზუსტემ საჯარიმოს ხაზიდან (წუთ-ნახევარში "ნიუ იორკის" ფორვარდმა რვიდან შვიდი საჯარიმო მოათავსა კალათში), "ჩიკაგოს" არანაირი შანსი არ დაუტოვეს. "ხარები" იმ დღეს მისმა უკანახაზელებმა დაალალატეს: **მაიკ დანლივიმ** 24-დან 7 ტყორცნა ჩააგდო, **კირკ ჰაინრიხმა** - 11-დან 3, **ტონი სნელმა** და **მარკუს ტიგმა** კი ერთად სამი ბურთი ჩააგდეს 14 ცდიდან.

**შარლოტი–ორლანდო 83:92**

**18:16, 24:27, 20:24, 21:25**

**შ:** ჰენდერსონი (12), მაკრობერტსი (11), უოკერი (10+4 დაფარება), ჯეფერსონი (10+11 მოხსნა), ზელერი (10).

**ო:** დევისი (17+12 მოხსნა), ნელსონი (17+6 პასი), აფლალო (16), ვუჩევიჩი (12+14 მოხსნა), მური (10), ნიკოლსონი (10), ოლადიპო (10).

**მილუოკი–სან ანტონიო 77:109**

**16:32, 24:31, 14:29, 23:17**

**მ:** უოლტერსი (18+7 პასი), ადეტოკუნბო (15), რადულიცა (10).

**ს-ა:** დანკანი (21+16 მოხსნა), პარკერი (15), ლეონარდი(13), ბელინელი (11), გრინი (10), ჯოზეფი (10).

**ბოსტონი–კლიპერსი 88:96**

**23:20, 22:19, 19:27, 24:30**

**ბ:** გრინი (29), კროუფორდი (20+9 პასი), ბასი (17+12 მოხსნა), სალინჯერი (10+9 მოხსნა).

**კ:** პოლი (22+9 პასი), კროუფორდი (21), გრიფინი (18), კოლისონი (10).

**მემფისი–ოკლაჰომა 100:116**

**22:25, 20:32, 31:32, 27:27**

**მ:** კონლი (20+9 პასი), ლოიერი (17), რენდოლფი (17), პრინსი (12), ბეილესი (11).

**ო:** უესტბრუკი (27+9 პასი), დურანტი (18), ლემბი (18), ჯექსონი (17), იბაკა (12).

**მინესოტა–ფილადელფია 106:99**

**20:39, 28:22, 30:20, 28:18**

**მ:** ლავი (26+15 მოხსნა), რუბიო (21+7 პასი), პეკოვიჩი (20+10 მოხსნა), ბრიუერი (10), ჰამელი (10).

**ფ:** ჰოლიდეი (20), როტენი (20), ანდერსონი (16), იანგი (16), ტერნერი (13).

**ნიუ ორლეანი–დეტროიტი 111:106 (ო)**

**29:28, 28:23, 26:23, 13:22, 15:10**

**ნ-ო:** სმითი (22+16 მოხსნა), ანდერსონი (22), ჰოლიდეი (19+8 პასი), ევანსი (14), გორდონი (14+6 პასი), ამინუ (11+14 მოხსნა).

**დ:** მონრო (28+10 მოხსნა), ჯენინგსი (25+6 ჩაჭრა), სტაკი (20), სმითი (11), დრამონდი (10+11 მოხსნა).

**ნიუ იორკი–ჩიკაგო 83:78**

**15:17, 31:15, 22:22, 15:24**

**ნ-ი:** ენტონი (30+10 მოხსნა), სტაუდმაიერი (14+9 მოხსნა).

**ჩ:** დანლივი (20), ნოა (12+11 მოხსნა), გიბსონი (12), ბუზერი (12+12 მოხსნა), ჰაინრიხი (11+4 ჩაჭრა).

**საკრამენტო–იუტა 101:122**

**23:26, 23:32, 26:38, 29:26**

**ს:** კაზინსი (21+11 მოხსნა), ტომასი (20+7 პასი), უილიამსი (13), ფრედეტი (13), ტომპსონი (11), ტორნტონი (11).

**ი:** ჯეფერსონი (20), ფეივორსი (17), ჰეივორდი (17), ბერკსი (17), ბერკი (11+9 პასი).

**გ. სტეიტი–დალასი 95:93**

**16:23, 28:32, 22:17, 29:21**

**გ-ს:** კარი (33+9 პასი), ბარნსი (17), ლი (15+11 მოხსნა), ტომპსონი (11), ბოგუტი (6+18 მოხსნა).

**დ:** ნოვიცკი (21), ელისი (21), კალდერონი (18), მერიონი (12+9 მოხსნა).

# ბარკლის ლიგა არ მოსწონს


ჩარლზ ბარკლი

ეროვნულისაკალათბურთო ასოციაციის ყოფილმა ვარსკვლავმა **ჩარლზ ბარკლიმ**, რომელიც ახლა ტელევიზიაში ანალიტიკოსად მუშაობს, განაცხადა, რომ არ უნახავს "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერის, **კობი ბრაიანტის** პირველი მატჩი მოედანზე დაბრუნების შემდეგ. ამის მიზეზად ბარკლიმ ის დაასახელა, რომ არ უყვარს მატჩების ცქერა ცუდი გუნდების მონაწილეობით.

*"ცუდ გუნდებს არ ვუყურებ. "ლეიკერსი" არ იქნება კარგი გუნდი არც კობით და არც მის გარეშე. მე მრცხვენია იმ კალათბურთის გამო, რომელსაც დღეს NBA-ში აჩვენებენ. მრცხვენია იმის გამო, რომ გულშემატკივრებს უწევთ ამდენი საშინელი მატჩების ცქერა"*, - განაცხადა ბარკლიმ ერთ-ერთ ტელეშოუში.


სილვერი და სტერნი

# შეიძლება დივიზიონები გაუქმდეს

ერთ-ერთ რადიოში გამოსვლისას, NBA-ის კომისრის თანაშემწე **ადამ სილვერმა** განაცხადა, რომ ასოციაცია აპირებს გადახედოს გუნდების დივიზიონებად დაყოფის პრინციპს და შესაძლოა, საერთოდ გააუქმოს ლიგაში დივიზიონები.

სილვერს აქეთკენ უბიძგა აღმოსავლეთი კონფერენციის გუნდების სუსტმა შედეგებმა. მაგალითად, "ბოსტონ სელტიქსი" 23 მატჩიდან 10 მოგებით ატლანტიკის დივიზიონს ლიდერობს და შესაბამისად, გარანტირებული აქვს ადგილი აღმოსავლეთი კონფერენციის პირველ ოთხეულში (როგორც თავისი დივიზიონის პირველადგილოსანს). არადა, "ბოსტონს" მხოლოდ მეექვსე შედეგი აქვს მთლიანად თავისი კონფერენციის გუნდებს შორის, დასავლეთ კონფერენციაში კი საერთოდ მხოლოდ მე-13 გუნდი იქნებოდა.

შეგახსენებთ, რომ NBA-ის ამჟამინდელი კომისრის **დევიდ სტერნის** წასვლის შემდეგ, მის ადგილს სწორედ სილვერი დაიკავებს.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი


რეი ემერი

# ჩიკაგო გოლების მანქანაა

გუშინ, მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში და ერთ-ერთი შეხვედრა ნამდვილ კატასტროფად გადაიქცა "ფილადელფიასთვის".

პირველი 20 წუთის შემდეგ, "ფლაიერზი" მშვიდად იგებდა მინიმალური ანგარიშით, მაგრამ პირველი შესვენების დასრულებისთანავე დაიწყო სტუმრების კოშმარი: "მფრინავების" კარში ხუთი შაიბა შევარდა, აქედან პირველი ორი 39 წამის ინტერვალით. "ფილადელფიას" მთავარმა მწვრთნელმა **კრეიგ ბერუბიმ** მხოლოდ მეექვსე გაშვებული შაიბის შემდეგ შეცვალა მეკარე **რეი ემერი**. ამ უკანასკნელისთვის ეს მატჩი პრინციპული იყო, რადგან ემერი შარშან "ჩიკაგოს" ღირსებას იცავდა. ის ვერ გაუმკლავდა ყოფილი თანაგუნდელების იერიშებს და ირონიული შეძახილებიც დაიმსახურა იმ დროს, როცა მოედანს ტოვებდა.

"ჩიკაგო" ბოლო პერიოდში ძალიან შედეგიან თამაშს აჩვენებს. ამ გუნდს უკვე 129 შაიბა დაუგროვდა, რაც ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია. შედარებისთვის, გოლების რაოდენობით მეორე ადგილზე მყოფ "ანაჰაიმს" 106 შაიბა აქვს გატანილი. რაც მთავარია, "ჩიკაგო" ასევე ყველას ჯობნის ქულების რაოდენობით - 51.

**ტორონტო–ლოს ანჯელესი 1:3**

**0:1, 1:0, 0:2**

**გოლები:** 0:1 დაუტი-6 (მ. რიჩარდსი-20, ჯ. კარტერი-6), 1:1 ფრანსონი-1 (კესელი-14, გარდინერი-9), 1:2 ჯ. კარტერი-8 (ვოინოვი-10, ნოლანი-2), 1:3 კლიფორდი-3 (ტოფოლი-7, მ. რიჩარდსი-21).

**ჩიკაგო–ფილადელფია 7:2**

**0:1, 5:1, 2:0**

**გოლები:** 0:1 ვორაჩეკი-5 (ტიმონენი-7, ჟირუ-16), 1:1 კიტი-2 (შარპი-16, პ. კეინი-24), 2:1 შოუ-10 (ბოლიგი-5, ოდუია-7), 3:1 ჰანძუში-3 (კრუგერი-11), 3:2 დაუნი-3 (ბრეიდენ შენი-10, შტრაიტი-10), 4:2 ვერსტიგი-5 (საადი-13, მარიან ჰოსა-12), 5:2 ტეივზი-13 (შარპი-17, მარიან ჰოსა-13), 6:2 სიბრუკი-3 (ჰანძუში-4, ვერსტიგი-12), 7:2 შარპი-15 (პ. კეინი-25, მარიან ჰოსა-14).

**ანაჰაიმი–მინესოტა 2:1**

**0:0, 2:0, 0:1**

**გოლები:** 1:0 გრანტი-2 (კოლიანო-8, ვინიკი-13), 2:0 პერი-21 (ლინდჰოლმი-8, გეტცლაფი-22), 2:1 პომინვილი-15 (რ. სატერი-16, მ. კოივუ-18).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

ჩოგბურთი

## ზვონარევა ავსტრალიაზე იქნება

რუსი ჩოგბურთელი **ვერა ზვონარევა**, რომელსაც WTA-ის ტურში წელიწადნახევარია არ უთამაშია, ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოვა. რუსული ჩოგბურთის ყოფილმა პირველმა ნომერმა მხარზე ოპერაციის შემდეგ დაასრულა აღდგენითი კურსი და 2014 წლის სეზონს ჩინეთის ქალაქ შენჟენში დაიწყებს.

აღვნიშნავთ, რომ ავსტრალიის ღიას ქალთა ბადეში WTA-ის რეიტინგის TOP100-ის 99 წარმომადგენელია შეყვანილი. გამონაკლისია მხოლოდ რუსი **მარია კირილენკო**, რომელსაც ტრავმის გამო ვერ ვიხილავთ მელბურნში.

## ესპანელი თამაშებს აწყობდა

ერთ-ერთი ესპანელი ჩოგბურთელი, რომლის გვარსაც ჯერჯერობით არ ასახელებენ, ჩაწყობილი მატჩების ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი. ამის შესახებ განაცხადა ესპანეთის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა **ხავიერ ტებასმა**. სწორედ ამ უკანასკნელის იურიდიული ფირმა წარმოადგენს ეჭვმიტანილი ჩოგბურთელის ინტერესებს.

*"ჩემი ფირმა იცავს ჩოგბურთელის ინტერესებს, რომელიც რუსული მაფიის მსხვერპლი გახდა. ის დამნაშავე არ არის, ის - მსხვერპლია"*, - ამბობს ტებასი.

## ნიშიკორის ჩანგი ავარჯიშებს

იაპონური ჩოგბურთის პირველმა ნომერმა **კეი ნიშიკორიმ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მის გუნდში ახალი სპეციალისტი გამოჩნდა. ეს არის როლან გაროსის 1989 წლის ჩემპიონი, ამერიკელი **მაიკლ ჩანგი**.

*"2014 წელს, ჩემს გუნდში შევა მაიკლ ჩანგი. ჩვენ უკვე ორი კვირაა მონდომებით ვვარჯიშობთ და ვემზადებით ახალი სეზონისთვის"*, - დაწერა ნიშიკორიმ თავის "ფეისბუკზე".

## პეტროვას დედა დაეღუპა

მსოფლიოს ყოფილი მესამე ნომრის, რუსი ჩოგბურთელის **ნადეჟდა პეტროვას** დედა მოსკოვის გარეუბანში ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ვებგვერდ Rusathletics.com-ის ინფორმაციით, წარსულში ცნობილი საბჭოთა მძლეოსანი **ნადეჟდა ილინა** 64 წლის იყო. გასული საუკუნის 70-იან წლებში ის გახლდათ მძლეოსნობაში საბჭოთა ნაკრების წევრი და 1976 წელს ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

## კერბერმა მწვრთნელი შეიცვალა

გერმანიის ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა **ანჟელიკ კერბერმა** ახალი მწვრთნელი დაიქირავა. 25 წლის მოთამაშე დაშორდა **ტორბენ ბელცს** და თანამშრომლობა დაიწყო ირანული წარმოშობის გერმანელთან, 33 წლის **ბენჯამინ იბრაჰიმზადესთან**.

*"სიამოვნებით წარმოგიდგენთ ჩემს ახალ მწვთნელს. ტორბენი შესანიშნავი ადამიანი იყო და ძალიან მადლიერი ვარ იმის გამო, რაც მან ამ წლებში ჩემთვის და ჩემი კარიერისთვის გააკეთა. მას წარმატებას ვუსურვებ. მაგრამ, ამავდროულად, კარიერაში ახალი ეტაპი დადგა და ვნახოთ, რა გამოვა აქედან"*, - დაწერა ჩოგბურთელმა სოციალურ ქსელში.

იბრაჰიმზადე ყოფილი ჩოგბურთელია. ის დევისის თასზე ირანის ნაკრებს წარმოადგენდა, ATP-ის რეიტინგში კი მისთვის უმაღლესი პოზიცია (512) 2006 წელს ეკავა. კერბერამდე ის გერმანელ სედრიკ-მარსელ შტებეს ავარჯიშებდა.

## მარია ბრისბენით დაიწყებს

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანის, რუსი **მარია შარაპოვას** აღდგენითი პროცესი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და რუსს შეეძლება 2014 წლის დასაწყისში „პრემიერ" კატეგორიის ტურნირში მონაწილეობა, რომელსაც ავსტრალიის ქალაქი ბრისბენი უმასპინძლებს.

ამის შესახებ იტყობინება ამერიკული ვებგვერდი Tennis.com ჩოგბურთელის გუნდის წევრის ინფორმაციაზე დაყრდნობით. შეგახსენებთ, რომ რუსმა ჩოგბურთელმა მხრის ტრავმის გამო თითქმის ნახევარი შარშანდელი სეზონი გამოტოვა.

გასულ კვირას, მარიამ პირველი საჩვენებელი შეხვედრა გამართა - კოლუმბიაში წააგო სერბ **ანა ივანოვიჩთან**.

ბრისბენის ტურნირი 30 დეკემბერს დაიწყება და 2014 წლის 5 იანვარს დასრულდება.

კრივი

## ჩემპიონი ინსულტით გარდაიცვალა

„პროფესიულ კრივში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, მექსიკელი **ხავიერ ხაურეგი** 41 წლის ასაკში გარდაიცვალა", - იტყობინება ESPN-ის ვებგვერდი.

ბოლო დღეებში, ხაურეგი მექსიკის ქალაქ გვადალახარას საავადმყოფოში იმყოფებოდა, სადაც ინსულტის შემდეგ მოათავსეს.

მექსიკელმა პროფესიული კარიერა 1988 წელს დაიწყო. 2010 წელს, რუს **რუსლან პროვოდნიკოვთან** წაგების შემდეგ, დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა. 2013 წლის იანვარში რინგს დაუბრუნდა და ერთი ბრძოლა ჩაატარა თანამემამულე **ფერნანდო აიალას** წინააღმდეგ. კარიერის დასრულების შემდეგ, ხაურეგი მექსიკელი **საულ ალვარესის** გუნდს შეუერთდა.

ხაურეგი 2003-04 წლებში ფლობდა IBF-ის ტიტულს 61.2-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. სულ პროფესიულ რინგზე 73 ბრძოლა ჩაატარა, მოიგო 54 (37 - ნოკაუტით) და წააგო 17. კიდევ ორი ბრძოლა მისი მონაწილეობით ფრედ დასრულდა.


ხავიერ ხაურეგი

ჩოგბურთი

# ჯოკოვიჩი: მთავარი მიზანი ნადალის როლან გაროსზე დამარცხებაა


ნოვაკ ჯოკოვიჩი

ჩოგბურთელები თანდათან გამოდიან არდადეგებიდან და იწყებენ მზადებას ახალი სეზონისთვის. შესაბამისად, სპორტის ამ სახეობის შესახებ ახალი ამბები მომრავლდა და ბევრი საინტერესო კომენტარიც გავრცელდა.

მაგალითად, ლეგენდარულ ამერიკელს, **ჯონ მაკინროის** მიაჩნია, რომ **როჯერ ფედერერს** შეუძლია "დიდი სლემის" ტურნირზე ნახევარფინალში ან ფინალში გასვლა, მაგრამ შვეიცარიელის გამარჯვება მისთვის გასაკვირი იქნება. *"როჯერს ყოველთვის აქვს მოგების შანსი, მაგრამ სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ამისთვის საჭირო იქნება შვიდი ხუთსეტიანი მატჩის მოგება. კიდევ ერთი სირთულე ისაა, რომ უნდა დაამარცხოს პირველი სამეულის წევრები. "დიდი სლემის" ტურნირებზე 17 გამარჯვების მიუხედავად, ჩემთვის როჯერის კიდევ ერთი ტრიუმფი მეიჯორზე გასაკვირი იქნება. ნახევარფინალსა და ფინალში გასვლა კი შესაძლებელია"*.

### შარაპოვას და გრიონეფელდის პერსპექტივები

წარსულში ცნობილი ბრიტანელი ჩოგბურთელი **გრეგ რუსედსკი**, რომელიც კარგად იცნობს რუს **მარია შარაპოვას** ამჟამინდელ დამრიგებელს **სვენ გრიონეფელდს**, პროგნოზს აკეთებს მათი მომავალი თანამშრომლობის შესახებ. *"რამდენიმე წელი სვენთან ერთად ვმუშაობდი და ვიცი, რომ ის შესანიშნავი მწვრთნელია, რომელსაც ტოპათეულის წევრებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვს. მან იცის, როგორ ითანამშრომლოს ვარსკვლავებთან. შარაპოვასთან მუშაობისას თითქმის არ უნდა შეცვალოს მარიას სათამაშო სტილი, მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო ცვლილება იქნება გასაკეთებელი. უფრო მნიშვნელოვანია ასწავლოს მას მატჩებზე კარგი განწყობით გასვლა და საკუთარი შანსების გამოყენება. ვფიქრობ, ეს თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება. ბევრი რამ უახლოეს ერთ ან ორ თვეში გაირკვევა, კერძოდ კი ავსტრალიის ღია პირველობაზე"*.

### ნადალი და ვუდსი

**რაფაელ ნადალმა** განაცხადა, რომ გოლფის თამაშის დროს ისე იქცევა, როგორც ლეგენდარული **ტაიგერ ვუდსი**. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესპანელი თითქმის არ გამოხატავს ემოციებს და მცირე ურთიერთობა აქვს სხვა გოლფისტებთან. *"მე მაგალითს ვიღებ ტაიგერ ვუდსისგან. არ ველაპარაკები მეტოქეებს რაუნდების დროს, არ ვულოცავ მათ კარგ დარტყმებს. ისინი წუწუნებენ ამის გამო, ხანდახან ბრაზდებიან ჩემზე. ბევრი ამბობს, რომ გოლფის ტურნირების დროს, უფრო აგრესიული ვხდები, ვიდრე საჩოგბურთო კორტზე ვარ. ჩემსა და ჩემს მეგობრებს შორის სხვაობა იმაშია, რომ ვერ ვხედავ გოლფში მონაწილეობის აზრს, თუ ბოლომდე არ დავიხარჯე მოედანზე"*.

### კურიე და რუსები

დევისის თასზე აშშ-ის ნაკრების კაპიტან **ჯიმ კურიეს** მიაჩნია, რომ მარია შარაპოვა ამერიკელი ჩოგბურთელია იმის მიუხედავად, რომ რუსეთშია დაბადებული. *"მარია ამერიკელი ჩოგბურთელია. პროფესიონალი მოთამაშე ის აშშ-ში გახდა. მას შეეძლო ფედერაციის თასზე ამერიკის გუნდში ეთამაშა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ეს მისი არჩევანია. მე არ ვაპირებ ნაკრებში ასეთი ჩოგბურთელების მიწვევას"*.

### მაკინროი და წყვილთა თანრიგის გაუქმება

ჯონ მაკინროის კიდევ ერთი საინტერესო გამონათქვამი ჰქონდა. მას მიაჩნია, რომ ATP-ის წყვილთა თანრიგი უნდა გააუქმონ! *"მიყვარს წყვილთა თანრიგი, მაგრამ დღეს ვუყურებ დუეტების თამაშს და ვფიქრობ: "ეს რა არის?" წყვილებში თამაშობენ ნელი ბიჭები, რომლებსაც არ აქვთ უნარი, წარმატებას მიაღწიონ ერთეულებში. მიმაჩნია, რომ წყვილების ტურნირები უნდა გაუქმდეს და დაზოგილი ფული მოხმარდეს ახალგაზრდა მოთამაშეების განვითარებას, რომლებიც კარგად გამოვლენ ერთეულთა თანრიგში"*.

### ჯოკოვიჩის მთავარი მიზანი

**ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ნათლად გამოხატა თავისი ამოცანები მომავალი სეზონისთვის. ის შეეცდება მოიპოვოს ტიტული როლან გაროსზე, თან დიდი სურვილი აქვს შეხვდეს "გრუნტის მეფეს" რაფაელ ნადალს. შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩს სწორედ საფრანგეთის ღია პირველობის ტიტული არ ჰყოფნის კარიერული სლემის მოსაპოვებლად. *"რაც მოხდა, მოხდა. უბრალოდ არაფერი ხდება. ნადალთან დასანანმა წაგებებმა მიმახვედრა, რომ კიდევ უფრო ძლიერი უნდა გავხდე. წინ ახალი სეზონია. თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მინდა კარგი წელი მქონდეს. ჩემი მთავარი მიზანია - რაფაელ ნადალის დამარცხება საფრანგეთის ღია პირველობაზე"*.

# დელ პოტრომ მესის გაუსწრო

მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი **ხუან მარტინ დელ პოტრო** 2013 წელს არგენტინის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. ჩოგბურთელმა ამ საპატიო ტიტულისთვის ბრძოლაში დაამარცხა „ბარსელონასა" და არგენტინის ნაკრების ლიდერი **ლეო მესი**, რომელმაც გამოკითხვაში მეორე ადგილი დაიკავა.

*„ეს ძალიან კარგი წელი იყო ჩემთვის. ასეთ წარმატებას არ ველოდი. მთავარია, რომ ისევ ვიგრძენი მსოფლიო საჩოგბურთო ელიტასთან სიახლოვე. მოუთმენლად ველოდები მომავალ სეზონს. ძალიან რთული იქნება ნოვაკ ჯოკოვიჩის, რაფაელ ნადალისა და ენდი მარეის პოზიციებზე იერიშის მიტანა, მაგრამ მჯერა, რომ შევძლებ ამის გაკეთებას"*, - განაცხადა დელ პოტრომ.

ამ სეზონში სამხრეთამერიკელმა მოიგო ოთხი ტიტული, მიაღწია უიმბლდონის ნახევარფინალს და დაამარცხა პროფესიული ტურის "დიდი ოთხეულის" (**რაფაელ ნადალი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, როჯერ ფედერერი, ენდი მარეი**) ყველა წევრი.

დელ პოტრო კარიერაში მეორედ გახდა არგენტინის წლის საუკეთესო სპორტსმენი. პირველად ეს მოხდა 2009 წელს, როცა მან აშშ-ის ღიაზე იმარჯვა.


ხუან მარტინ დელ პოტრო

■ ■ ■

შვეიცარიელი ჩოგბურთელები - როჯერ ფედერერი და **სტანისლას ვავრინკა** პრეტენზიას აცხადებენ შვეიცარიის 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულზე. მათ გარდა, ამ პრიზის მოსაპოვებლად კანდიდატები არიან: **ფაბიან კანჩელარა** (ველოსპორტი), **დარიო კოლონია** (თხილამურები), **ლუკას ფიშერი** (ტანვარჯიში), **ალექს ფივა** (სათხილამურო ფრისტაილი), **რომან იოსი** (ჰოკეი), **იური ბოდლადჩიკოვი** (წყლის თხილამურები), **ნინო შურტერი** (ველოსპორტი), **მატიას სემპაჰი** (ჭიდაობა).

გამარჯვებული 15 დეკემბერს გაირკვევა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ფორმულა 1

# ფორს ინდია დაკომპლექტდა


სერხიო პერესი და ვიჯეი მალია

ინდურმა საჯინიბომ "ფორს ინდიამ" სრულად შეიცვალა შემადგენლობა 2014 წლისთვის. როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანელი **ნიკო ჰიულკენბერგის** მეწყვილე იქნება მექსიკელი **სერხიო პერესი**, რომელიც 2013 წელს "მაკლარენში" გამოდიოდა. კონტრაქტის დეტალები უცნობი დარჩა, მაგრამ ის ცნობილია, რომ პერესი "ფორს ინდიაში" 2014 წლის შემდეგ დარჩება.

*"მოხარული ვარ დავადასტურო კონტრაქტის გაფორმება "ფორს ინდიასთან". ეს ვარიანტი ჩემთვის ყველაზე ოპტიმალურია და კმაყოფილი ვარ იმით, რომ ყველა ფორმალური მხარე მოგვარებულია. მინდა მადლობა გადავუხადო ვიჯეი მალიასა და გუნდს ამ შესაძლებლობისთვის"*, - განაცხადა პერესმა.



# დიდი ცირკისთვის ახალ გუნდებს ეძებენ

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა გუნდების განაცხადების მიღების შესახებ, რომლებსაც მომავალში ფორმულა 1-ში გამოსვლა სურთ. კანდიდატების შერჩევის შემდეგ, აირჩევენ ერთ გუნდს, რომელიც შეძლებს 2015 ან 2016 წელს სტარტზე გასვლას და ჩემპიონატში, მინიმუმ 2020 წლამდე დარჩენას.

განაცხადის შეტანის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სრული დოკუმენტაცია თავის კომპანიაზე. ასევე, დოკუმენტებს უნდა დაერთოს ინფორმაცია ავტორბოლებში მუშაობის გამოცდილებაზე, შესაბამის კადრებსა და ინფრასტრუქტურაზე.

იმ გუნდებმა, რომლებიც შემდეგ რაუნდში გადავლენ, 10 თებერვლისთვის უფრო დაწვრილებითი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ. გადაწყვეტილებას გამოიტანენ მომავალი წლის 28 თებერვლამდე, ანუ იმათ, ვინც მიიღებს ფორმულა 1-ში დებიუტის უფლებას, ზუსტად 12 თვე დარჩებათ მოსამზადებლად (ან 24 თვე, თუ დებიუტს გადადებენ 2016 წლისთვის). ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში ცალკე არის მითითებული იმის შესახებ, რომ ღირსეული კანდიდატების არარსებობის შემთხვევაში, პელოტონში ვაკანსია შეუვსებელი დარჩება.

ფედერაციამ ბოლოს ანალოგიური პროცედურა 2009 წელს ჩაატარა. ეს აუცილებელი საჭიროება იყო, რადგან ეკონომიკური კრიზისის ტალღაზე ჩემპიონატი დატოვა რამდენიმე ქარხნულმა გუნდმა. მაშინ დაახლოებით 10 განაცხადი შევიდა და საბოლოოდ, აირჩიეს გუნდები - USF1, Campos Meta, 1Malaysia და Manor GP. ბოლო ორი ახლაც გამოდის ფორმულა 1-ში "კატერჰემისა" და "მარუსიას" სახელით.

ერთი წლის შემდეგ იყო კიდევ ერთი არჩევა, როცა ფავორიტად მიიჩნეოდა ART Grand Prix, მაგრამ ბოლო მომენტში მისმა ბოსმა **ფრედერიკ ვასერმა** უარი თქვა ფორმულა 1-ში დებიუტზე. საბოლოოდ, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ არავის მისცა ვაკანსია.

# ბაჰრეინში ყველა არ მიდის

"რედ ბულის" პილოტი **სებასტიან ფეტელი** და "ფერარის" წევრები - **ფერნანდო ალონსო** და **კიმი რაიკონენი** გამოტოვებენ ბაჰრეინის უახლოეს ტესტებს, რომელიც 17-19 დეკემბერს ჩატარდება. იტალიურმა საჯინიბომ უკვე დაადასტურა, რომ მათი ტესტ-პილოტი **პედრო დე ლა როსა** იმუშავებს "მარუსიას" პილოტთან **ჟიულ ბიანკისთან** ერთად, რომელიც "ფერარის" სარბოლო აკადემიის კურსდამთავრებულია.

ამავდროულად, "მერსედესმა" გადაწყვიტა ბაჰრეინში გაგზავნოს თავისი საპრიზო პილოტები - **ლუის ჰემილტონი** და **ნიკო როსბერგი**. შეგახსენებთ, რომ ამ ტესტებს თანხმობა მისცა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ, როცა ორშაბათს დართო ნება "პირელის" საბურავების ტესტების ჩატარებაზე

"ლოტუსმა", "ზაუბერმა", "უილიამსმა", "მარუსიამ" და "კატერჰემმა" თავიდანვე განაცხადეს, რომ არ აპირებენ ბაჰრეინში თავიანთი პილოტების გაშვებას. "მაკლარენი" და "ფორს ინდია" თავდაპირველად დათანხმდნენ ტესტებში მონაწილეობას, მაგრამ, მოგვიანებით, უარი განაცხადეს.

საბოლოოდ, "პირელის" ტესტებზე ვიხილავთ "რედ ბულს", "მერსედესს", "ფერარისა" და "ტორო როსოს".




ალონსო და ფეტელი

# ალონსო ფეტელმა შეცვალა

ყოველი სეზონის ბოლოს, ბრიტანული ჟურნალი "ავტოსპორტი" ტრადიციულ გამოკითხვას ატარებს ფორმულა 1-ის გუნდების ხელმძღვანელებს შორის. ისინი ასახელებენ სეზონის ათ საუკეთესო პილოტს. კენჭისყრა ფარულია, მრბოლელებს კი ქულებს ტრადიციული სქემის მიხედვით ანიჭებენ: 25-18-15-12-10-8-6-4-2-1.

ბოლო წლებში ამ გამოკითხვაში მხოლოდ ორი პილოტი იმარჯვებდა - **სებასტიან ფეტელი** და **ფერნანდო ალონსო**. გერმანელმა გაიმარჯვა 2009, 2011 და 2013 წლებში, ესპანელმა – 2010 და 2012 წელს.

**გამოკითხვის საბოლოო შედეგები**

1. სებასტიან ფეტელი - 248
2. ფერნანდო ალონსო - 213
3. კიმი რაიკონენი - 158
4. ლუის ჰემილტონი - 117
5. ნიკო როსბერგი - 95
6. რომენ გროსჟანი - 76
7. ნიკო ჰიულკენბერგი - 68
8. მარკ უებერი - 66
9. ჯენსონ ბატონი - 24
10. ფელიპე მასა - 14

● კრივი

# მეივეზერი მეტოქეს ვერ ადასტურებს

მსოფლიოს საუკეთესო მოკრივის, 36 წლის ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერის** განცხადებით, მისი შემდეგი მეტოქე დაეხმარება იმაში, რომ რეკორდი დაამყაროს ბრძოლის შემოსავლების მიხედვით, რათა შეინარჩუნოს პროფესიულ კრივში ყველაზე გაყიდვადი მოკრივის სტატუსი. თუმცა ვინ იქნება მისი მომავალი მეტოქე, მეივეზერს არ დაუკონკრეტებია. ფლოიდს დაუსვეს კითხვა 34 წლის ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან** სავარაუდო ბრძოლის შესახებ, მაგრამ ამერიკელს ამასთან დაკავშირებით კონკრეტული არაფერი უთქვამს.

*"პაკიაოს შესახებ რაიმე ნეგატიურის თქმა არ შემიძლია, - ამბობს მეივეზერი. - ბოლო სამ ბრძოლაში მან ორი მარცხი განიცადა. რა თქმა უნდა, მას ყოველივეს საუკეთესო ვუსურვებ. არ ვიცი, რომელ კომპანიასთან თანამშრომლობს, მაგრამ ერთადერთი კომპანია, რომელსაც მე ვაღიარებ, ეს არის - Mayweather Promotions. კონცენტრირებული ვარ 3 მაისზე. არ ვიცი, ვინ იქნება ჩემი მეტოქე. თუ ეს იქნება პაკიაო, არაფერი მექნება საწინააღმდეგო. არც ამირ ხანზე ვიტყოდი უარს. 17 წლის განმავლობაში ჩემ წინ აყენებდნენ ბიჭებს და მე მათ ვამარცხებდი. დადგება მაისი და მე ისევ მომიწევს რომელიმე ასეთი ბიჭის დამარცხება. ჩავატარებ საწვრთნელ შეკრებას, ბევრს ვიმუშავებ და შედეგი ისეთივე იქნება, როგორიც წინა შემთხვევებში"*.

შეგახსენებთ, რომ მეივეზერი დაუმარცხებელია პროფესიულ რინგზე.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| სტ. გალენი-სუონსი | 1:0 |
| ვალენსია-ყუბანი | 1:1 |
| დინამო (ზ)-ლუდოგორეცი | 1:2 |
| ეინდჰოვენი-ჩერნომორეცი | 0:1 |
| ზალცბურგი-ესბერგი | 3:0 |
| სტანდარდი-ელფსბორგი | 1:3 |
| მარიბორი-უიგანი | 2:1 |
| ვარეგემი-რუბინი | 0:2 |
| ფიორენტინა-დნიპრო | 2:1 |
| პანდური-ფერეირა | 0:0 |
| აინტრახტი-აპოელ | 2:0 |
| მაკაბი (თ-ა)-ბორდო | 1:0 |
| დინამო (კ)-რაპიდი | 3:1 |
| თუნი-გენკი | 0:1 |
| ეშტორილი-ლიბერეცი | 1:2 |
| ფრაიბურგი-სევილია | 0:2 |
| ბეტისი-რიეკა | 0:0 |
| გიმარაეში-ლიონი | 1:2 |
| აპოლონი-ლეგია | 0:2 |
| ლაციო-ტრაბზონი | 0:0 |
| შერიფი-ტრომსიო | 2:0 |
| ტოტენჰემი-ანჟი | 4:1 |
| მაკაბი (ჰ)-შახტიორი (ყ) | 2:1 |
| პაოკ-ალკმაარი | 2:2 |
| **ბულგარეთი** | |
| ბოტევი-ბეროე | 0:0 |
| ლევსკი-ჩერნომორეცი | 2:0 |
| **გვატემალა** | |
| ერედია-კომუნიკასიონესი | 2:0 |
| **ირანი** | |
| საიპა-ესტეგლალი | 1:1 |
| სეპაჰანი-გოსტარეში | 0:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ცსკა-ბარსელონა | 79:65 |
| ჟალგირისი-ეფესი | 65:63 |
| ცრ. ზვეზდა-კახა ლაბორალი | 81:65 |
| ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი | 78:73 |
| უნიკახა-ბავარია | 77:72 |
| მაკაბი-ლ. რიტასი | 78:71 |
| ფენერბაჰჩე-პარტიზანი | 77:79 |

| ფრენბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| მარიბორი-ლუბლიანა | 3:0 |
| ბუდვა-ჟეშუვი | 3:0 |
| პიაჩენცა-ტური | 3:0 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| ავსტრალია-ჩეხეთი | 10:34 |
| პარაგვაი-ესპანეთი | 9:29 |
| გერმანია-ტუნისი | 26:20 |
| პოლონეთი-არგენტინა | 31:17 |
| რუმინეთი-უნგრეთი | 21:17 |
| ანგოლა-ნორვეგია | 21:26 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **ნორვეგია** | |
| რუსენბორგი-სტავანგერი | 1:4 |
| ლილეჰამერი-ფრისკ ასკერი | 10:1 |
| ლორენსკოგი-სტორჰამარი | 5:2 |
| ტონსბერგი-სტიერნენი | 5:6 (ო) |
| სპარტა-ვოლერენგა | 1:4 |
| **ფინეთი** | |
| პელიკანსი-ტაპარა | 1:4 |
| იუვიასკიულა-კაიპა | 2:4 |
| **ჩეხეთი** | |
| ბრნო-ვიტკოვიცე | 1:3 |
| **შვეიცარია** | |
| სერვეტი-ბილი | 4:0 |
| ციურიხი-რაპერსვილი | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| ბრინასი-ლინჩოპინგი | 3:0 |
| ლეკსანდი-შელეფტეო | 0:5 |
| მოდო-ლულეა | 0:3 |
| ფერიესტადი-ვექსიო | 1:2 (ბ) |
| ჰვ71-ფრიოლუნდა | 3:2 |
| ორებრო-აიკ | 1:4 |

● TV პროგრამა

**13 დეკემბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დინამო (კ)-გენკი.
12:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ეინდჰოვენი-ჩერნომორეცი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. XV ტური. დორტმუნდი-ლევერკუზენი.
16:00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
18:00 გერმანიის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
19:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XIII ტური. ჟილ ვისენტე-სპორტინგი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები,
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. ჰერტა-ვერდერი (LIVE).
01:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ვოლფსბურგი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ცსკა-ბარსელონა.
14:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
15:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ვიტესი.
17:00 რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. შოტლანდია-აშშ.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტური. ლოკომოტივი-პანათინაიკოსი (LIVE).
22:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
00:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.
12:35 სპორტ-NEWS.
13:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.
19:00 სპორტ-NEWS.
19:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.
00:10 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -2 | 4 | (მზე) |
| ქუთაისი | -6 | 5 | (მზე) |
| ბათუმი | -2 | 7 | (მცირე თოვლი) |
| ფოთი | -2 | 6 | (მზე) |
| ზუგდიდი | -7 | 3 | (მზე) |
| გორი | -7 | 3 | (მზე) |
| თელავი | -4 | 2 | (თოვლი) |
| სიღნაღი | -5 | 1 | (თოვლი) |
| გუდაური | -18 | -7 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -15 | -4 | (მზე) |
| ბორჯომი | -10 | 2 | (მზე) |
| მესტია | -21 | -5 | (მცირე თოვლი) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.3582 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7123 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.8068 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2281 |

● ამბები

**ავტოსპორტი**

## შუმახერი ისევ მერსედესთანაა

ფორმულა 1-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა **მიხაელ შუმახერმა** გასულ წელს დატოვა „მერსედესი", მაგრამ აგრძელებს გერმანულ კომპანიასთან თანამშრომლობას. მიხაელი ზინდელფინგენში, Mercedes-Benz-ის სატესტო პოლიგონზე C-კლასის „მერსედესის" უსაფრთხოების სისტემის ტესტირებას ატარებს.

*„არავის შეუძლია ასი პროცენტით შეინარჩუნოს კონცენტრაცია ხანგრძლივი მგზავრობის პირობებში. ხანდახან, ერთი წამიც საკმარისია მოდუნებისთვის, რასაც შეიძლება სავალალო ინციდენტი მოჰყვეს, ამიტომაც საჭიროა, მივიღოთ მაქსიმალური ეფექტი უსაფრთხოების სისტემის მუშაობისას. C-კლასის მანქანაზე ასეთი სისტემა უნაკლოდ მუშაობს და შეუძლია ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა"*, - განაცხადა ლეგენდარულმა პილოტმა.

**სამთო თხილამურები**

## ვონი სანქტ მორიტცს გამოტოვებს

ამერიკელი მოთხილამურე **ლინდსი ვონი** აპირებს მონაწილეობა მიიღოს მსოფლიოს თასის ეტაპზე საფრანგეთის კურორტ ვალ დ'იზერში, იტყობინება NBC. ამისთვის მსოფლიოს თასის ოთხგზის მფლობელი მზად არის, შესწიროს შვეიცარიული სანკტ-მორიტცის ეტაპი, რომელიც უახლოეს უქმეებზე გაიმართება.

გარდა ამისა, იუწყებიან, რომ ვონი მონაწილეობას არ მიიღებს ვალ დ'იზერში სუპერგიგანტის სტარტში, რათა არ გაიმიზეზოს გასული წლის თებერვალში მიღებული მუხლის ტრავმა.

ელ-ფოსტა ან მობილური პაროლი
ვაჟა სიმონიშვილი ●●●●●●●●●● ავტორიზაცია
დამიმახსოვრეთ დაგავიწყდათ პაროლი?
16 ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეთნომუნდიალი

## გავიცნოთ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნები



**ზაზა ფაჩულია** 2011 წელს თქვა: ევროპის ჩემპიონატი გავსინჯეთ, ძალიან გემრიელი გამოდგა და ამის მერე კიდევ უფრო მეტი შემართებით ვითამაშებთ, რომ ევროპის წამყვანი საკალათბურთო ქვეყნების თავყრილობას არ გამოვაკლდეთო. მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა უბრალოდ თამაში როდია, მსოფლიოს შენს ქვეყანას მრავალი კუთხით აცნობ, ასევე ეცნობი სხვების კულტურას, ხასიათს და ა.შ.

ბრაზილიაში ზაფხულში 32 ქვეყნის საფეხბურთო ნაკრები მოიყრის თავს, რომელთაც ჟურნალისტები, ქომაგები ჩაჰყვებიან და ამაზონისპირეთში კულტურათა დიალოგი გაიმართება. ვინ გაიმარჯვებს, ეს საფეხბურთო „ამინდის ბიუროს" გამოსაცხადებელია, ჩვენ საქმეს კი კულტურული კუთხით მივუდგეთ, ჩავატაროთ ეთნოჩემპიონატი. ვფიქრობ, მკითხველს დააინტერესებს მუნდიალის მონაწილე ქვეყნების არასაფეხბურთო შეპირისპირება.

თამაშის წესები ასეთია: ერთმანეთს ოთხ კომპონენტში ვაჯიბრებთ ქვეყნებს და ისევე როგორც მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატისას თითო ჯგუფიდან ორ-ორ საუკეთესოს გავიყვანთ.

აი, ის ოთხი კომპონენტიც: ქვეყნის დასახელება, ნაციონალური სამოსი, ტრადიცია და სახე.

შესაძლოა, ზოგს აქამდე არ გასჩენია შეკითხვა - რატომ ჰქვია, ვთქვათ, ბრაზილიას ბრაზილია, ან ესპანეთს ესპანეთი... ჩვენი ამოცანა სწორედ ამის გარკვევაა და გაიმარჯვებს ის, რომლის დასახელებაც ყველაზე საინტერესო იქნება.

ასევე კრიტერიუმით „საინტერესო" უნდა შეფასდეს ამა თუ იმ ქვეყნის ტრადიცია.

ხოლო ნაციონალური სამოსის შედარებისას განმსაზღვრელი გემოვნება და სილამაზე უნდა იყოს, ისევე როგორც ქვეყნის სახის შეფასებისას. ვინ უნდა იყოს სახე, თუ არა ქვეყნის წარმომადგენელი მსოფლიოს სილამაზის კონკურსზე?!

ეთნომუნდიალის მსვლელობისას სუბიექტურობას გვერდს ვერ ავუვლით, რადგან ქულებს ავტორი წერს. თუმცა ნუ დამძრახავთ, მთავარი გამარჯვება კი არა, მონაწილეობა და მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე 32 ქვეყნის გაცნობაა.


## არ გამოგრჩეთ დეკემბრის ნომერი!





### A ჯგუფი

### ბრაზილია

#### სახელი

სიტყვა „ბრაზილიის" საფუძველია პორტუგალიური Brasa, რაც „სიმხურვალის, გაცხელებული ნახშირის" აღმნიშვნელად გამოიყენება. შუა საუკუნეებში პორტუგალიელებისთვის პირველი საექსპორტო პროდუქტი ხე „წითელი სანდერი" იყო, რომლის ნახშირსაც საწვავად გამოიყენებდნენ.

#### სამოსი



#### ტრადიცია

რიო დე ჟანეიროს კარნავალი პირველად 1823 წელს ჩატარდა. მას მერე ტრადიციად იქცა ყოველ თებერვალს გრანდიოზული სანახაობის მოწყობა, რომელიც უამრავ ადგილობრივსა და ტურისტს იზიდავს.

#### სახე


სანკლერ კონზენი

### მექსიკა

#### სახელი

ამ სახელწოდების წარმოშობასთან დაკავშირებით უამრავი ვარაუდი არსებობს, თუმცა სიმართლესთან მეტ-ნაკლებად ახლოს მოჩანს მოსაზრება, რომლის თანახმად, Mexico ტბა ტექსკოკოდან მომდინარეობს, რომელზეც აცტეკების დედაქალაქი ნეოჩტიტლანი იყო გაშენებული.

#### სამოსი



#### ტრადიცია

მექსიკელთა წინაპარ აცტეკებს მიაჩნდათ, რომ თუ ბავშვი ელამი დაიბადებოდა, მაღალი საზოგადოების წევრი უნდა გამხდარიყო. ამიტომ, მოზარდებს ზოგჯერ თვალებს შორის პატარა ბურთულას ჰკიდებდნენ.

#### სახე


მერილინ ჩაგოია ტრიანა

### კამერუნი

#### სახელი

ამ ქვეყნის მთავარი მდინარე კამერუნია, რომლის სახელწოდების შერჩევაშიც პორტუგალიელები მონაწილეობდნენ. მათ ენაზე „როუ დუშ კამერონეშ" „კრევეტების მდინარეს" ნიშნავს. კრევეტი კიბორჩხალების ტიპის წყლის ბინადარია.

#### სამოსი


ბამილეკეს ტომის ბელადი ცერემონიალზე

#### ტრადიცია

საკალათბურთო კლუბ „არმიას" კამერუნელმა კალათბურთელმა ჟულივეტ ტუჯანმა საინტერესო ამბავი მომიყვა:

- კამერუნის მთიან რაიონში პატარა დასახლებაა, სადაც ერთი სახლი სხვებისგან აშკარად გამოირჩევა. მასში ბელადი ცხოვრობს, ათეულობით ქოხი კი მის ცოლებს ეკუთვნით.

#### სახე


დენის აიენა

### ხორვატია

#### სახელი

არსებობს თეორია, რომ პროტოგერმანულად C(h)rovati ნიშნავს „მეომარს რქის იარაღით".

#### სამოსი



#### ტრადიცია

ქორწინების შემდეგ ხორვატი პატარძლის ნათესავები მას ფატას ხსნიან და თავშალსა და წინსაფარს უკეთებენ. შემდეგ ცოლ-ქმარი ჭას გარშემო უვლის და მასში ვაშლს აგდებს, რაც ხორვატიაში ბარაქისა და ნაყოფიერების ნიშანია.

#### სახე


ლანა გრუეტიჩი

### შეჯამება

#### სახელი

შედარებით მკაფიოდ ჩანს ბრაზილიისა და კამერუნის სახელწოდებების წარმოშობა, ამიტომ პირველი ორი ადგილი მათ მივანიჭოთ. ბრაზილია - 4 ქულა, კამერუნი - 3, ხორვატია - 2, მექსიკა - 1.

#### სამოსი

მსოფლიო მოდაში მექსიკელებს თავისი სიტყვა უკვე ნათქვამი აქვთ - სომბრერო მათი დამკვიდრებულია. მექსიკა - 4 ქულა, კამერუნი - 3, ხორვატია - 2, ბრაზილია - 1.

#### ტრადიცია

კიდევ კარგი, მექსიკელებმა აცტეკების ტრადიცია დაივიწყეს და ბავშვებს ბურთულებს აღარ ჰკიდებენ. კამერუნელი ბელადის საქციელიც გადამეტებულია...

ხორვატია - 4 ქულა, ბრაზილია - 3, კამერუნი - 2, მექსიკა - 1.

#### სახე

აქ კი დავა შეიძლება, თუმცა ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყდა: ბრაზილიელ ლამაზმანს 4 ქულა, ხორვატს - 3, მექსიკელს - 2, კამერუნელს - 1.

#### ჯამი

ბრაზილიამ 12 ქულა მოაგროვა და ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა. მეორე იყო ხორვატია 11 ქულა, მესამე ადგილი დაიკავა და ჯგუფიდან ვერ გააღწია კამერუნმა (9 ქულა), რომელსაც ერთით ჩამორჩა მექსიკა (8 ქულა).

A ჯგუფის საუკეთესო ორი გუნდი B-ს დუეტს შეხვდება. B ჯგუფის მონაწილეებს (ესპანეთი, ჩილე, ჰოლანდია, ავსტრალია) მომდევნო „ტაიმლაინში" შემოგთავაზებთ.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:30 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608